ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

თეორიული და გამოყენებითი ენათმეცნიერების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

რუსუდან ასათიანი, ნათია დუნდუა, მარინე ივანიშვილი,
ივანე ლეჟავა, ეთერ სოსელია, მარიკა ჯიქია

ინფორმაციის სტრუქტურირება და სამყაროს ენობრივი ხედვა:

სომატური ლექსიკა ქართველურ ენობრივ სივრცეში

ეძღვნება ჩვენს მასწავლებლებს და კოლეგებს
ირინე მელიქიშვილსა და ზურაბ სარჯველაძეს

თბილისი
2019

რედაქტორი: *თამაზ გამყრელიძე*

გარეკანის დიზაინი: *ანი ასათიანი*

დაკაბადონება: *გიორგი ბაგრატიონი*

შოთა რუსთაველის ეროვნული
სამეცნიერო ფონდო

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

© რუსუდან ასათიანი, ნათია დუნდუა, მარინე ივანიშვილი,
ივანე ლეჟავა, ეთერ სოსელია, მარიკა ჯიქია, 2019

„ახალი ხედვა“, 2019
ISBN 978-9941-479-43-4

წინამდებარე ნაშრომი ეფუძნება შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის: „ინფორმაციის სტრუქტურირების ძირითადი მოდელები ქართულის დიალექტებში: გურული, რაჭული, ხევსურული, ქიზიყური“ (№: 216682, 2016-12019) – ფარგლებში ჩატარებულ კვლევასა და პოტსდამისა და ბერლინის უნივერსიტეტებში შემუშავებული საექსპერიმენტო ამოცანების გადაწყვეტის შედეგად საველე პირობებში მოპოვებული მასალის ანალიზს. შედეგები შეჯერებულია ქართულ საენათმეცნიერო ტრადიციაში მიღებულ თვალსაზრისებთან და ეყრდნობა უახლეს თეორიულ ნაშრომებს. პროექტში მონაწილეობდნენ ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები: რ. ასათიანი, მ. ივანიშვილი, ი. ლეჟავა, ე. სოსელია, მ. ჯიქია და ახალგაზრდა პოსტდოქტორანტი ნ. დუნდუა.

ნაშრომი ეხება ინფორმაციის სტრუქტურირების ზოგად პროცესებს, რომლებიც განიხილება ქართველურ ენობრივ სივრცეში დადასტურებული ადამიანის სხეულის ნაწილებისა და შინაგანი ორგანოების ამსახველი ლექსიკის (resp. სომატური ლექსიკის) სემანტიკური ველის კვლევის ფონზე. ამდენად, ვფიქრობთ, ნაშრომი დააინტერესებს არა მხოლოდ ქართველოლოგებსა და ენათმეცნიერებს, არამედ საზოგადოების ფართო წრესაც.

IHRE VERSCHIEDENHEIT IST NICHT EINE VON SCHÄLLEN UND ZEICHEN, SONDERN EINE VERSCHIEDENHEIT DER WELTANSICHTEN SELBST.

Wilhelm von Humboldt

შინაარსი

I. შესავალი: თეორიული საფუძვლები 13
1.1. ინფორმაციის ენობრივი სტრუქტურირება 13
1.2. სამყაროს ენობრივი ხედვა 19
1.3. კომპარატივისტიკა 22

II. კვლევის საგნის შემოსაზღვრა: ადამიანის სხეულის ნაწილები და შინაგანი ორგანოები ქართველურ ენებში 25

III. საერთო-ქართველური ენა და მისი დამოუკიდებელ ენებად განვითარების პროცესი 27

IV. ადამიანის სხეულის ნაწილებისა და შინაგანი ორგანოების ამსახველი ლექსიკა ქართველურ ენებში 31
4.1. საერთო-ქართველური მასალა 31
4.2. საერთო-ქართულ-სვანური მასალა 56
4.3. საერთო-ქართულ-ზანური მასალა 63

V. მასალის ანალიზი და დასკვნები 85

VI. დიალექტთა მონაცემები 87
6.1.ზოგადი ინფორმაცია 87
6.2. მასალის კლასიფიკაცია 88
6.3. გურული მასალა 90
6.4. რაჭული მასალა 92
6.5. ხევსურული მასალა 94
6.6. ქიზიყური მასალა 96

VII. დასკვნები 98

Structuring of Information and Linguistic "World View": Somatic Lexemes in the Kartvelian Linguistic Space 99

ბიბლიოგრაფია 108

დანართი: ანოტირებული მასალის ნიმუშები 116

შემოკლებები 147

ექსპედიციების ამსახველი ფოტომასალა 149

I. შესავალი: თეორიული საფუძვლები

1.1. ინფორმაციის ენობრივი სტრუქტურირება

ენის მთავარი ფუნქცია არის კომუნიკაცია. კომუნიკაციის დროს ხდება ინფორმაციის გადაცემა. ინფორმაციის თვალსაზრისით შეტყობინების ყველა ერთეული ერთნაირი ღირებულების არ არის და, ამდენად, ლინგვისტური ინტერესების სფეროში ბუნებრივად შემოდის ენის პრაგმატიკული ასპექტი – როგორ სტრუქტურირდება ენობრივად ინფორმაცია და რა საშუალებები არსებობს ინფორმაციის ღირებულების მიხედვით განსხვავებული ნაწილების ენობრივი წარმოდგენისა?

ინფორმაციის სტრუქტურირებისას, როგორც წესი, გამოიყოფა კომუნიკაციის კონკრეტული აქტისათვის პრაგმატიკულად მთავარი ღირებულების მქონე ცენტრალური ელემენტი, რომელსაც შესაძლებელია ვუწოდოთ **დაწინაურებული** ინფორმაცია. ინფორმაციის ლინგვისტურ ფორმაში მოქცევა (ინფორმაციის „შეფუთვა“) გულისხმობს სწორედ ამ დაწინაურებული ინფორმაციის ფორმალურ მარკირებას, რაც სხვადასხვაგვარი ლინგვისტური თუ პარალინგვისტური მექანიზმებით მიიღწევა. **დაწინაურება** – ინფორმაციის ცენტრალური ელემენტის გამოკვეთა (ხაზგასმა, ფოკუსში მოქცევა, გაშუქება) სხვადასხვა სტრუქტურის მქონე ენებში განსხვავებული ფორმალური საშუალებებით ხორციელდება და ნებისმიერ ენობრივ დონეზე შეიძლება იყოს რეალიზებული.

1.1.1. კონცეპტუალური აქტუალიზება

ექსტრალინგვისტური სიტუაციის ლინგვისტური სტრუქტურირება ბუნებრივ ენებში ძირითადად სამი მთავარი კონცეპტუალური განზომილების მიხედვით მიმდინარეობს (კიბრიკი 1997):

1. სიტუაციის შემადგენელი სემანტიკური როლების (აგენსი-პაციენსი-ადრესატი) მარკირება;
2. საინფორმაციო ნაკადის პრაგმატიკული ღირებულებების (დაწინაურებული-ფონური) მარკირება;
3. საკომუნიკაციო აქტის სტატუსების (მოლაპარაკე/მსმენელი-საუბრის საგანი) მარკირება.

კონკრეტული ენები ირჩევენ მათთვის მისაღებ სტრატეგიებს და შედეგად ვღებულობთ სიტუაციის კონცეპტუალური აქტუალიზების განსხვავებულ მოდელებს.

სემანტიკური როლების მარკირებაზე ორიენტირებულ ენებში ინფორმაციის თვალსაზრისით დაწინაურებულ სახელად კონცეპტუალიზდება ან აგენსი ან პაციენსი, რის შედეგადაც წარმოიქმნება ნომინატიური ან ერგატიული კონსტრუქციები. პირველი აფიქსირებს ინფორმაციის იმ ნაწილის დაწინაურებას, რომელიც გამოხატავს, თუ ***ვინ მოქმედებს***, მეორე კი ინფორმაციის იმ ნაწილის დაწინაურებას, რომელიც გამოხატავს, თუ ***რა ხდება, რა იქმნება.*** კონცეპტუალურად დაწინაურებული სახელი ენობრივ სტრუქტურებში წარმოდგენილია ფორმალურად არამარკირებული, სახელობითი ბრუნვით: ნომინატიურ კონსტრუქციებში ეს არის აგენსი, ხოლო ერგატიულ კონსტრუქციებში – პაციენსი.

ენები, რომლებიც, უპირველეს ყოვლისა, საინფორმაციო ნაკადის პრაგმატიკულ კონცეპტუალიზაციას ახდენენ, ფორმალური სტრუქტურებით ერთმანეთს უპირისპირებენ ინფორმაციის დაწინაურებულ~ფონურ მონაკვეთებს. ასეთ ენებში, როგორც წესი, ინფორმაციის მთავარ ნაწილად ინტერპრეტირებული ნაწილი (**resp.** სახელი) მარკირებულია სპეციალური მორფოლოგიული აფიქსით.

რაც შეეხება მესამე ტიპის ენებს, აქ ინფორმაციის გამოკვეთილ წევრად კონცეპტუალიზდება საკომუნიკაციო აქტში მონაწილე პირები და გრამატიკულად გამოიხატება პირის I/II~III დიქოტომია.

1.1.2. ფუნქციონალური აქტუალიზება

ფუნქციურად დაწინაურებული სახელი გრამატიკულ ტრადიციაში აღინიშნება ტერმინით ***სუბიექტი.*** ეს არის შეტყობინების ის ნაწილი, რომლის შესახებაც მოდის გარკვეული ინფორმაცია და რომელიც, ბუნებრივია, დაწინაურებულია საინფორმაციო ნაკადში. კონცეპტუალურად უკვე სტრუქტურირებული კონსტრუქციებით გამოხატული ინფორმაციის შემდგომი აქტუალიზაციის პროცესი სწორედ ასეთი ფუნქციურად დაწინაურებული ელემენტების ფორმალურ გამოკვეთას გულისხმობს. მაგალითად, ნომინატიურ ენებში, სადაც აგენსია კონცეპტუალურად აქტუალიზებული, შეიძლება პაციენსი წამოიწიოს და იქცეს გამონათქვამის სუბიექტად; ანუ, ინფორმაცია გადალაგდეს ისე, რომ გამონათქვამი გვაწოდებდეს გარკვეულ ინფორმაციას სწორედ რომ მოქმედების ობიექტის, პაციენსის, შესახებ და ცენტრალურ, მთავარ ელემენტად აქტუალიზდეს არა აგენსი, არამედ პაციენსი. ნომინატიურ ენებში აქტიური კონსტრუქციები ასახავენ აგენსის აქტუალიზებას (resp. აგენსი ასრულებს სუბიექტის ფუნქციას) მაშინ, როდესაც პასიური კონსტრუქციები წარმოაჩენენ პაციენსის აქტუალიზებას (resp. პაციენსი არის სუბიექტი). ფორმალურად პაციენსის ამგვარი დაწინაურება გამოიხატება მისთვის ნომინატიური ფორმის მინიჭებით. ე.ი. პაციენსი პასიურ კონსტრუქციაში ფორმალურად იმავე ბრუნვით არის მარკირებული, რომლითაც აქტიურ კონსტრუქციაში კონცეპტუალურად დაწინაურებული სახელი, აგენსია წარმოდგენილი, ხოლო აგენსი პასიურ კონსტრუქციაში ან სრულიად გამქრალია, ან თანდებულიანი ფორმით დასტურდება.

1.1.3. დისკურსული აქტუალიზება

კომუნიკაციისას ჩვეულებრივია ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლა: დიალოგური ფორმით ხდება ახალი ინფორმაციის მოპოვება და ინფორმაციულ ნაკადში არსებული გარკვეული ხარვეზების შევსება. საინფორმაციო ნაკადის უცნობი ელემენტები დგინდება კითხვა-პასუხების გარკვეული წყვილებით. კითხვით მოთხოვნილი ინფორმაცია მოიპოვება პასუხებში, სადაც მოთხოვნილი ინფორმაცია ჩვეულებრივ დაწინაურებული, გამოკვეთილია სავარაუდო პასუხთა ალტერნატივებს შორის. ამგვარ, დისკურსულად გამოკვეთილ, დაწინაურებულ ინფორმაციას უწოდებენ **ფოკუსს**. უმრავლეს შემთხვევებში ფოკუსს ახასიათებს სპეციფიკური ინტონაცია, მაგრამ სხვადასხვა ენაში არსებობს, აგრეთვე, სხვადასხვაგვარი ფორმალური მექანიზმები ფოკუსის მარკირებისათვის.

1.1.4. პრაგმატიკული აქტუალიზება

ზოგიერთ შემთხვევაში სიტუაციის ასახვისას საჭირო ხდება ინფორმაციის დაზუსტება, მისი პრაგმატიკული ღირებულებების გახაზვა, მოვლენებს შორის არსებულ (ან არარსებულ) კავშირებზე მინიშნება, ინფორმაციის მოსალოდნელობა-მოულოდნელობის ასახვა, ახალი-ძველი ინფორმაციის წარმოჩენა, ინფორმაციაში იმპლიკაციური ან პრესუპოზიციული მიმართებების დაფიქსირება და სხვა ამგვარი. ყოველი ასეთი სპეციფიკური ხასიათის ინფორმაცია ვლინდება ტექსტის უფრო ფართო ფრაგმენტში, რომელიც მეტია ვიდრე უბრალოდ გამონათქვამი, წინადადება.

წინადადება, ტრადიციული განმარტებით, გამოხატავს დასრულებულ აზრს, მაგრამ ის, როგორც უფრო მაღალი ენობრივი დონის, ტექსტის, შემადგენელი ერთეული, როგორც წესი, უფრო მეტ პრაგმატიკულ ინფორმაციასაც მოიცავს, ვიდრე უბრალოდ კონკრეტულ ლექსემათა სინტაქსური წესების მიხედვით შედგენილი სტრუქტურული მთლიანობა (resp.

წინადადება). ინფორმაციის ასეთი დამატებითი ნიუანსები, როგორც წესი, ინფორმაციულად დაწინაურებულია. ინფორმაციის ამგვარ პრაგმატიკულად დაწინაურებულ ნაწილს ეწოდება **ტოპიკი**. ტოპიკის მარკირების ძირითადი უნივერსალური მექანიზმია სპეციფიკური ინტონაციური კონტური, თუმცა არსებობს ენათა მიხედვით განსხვავებული სხვადასხვაგვარი ფორმალური მოდელებიც. ენებში, რომლებიც ორიენტირებულია საინფორმაციო ნაკადში პრაგმატიკულად დაწინაურებული ელემენტების კონცეპტუალურ მარკირებაზე, როგორც წესი, ტოპიკის აღმნიშვნელი სპეციალური მორფოლოგიური მაწარმოებელიც გამოიყოფა.

1.1.5. ინფორმაციის გამოკვეთილი, დაწინაურებული ნაწილები და მათი ენობრივი მარკირების საშუალებები

ფოკუსი და ტოპიკი წინადადების საინფორმაციო სტრუქტურის განმსაზღვრელი ძირითადი სტრატეგიების ამსახველი ტერმინებია. ორივე წინადადების ინფორმაციული თვალსაზრისით დაწინაურებულ წევრს აღნიშნავს. განსხვავება მათ შორის ის არის, რომ ფოკუსი აღნიშნავს ადრე უცნობ, ახალ ინფორმაციას, რომელიც მოპოვებულ იქნა შესაბამის კითხვაზე პასუხის ამსახველ წინადადებაში აქტუალიზებული წევრის სახით; ხოლო ტოპიკით ხდება უკვე ცნობილი წევრის, ძველი ინფორმაციის, აქტუალიზება მასზე ინფორმაციის მოპოვების ან არსებული ინფორმაციის გამოკვეთისა თუ გავრცობა-დაზუსტების მიზნით. მაგალითად, ინფორმაცია, რომელიც შეესაბამება სიტუაციას, რომლის დროსაც მონადირემ მოკლა ირემი, და, რომელიც სტრუქტურირდება ქართული ენის კონკრეტული თხრობითი წინადადების – *მონადირემ მოკლა ირემი* – სახით, სრულია და, ამავე დროს, ნეიტრალურია ინფორმაციის რომელიმე შემადგენელი ელემენტის დაწინაურების თვალსაზრისით. თუ სიტუაციის რომელიმე წევრი უცნობია, კომუნიკაციისას ჩნდება კითხვა, მაგ.: *ვინ მოკლა ირემი?* პასუხში: ***მონადირემ*** *მოკლა ირემი* – დაწინაურებულია ***მონადირე***; ე.ი. ის არის ფოკუსი; ან, ვთქვათ:

რა მოკლა მონადირემ? [*ირემი*]F *მოკლა მონადირემ.*

რა ქნა მონადირემ? [*ირემი მოკლა*]F *მონადირემ.*

რა უქნა მონადირემ ირემს? [*მოკლა*]F *მონადირემ ირემი.*

თუ ვსაუბრობთ მონადირეზე და გვაინტერესებს მის შესახებ რაიმე ინფორმაციის მოპოვება, ეს შევსებული ინფორმაცია რეპრეზენტირებული იქნება წინადადებით, სადაც ***მონადირე*** კვალიფიცირდება როგორც ტოპიკი:

რას იტყვით მონადირის შესახებ? [*მონადირემ*]T *მოკლა ირემი.*

ფორმალური თვალსაზრისით, ტოპიკი და ფოკუსი შეიძლება მარკირებულ იქნეს სხვადასხვა ენობრივ დონეზე:

1. **ფონეტიკა-ფონოლოგიის** (ინტონაცია, მახვილი, ტონი, სპეციფიკური ფონეტიკურ-ფონოლოგიური პროცესები: გამჟღერება-დაყრუება, ასიმილაცია-დისიმილაცია და სხვ.);
2. **მორფოლოგია-სინტაქსის** (სპეციალური ბრუნვა, შერწყმული ნაწილაკი ან კლიტიკა; სიტყვათა რიგის ცვლა, ელიფსი, სპეციფიკური კონსტრუქციები, ფრაზების გაგლეჯა, ტმესი და სხვ.);
3. **ლექსიკა-სემანტიკის** (სპეციალური სიტყვები, ნაწილაკები, არტიკლი, კვანტორული სიტყვები: *მხოლოდ, მართლაც, ნამდვილად, ასევე, კიდეც* და სხვ.).


ყველა ზემოთ ჩამოთვლილი შესაძლებლობა ხშირად თანაარსებობს ინფორმაციის „შეფუთვისას“ – წარმოიქმნება რთული, კომპლექსური შემთხვევები და, ამდენად, რთულდება ფორმალური ანალიზიც. ინფორმაციის გამოკვეთის, დაწინაურების იერარქიულად ორგანიზებულ რთულ პროცესში ზოგიერთი სახის ინფორმაციული დაწინაურება აუცილებელია და იერარქიის უმაღლეს საფეხურზევე განისაზღვრება (მაგ., კონცეპტუალური ან ფუნქციონალური აქტუალიზება), ზოგი მხოლოდ დიალოგური სისტემებისათვისაა დამახასიათებელი (მაგ., ფოკუსი), ზოგიც ნებისმიერია და კონკრეტული კომუნიკაციური ფუნქციით განისაზღვრება (მაგ., ტოპიკი);

ფორმალური მექანიზმები ხშირად იმპლიკაციური ხასიათისაა (მაგ., სიტყვათა რიგის ცვლა ხშირად ინტონაციურ გამოკვეთასაც იწვევს და გარკვეულ შემთხვევებში სინტაქსური მიმართებების ცვლასაც) და სხვ. მიუხედავად იმისა, რომ ეს პროცესები ენათა მიხედვით სპეციფიკურია (ყოველი ენა თავისი სტრატეგიის მიხედვით ახორციელებს ტოპიკ-ფოკუსის ფორმალიზებას), უნივერსალურ მახასიათებლებსა და ნიშნებზე საუბარი მაინც შესაძლებელია.

1.2. სამყაროს ენობრივი ხედვა

საზოგადოდ, ენა არის სამყაროს, „სინამდვილის“ სტრუქტურირების ერთ-ერთი საშუალება. სინამდვილე მთლიანია. მისი დანაწევრება კონკრეტული კოლექტიური ცნობიერების მიერ სპეციფიკურად ხორციელდება. სამყაროს კონცეპტუალიზაციის პროცესში სინამდვილის სტრუქტურირებისას მთლიანობიდან გამოცალკევდება განუსაზღვრელი რაოდენობის ობიექტები, ფიქსირდება მათი თანმხლები თვისებრიობები, პრედიკატული ელემენტების წყალობით მყარდება გარკვეული მიმართებები: ამგვარად ყალიბდება კონკრეტული ენობრივი სისტემის განმსაზღვრელი ლექსიკური თუ გრამატიკული კატეგორიები და იგება სინამდვილის ლინგვისტური სურათი.

სინამდვილის ყოველ ობიექტს (O) ცნობიერებაში სპეციფიკური კონცეპტი (C) შეესაბამება: Oi↔Ci, რომელიც ადამიანთა ეთნიკურ-კულტურული განსხვავებულობისდა შესაბამისად შეიძლება იყოს სხვადასხვაგვარი:




რამდენადაც ერთი და იგივე ობიექტი ერთი და იმავე ტიპის ცნობიერებით (ადამიანის – Homo sapiens sapiens-ის) კონცეპტუალიზდება, Oi→Ci ასახვა არ შეიძლება იყოს აბსოლუტურად პირობითი და არც Ci^1, $Ci^2 \cdots Ci^m$ განსხვავებები – რადიკალური. ამდენად, Ci ელემენტების სიმრავლე წარმოადგენს საერთო, უნივერსალური და სპეციფიკური, განსხვავებული ელემენტების ერთობლიობას: $R(Ci) \equiv P(CiUn) \bigcup Q(CiSp)$.

თავად ობიექტური სინამდვილეც, გარკვეული გეოგრაფიული თუ კულტურულ-ისტორიული პირობების გამო, წარმოადგენს უნივერსალური და სპეციფიკური ელემენტების ერთიანობას: $R(Oi) \equiv P(OiUn) \bigcup Q(OiSp)$.

ის კონცეპტი, რომელსაც ობიექტი ცნობიერებაში ტოვებს (Ci^1, $Ci^2 \cdots Ci^m$ ელემენტები), ჩვენთვის უცნობია და მასზე მსჯელობა მხოლოდ კონკრეტული ენის განსხვავებული ენობრივი სტრუქტურების გაანალიზების შედეგად არის შესაძლებელი, ე.ი. ცნობიერება ის შავი ყუთია, რომელიც კონკრეტულ (O_1, O_2, $O_3 \ldots O_n$) ობიექტებს

$$O_1 \rightarrow C_1^1, C_1^2, C_1^3 \ldots C_1^m$$
$$O_2 \rightarrow C_2^1, C_2^2, C_2^3 \ldots C_2^m$$
$$\text{----------}$$
$$On \rightarrow C_n^1, C_n^2, C_n^3 \ldots C_n^m$$

გაიაზრებს და იძლევა შესაბამის ენობრივ გამოხატულებებს, რომლებიც ენათა (L) მიხედვით, ასევე, განსხვავებულია:



(აქ $L^1 \ldots L^K$ განსხვავებული ენებია.)


რადგან Oi→Ci ასახვა არ არის აბსოლუტურად პირობითი, არც $C_i^j \rightarrow (L_i^j)^k$ ასახვა იქნება აბსოლუტურად პირობითი, რამდენადაც სხვადასხვა ენის ფორმალური შესაძლებლობები დიდად არ განსხვავდება ერთმანეთისგან. ე.ი. ობიექტსა (O) და მის სახელს (L) (resp. აღსანიშნსა და აღმნიშვნელს) შორის კავშირი არ არის აბსოლუტურად პირობითი. უფრო ზუსტად ის პირობითი, მოტივირებულიცაა და არამოტივირებულიც ერთდროულად: ნიშანი (S) წარმოადგენს რთულ, კომპლექსურ მთლიანობას უნივერსალური და არაუნივერსალური, სპეციფიკური ელემენტებისა: $R(Si) \equiv P(SiUn) \bigcup Q(SiSp)$. ის პირობითია სპეციფიკური ელემენტებისა და არაპირობითია უნივერსალური ელემენტების თვალსაზრისით. ამდენად, ფ. დე სოსიურის სტრუქტურალიზმის განმსაზღვრელი ძირითადი პრინციპი ნიშნის პირობითობის შესახებ აბსოლუტურად სამართლიანია, თუმცა კი ნაწილობრივ ასახავს ნიშნის ბუნებასა და მის არსს, რაც ნათლად ჩნდება სახელდების პრობლემების ექსპერიმენტული კვლევის შედეგად: ფსიქოლოგიური ექსპერიმენტების მეშვეობით მოპოვებული ენობრივი მონაცემების სტატისტიკური თუ სტრუქტურული ანალიზის საფუძველზე აშკარა ხდება აღსანიშნსა და აღმნიშვნელს შორის კავშირის ფსიქიკური თვალსაზრისით მოტივირებულობა.

L ელემენტებს შორის არსებული კავშირები ზოგჯერ ასახავენ O ელემენტებს შორის არსებულ ობიექტურ კავშირებს. გარკვეულ შემთხვევაში კი ნებისმიერ ორ Oi, Oj ელემენტს შორის კავშირი განისაზღვრება შესაბამისი Ci, Cj ელემენტების ურთიერთდაკავშირებით ცნობიერებაში, რაც Li, Lj ენობრივი, ფორმალური ურთიერთმიმართებებით ამოიცნობა. თამაზ გამყრელიძე მსჯელობს აღსანიშნებსა და აღმნიშვნელებს შორის არსებულ ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ კავშირებზე და ნიშნის პირობითობის თეზას კომპლემენტარული მიდგომით ავსებს: რაიმე ნიშნის აღსანიშნსა და აღმნიშვნელს შორის ვერტიკალური კავშირები (აღსანიშნი$_i$↔აღმნიშვნელი$_i$) პირობითია, ხოლო აღსანიშნებს შორის არსებული ჰორიზონტალური კავშირები (აღსანიშნი$_i$↔აღსანიშნი$_j$) იმგვარად აისახება აღმნიშვნელებს შორის არსებულ ჰორიზონტალურ კავშირებში

(აღმნიშვნელი↔აღმნიშვნელი), რომ ეს დაპირისპირებები შენარჩუნებულია. ასეთი მიდგომა თეზისს ნიშნის აბსოლუტური პირობითობის შესახებ აზუსტებს და ურთიერთშემავსებელი, კომპლემენტარული მიდგომის საფუძველზე მის ახლებურ ინტერპრეტაციას იძლევა (გამყრელიძე 2003).

მაშასადამე, სინამდვილე განსაზღვრავს ენას, რომელიც, თავის მხრივ, უკუგავლენას ახდენს მასზე, სპეციფიკურად ანაწევრებს მას და გარკვეულ ურთიერთმიმართებებს ამყარებს მის ელემენტებს შორის; ანუ, ენასა და სინამდვილეს შორის ურთიერთგანმაპირობებელი კავშირია, რომელიც გაშუალებულია ცნობიერებით: „სინამდვილე“ ↔ („ცნობიერება“) ↔ „ენა“. ყოველ დონეზე გვაქვს უნივერსალური (Un) და სპეციფიკური (Sp) რეპრეზენტაციების კომპლექსური ერთიანობა.

სინამდვილე – R(Oi) ცნობიერება – C(Ci) ენა – L(Li)



1.3. კომპარატივისტიკა

ლინგვისტური ძიების ძირითად მიზნად ენის სწორედ ამგვარი Un და Sp ნიშნების ამოცნობა უნდა მივიჩნიოთ, რაც ზოგადი თეორიის შემუშავებასა და კონკრეტულ ენათა დახასიათებას გულისხმობს. ამ მიზნის განხორციელებას ხელს უწყობს სხვადასხვა წყობის ენათა ფართო, სისტემური შესწავლა. ნებისმიერი მეთოდი, რომლის საშუალებითაც ხდება კონკრეტული

ენის მონაცემების ანალიზი, იძლევა ამ ენის გარკვეულ გრამატიკულ მოდელს, მაგრამ არაფერს გვეუბნება ზოგადად ენისათვის დამახასიათებელ კანონზომიერებებზე. ენის ზოგადი მახასიათებლების და პროცესების შესწავლა, ენის ზოგადი თეორიის შემუშავება შესაძლებელია მხოლოდ სხვადასხვა ენათა შეპირისპირებითი ანალიზისა და მიღებული შედეგების განზოგადების საშუალებით.

ენების შედარებითი ანალიზი ორი მიმართულებით შეიძლება წარიმართოს: დიაქრონიული და სინქრონიული.

საზოგადოდ, ორ ან მეტ ენაში დადასტურებული მსგავსი კანონზომიერება შეიძლება იყოს დამთხვევის, სესხების, ნათესაური კავშირისა ან ტიპოლოგიური მსგავსების შედეგი. განსხვავება მათ შორის შეიძლება ასე ჩამოყალიბდეს:

1. *თუ რაღაც A-კანონზომიერება, ძირითადად რაიმე სტრუქტურული ნიშანი, გვხვდება ორ ან მეტ ენაში* $(L_1 \ldots L^n)$ $A_1 \ldots A_n$ *შესაბამისობების სახით და ვერ ან არ ხერხდება მათი დაკავშირება t-დროითი ფაქტორის გათვალისწინებით, მაშინ ეს კანონზომიერება მიიჩნევა გარკვეულ ტიპოლოგიურ (ანუ: ერთ გეოგრაფიულ არელში მყოფ და/ან ისტორიული ურთიერთობების მქონე ენების შემთხვევაში – არეალურ-ტიპოლოგიურ) ნიშნად, რის მიხედვითაც მოცემული* $L_1 \ldots L^n$ *ენები ერთიანდება ერთ ტიპოლოგიურ კლასში.*

2. *თუ რაღაც A-კანონზომიერებათა რიგი რეგულარული შესაბამისობით* $A_1 \ldots A_n$ *ძირითადად ენათა ძირითადი ლექსიკური ფონდის ერთეულთა ბგერათშესატყვისობების სახით, გვხვდება ორ ან მეტ ენაში* $(L_1 \ldots L_n)$ *და მათი დაკავშირება ხერხდება t-დროითი ფაქტორის გათვალისწინებით, როგორც რაღაც უფრო ზოგად A*-კანონზომიერებათა დიაქრონიული გარდაქმნების შედეგი, მაშინ ხდება ამ A*-ზოგადი კანონზომიერებების რეკონსტრუქცია ჰიპოთეზური L*-ენისათვის და ეს L*-ენა ივარაუდება* $L_1 \ldots L_n$ *(ამიერიდან მონათესავედ მიჩნეული) ენების წინაპრად,* $A_1 \ldots A_n$

ფაქტები კი A-კანონზომიერების სხვადასხვაგვარი დიაქრონიული გარდაქმნების შედეგად.*

(2) ტიპის დებულებები განსაზღვრავს ისტორიულ-შედარებით (დიაქრონულ) ენათმეცნიერებას, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული და პროდუქტიული მიმდინარეობა იყო XIX-XX საუკუნის ენათმეცნიერებაში.

ენათა კვლევის ეს მეთოდი საშუალებას იძლევა წარმოვადგინოთ სამყაროს კონცეპტუალიზაციისა და სტრუქტურირების საფუძვლების ცვლის დიაქრონიული პროცესი, რაც თავისი არსით ინტეგრალური ხასიათისაა და მოიცავს ადამიანური ყოფის ისეთ სოციოკულტურულ სფეროებს, როგორებიცაა ენა, ხელოვნება, რელიგია, მეურნეობა, ეთნოტრადიციული ადათ-წესები, კულტურა-ცივილიზაცია ფართო გაგებით და სხვ. ამ მეთოდის საფუძველზე რეკონსტრუირებული ფუძეენა და მისი დიაქრონიული განვითარების სურათი გვაძლევს გარკვეულ ინფორმაციას ხალხთა გენეტიკური კავშირების, მათი პირველსაცხოვრისისა და ისტორიული მიგრაციების მიმართულებების შესახებ.

II. კვლევის საგნის შემოსაზღვრა: ადამიანის სხეულის ნაწილები და შინაგანი ორგანოები ქართველურ ენებში

„ენათა შორის სხვაობა არა ბგერათა და ნიშანთა, არამედ თვით სამყაროს ხედვათა შორის განსხვავებას წარმოადგენს“ (ჰუმბოლდტი 1920); ამდენად, შედარებით ენათმეცნიერებას მხოლოდ მაშინ შეუძლია მიგვიყვანოს საიმედო და ღირებულ დასკვნებამდე ენის, ერთა განვითარებისა და ადამიანის ჩამოყალიბების შესახებ, თუკი ის წარმოდგენილი იქნება როგორც თავისთავადი კვლევა საკუთარი მიზნებითა და ღირებულებებით. „სწორედ ენა, ადამიანის მიერ ენის საშუალებით მისაღწევი მიზნები, ადამიანთა მოდგმა საერთოდ მის პროგრესულ განვითარებაში და ცალკეული ერები წარმოადგენენ ოთხ საგანს, რომლებსაც ენათა შედარებითი კვლევა მათ ურთიერთდამოკიდებულებაში უნდა განიხილავდეს“ (ჰუმბოლდტი 2015). ამგვარი კვლევისათვის მნიშვნელოვანია: 1. ყოველი კონკრეტული ენისა და ამ ენის ყოველი მოვლენის გამოწვლილვითი ანალიზი; 2. ამ მოვლენის სინქრონიულსა თუ დიაქრონიულ დინამიკაში წარმოჩენა; და ამ საფუძვლებზე – 3. ტიპოლოგიური თუ გენეტიკური ხასიათის შეძლებისდაგვარად ამომწურავი, ზოგადი, უნივერსალური თუ სპეციფიკური ვითარების გარკვევა.

ამ ზოგადი მიზნების ფონზე, ჩვენი ინტერესის სფერო და შესწავლის საგანი შემოისაზღვრა პირველადი ლექსიკური კატეგორიების, კერძოდ, ადამიანის სხეულის ნაწილებისა და შინაგანი ორგანოების სემანტიკური ველის ფარგლებში სტრუქტურირებული ლექსიკური ერთეულების კვლევით დიაქრონიულ დინამიკაში, კონკრეტულად ქართველურ ენობრივ სივრცეში.

ადამიანის სხეულის ნაწილები და შინაგანი ორგანოები ენის ძირითად ლექსიკურ ფონდს შეადგენს და, სავარაუდოდ, ენათა უძველესი ვითარების ამსახველ მონაცემებშიც უნდა იყოს დაფიქსირებული ამა თუ იმ სახით.

ქართველოლოგიაში არსებული სამეცნიერო ლიტერატურა ამგვარი კვლევის წარმოების კარგ პირობებს იძლევა, რამდენადაც არა მხოლოდ ქართულ, არამედ უცხოურ საენათმეცნიერო ლიტერატურაშიც საკმაოდ მოიპოვება შესაბამისი კვლევისათვის აუცილებელი და სასარგებლო შრომები (იხ. თანდართული ბიბლიოგრაფია).


აქ წარმოდგენილი ანალიზი ძირითადად ემყარება ჰაინც ფენრიხისა და ზურაბ სარჯველაძის ნაშრომს „ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი“ (თბილისი, სპუ გამომცემლობა, 2000).[1]

1 ულრმესი მადლობა სოფო სარჯველაძეს, რომელმაც კეთილი ნება გამოავლინა და უფლება მოგვცა ეს მასალა გამოგვეყენებინა ჩვენს ნაშრომში.


III. საერთო-ქართველური ენა და მისი დამოუკიდებელ ენებად განვითარების პროცესი

უპირველეს ყოვლისა, უნდა განისაზღვროს ქართველურ ენათა განვითარება-დიფერენციაციის საკითხები.

საერთო-ქართველური ენის ისტორიულ ქართველურ დიალექტთაგან განვითარებული თანამედროვე ენების – ქართულის, სვანურის, მეგრულისა და ლაზურის (იგივე, ჭანური) – ნათესაობა და მათი საერთო წარმომავლობა ეჭვს არ იწვევს, საკამათოა მათი დიაქრონიული განვითარების გზების მიმართულების განსაზღვრის საკითხი. თანამედროვე ქართველურ ენათა შორის დადგენილ შესატყვისობათა განსხვავებული ინტერპრეტაციები საშუალებას იძლევა რეკონსტრუირებული საერთო-ქართველური ენის განვითარებისა და შემდგომი დიფერენციაციის პროცესი ძირითადად რამდენიმე განსხვავებული მიმართულებით განხორციელებულ დიაქრონიულ ცვლილებათა ანარეკლად წარმოვადგინოთ. პირველის მიხედვით (დეეტერსისეული სქემა), ქართველურ ენათა დიფერენციაციის პირველ საფეხურზე გამოიყო სვანური დიალექტი, რომლის განვითარების შედეგად ჩამოყალიბდა თანამედროვე სვანური ლინგვისტური რეალობა. შემდგომ, მეორე, საფეხურზე დაიშალა ქართველურ-მეგრულ-ჭანური ერთიანი ენობრივი სივრცე და დამოუკიდებელი ლინგვისტური განვითარების გზას დაადგა ქართული. დაბოლოს, ზანური ერთობის დიფერენციაციის შედეგად წარმოიქმნა მეგრული და ლაზური (იგივე, ჭანური), რომელთა დამოუკიდებელი ლინგვისტური სტატუსი მეცნიერთა ჯგუფისათვის დღესაც საკამათოა:



მეორე ინტერპრეტაციის მიხედვით (ლომთათიძე, ქურდიანი, აბაშია), პირველ ეტაპზე ერთმანეთისგან გაიმიჯნა ქართული და მეგრულ-ლაზურ-სვანური ერთობა, ხოლო შემდგომ ეტაპზე, პირველ რიგში, გამოიყო სვანური, შემდეგ კი დაიშალა ზანური:




პირველი ინტერპრეტაციის განმსაზღვრელი არგუმენტია ქართველურ ენებში დადასტურებული საერთო ლექსიკური ფონდი, რომელიც რეკონსტრუირდება ძირითადი ლექსიკური ფონდის მკაცრი და რეგულარული ბგერათშესატყვისობების საფუძველზე: დღესდღეობით გამოვლენილი საერთო ლექსიკის მიხედვით ქართულ-ზანური მეტ სიახლოვეს ავლენს, ვიდრე სვანურ-ზანური ან სვანურ-ქართული; მეორე სქემა კი

ძირითადად ეფუძნება თანხმოვან ფონემათა (სიბილანტთა) შესატყვისობებს.

საზოგადოდ, ქართველურ ენათა შორის გამოვლენილ ბგერათ-შესატყვისობათა მიხედვით შემდეგი სურათი იკვეთება: სიბილანტთა მიხედვით საერთო ვითარებას გვიჩვენებს სვანური და ზანური (ე.წ. შიშინა დიალექტები), რომლებიც ამ თვალსაზრისით უპირისპირდებიან ქართულს (ე.წ. სისინა დიალექტი), ხოლო ხმოვან ფონემათა შესატყვისობები განსხვავებულ ვითარებას ასახავენ: ქართული და სვანური ა-ფონემის შესატყვისად ზანურში ო-ფონემა ფიქსირდება. თუ ამ ორივე ნიშნის მიხედვით შევუპირისპირებთ ერთმანეთს ქართველურის დიალექტებს, რთული დასადგენი იქნება მათი სიშორე-სიახლოვის საკითხი, რამდენადაც ერთი ნიშნის (სიბილანტების) მიხედვით სახეზეა დამთხვევა სვანურსა და ზანურს შორის, მეორე ნიშნის (ხმოვნების) მიხედვით კი სვანურსა და ქართულს შორის:

	სიბილანტები	ხმოვნები
ქართული	*ს*	*ა*
სვანური	*შ*	*ა*
ზანური	*შ*	*ო*

ამდენად, ქართველურ ენათა განვითარების თეორიულად დასაშვებ ვარიანტთა მიხედვით შესაძლებელია დიაქრონიული ცვლილებების ამსახველი მესამე სქემის წარმოდგენაც, რომელსაც საფუძვლად დაედება ქართველურ ენათა ხმოვანთ-შესატყვისობები:



მაგრამ ბგერათშესატყვისობებზე დაფუძნებული ბოლო ორი სქემა წინააღმდეგობაში მოდის რეკონსტრურებულ საერთო ლექსიკურ ფონდთან, რაც გლოტოქრონოლოგიური მიდგომის მიხედვით, რომელიც ლექსიკურ შესატყვისობათა ლინგვოსტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით ადგენს ენათა დიფერენციაციის სავარაულო თარიღებს, გადამწყვეტია. ამდენად, ქართველოლოგიური კვლევების ამ ეტაპზე, იმ მასალის მიხედვით, რაც დღეისათვის გამოვლენილია ლექსიკურ ერთეულთა შესატყვისობათა საფუძველზე, უპირატესობა უნდა მიენიჭოს ქართველურ ენათა ისტორიული დიფერენციაციის დეეტერსისეულ სქემას. ამ სქემის მიხედვით კი, თუ რომელიმე სემანტიკურ ველს გავაანალიზებთ დიაქრონიულ პერსპექტივაში, დინამიკური პროცესის სახით – რაც გულისხმობს სინამდვილის სტრუქტურირების თანდათანობით დეტალიზაციას, ანუ, არამარკირებული კატეგორიების შემდგომ დიფერენციაციასა და ახალწარმოქმნილი ქვეკატეგორიების მარკირების საფუძველზე ახალი სტრუქტურულ-სემანტიკური ლექსიკური ერთეულების წარმოქმნას – ერთმანეთს უნდა შევუპირისპიროთ საერთო-ქართველურისა და საერთო-ქართულ-მეგრულ-ლაზური დონეებისათვის რეკონსტრუირებული ლექსიკური ერთეულები.

IV. ადამიანის სხეულის ნაწილებისა და შინაგანი ორგანოების ამსახველი ლექსიკა ქართველურ ენებში

4.1. საერთო-ქართველური მასალა

4.1.1. სხეულის ნაწილები

საერთო-ქართველურ დონეზე რეკონსტრუირებულია შემდეგი ლექსიკა (ფენრიხი, სარჯველაძე 2000):

* **ბარკ-**

ქართ. **ბარკ-** **ბარკ**-ალ-ი; სა-**ბარკ**-ალ-ი «ერთგვარი ხმალი»

მეგრ. **ბორკ-** **ბორკ**-ი «ფეხი»

სვან. **ბარკ-** **ბარკ**-ა̈ «მრუდეფეხა (კოჭლი)»

გვხვდება ძველ ქართულში: შეახო ვრცელსა **ბარკლისა** მისისასა და დაუბუშა ვრცელი **ბარკლისა** იაკობისი, შესაქმ. 32,26 O; შეუბამნ კაცად-კაცადსა ჴრმალი ... და **საბარკალი** ბარკალსა თჳსსა, ნეემ. 4,18 O; აღმოჰჴადა **საბარკალი** მისი მისგან, ივდით 13,6 O და სხვ.

ძველ ქართულში **ბარკ-ალ-** ფუძე «ფეხსაც» აღნიშნავდა: იგი კელობდა **ბარკლითა**, შესაქმ. 32,32 O (იხ. ЭСКЯ, 49). მისი ძირითადი მნიშვნელობა – «ბარკალი» – ძველსა და ახალ ქართულში მეორეული ჩანს.

მეგრული **ბორკ-** კანონზომიერად შეესატყვისება **ბარკ-** ფორმას. მეგრულში დასტურდება კომპოზიტი **ჟირბორკამ-ი** «ორფეხა (=ადამიანი)» (იხ. Кипшидзе 1914, 206). მეგრულში

«ფეხის» მნიშვნელობით ძირითადად **კუჩხ**-ი იხმარება. ლაზურშიც **კუჩხ**- ძირი არის გაბატონებული.

მეგრულში **ბორკ**- სახელური ფორმიდან ნაწარმოებია ზმნური ფორმები: **ვ-ბორკ-უნ-ქ** «ფეხებს ვუკრავ»; **დო-ვ-ბორკ-ი** «ფეხები შევუკარი»; **ბორკ-უ-ა** «ფეხების შეკვრა»; **ბორკ-ილ-ი** «შეკრული»;

ო-ბორკ-ალ-ი «ბორკილი» და სხვ. (იხ. Кипшидзе 1914, 206).

ლაზურში შესატყვისი ფუძე არ ჩანს.

ლ. გელენიძის აზრით, სვანური **ბარკ-ა̈** ფუძე შეიცავს ქართული **ბარკ**- და მეგრული **ბორკ**- ფორმების კანონზომიერ სვანურ შესატყვისს (გელენიძე 1974, 81). ვ. თოფურიას ვარაუდი ქართული **ბარკ-ალ**- და სვანური **ღუ̈არკლა̈**- ფუძეთა მიმართების შესახებ დამაჯერებელი არაა (თოფურია 1930, 232; შდრ. Schmidt 1962, 28).

ბორკ-ილ- ფუძე, რომელიც უძველეს ქართულ წერილობით ძეგლებშია დადასტურებული, მეგრულიდან ან ლაზურიდან არის ნასესხები (გონიაშვილი 1940, 594): შეკრა იგი **ბორკილითა,** იერ. 39,17 O; დაამდაბლნეს **ბორკილითა** ფერჴნი მისნი, ფსალმ. 106,18; რომელი კრულ არს, სტკივის, და **ბორკილოსანი** აგრძნობს, ხოლო გონებაჲ შეკრულ არს და ვერ აგრძნობს, მამ. სწავლ. 276,16-18 და მისთ.

ქართულში ამ ფუძის ნასესხობას მოწმობს ის, რომ **ბორკ**-ზმნა, რომლის ვნებითი გვარის მიმღეობაა **ბორკილ**-ი, ძველ ქართულში არ ჩანს. სამაგიეროდ, დასტურდება **ბორკილ**-ფუძისაგან ნაწარმოები პირიანი ფორმები: ჰეროდე მაშინ შეიპყრა იოჰანე და **შებორკილა,** მ. 14,13 (ხანმ.; ჰაემ.); შეიპყრეს მანასე და **შეაბორკილეს** ბორკილითა და წარიყვანეს ბაბილონად, II ნეშტ. 33,11 (მცხეთ.) და მისთ. გვაქვს აქედან წარმოქმნილი მიმღეობაც: შევედინ შენ წინაშე სულთქუმაჲ **შებორკილებულთაჲ,** სიმდიდრითა მკლავისა შენისაჲთა შეეწიე შვილთა

მოკლულთასა, ფსალმ. 78,11 გ; რაჲთა შეისმინოს სულთქუმაჲ **შებორკილებულთაჲ**, იქვე 101,21 გ და სხვ.

აღსანიშნავია, რომ ძველ ქართულში **ბორკილ-** სიტყვის სინონიმია **საკველ-**: არა ჯერ-ხიყოა განწესნად **საკველთა** მისთა დღესა შაბათსა? ლ. 13,17 (ხანმ.); რაჲთა მიხუემსგავსნეთ ჩუენ პატიოსანსა მას მოძღუარსა ჩუენსა, ძესა ღმრთისასა, რომლისათჳს თქუენ აღხდეგით და **საკველითა** შეხკართ იგი, აპოკრ. მოციქ. 390,20 (ხანმ.) და ა. შ. **საკველ-** მიმღეობა უკავშირდება **კარ-/კრ-** ზმნურ ძირს.

ბორკვა ზმნა გვხვდება გურულში და ზანიზმს წარმოადგენს.

ქართული **ბარკ-ალ-** და მეგრული **ბარკ-** ერთმანეთთან ნ. მარმა დააკავშირა (Марр 1913c, 27); სვანური ეკვივალენტი გამოავლინა ლ. გელენიძემ (გელენიძე 1974, 81). ***ბარკ-** არქეტიპი საერთოქართველური ფუძე-ენის დონისათვის აღადგინა გ. კლიმოვმა (Klimov 1998, 8). გამორიცხული არაა, **ბარკ-** ფუძეს წარმოადგენდეს, რომელშიც **ბარ-** იყოს ძირეული მორფემა, ხოლო **-კ** სუფიქსური.

***ბერკ-**

ქართ. **ბერკ-/ფერკ-**; **ფეხ-** სა-**ბრკ-ე**; **ფერკ-ი**; **ფეხ-ი**

მეგრ. **ბახ-** ო-**ბახ-ე** «ალაგე»

სვან. **ბარკ-** ნა-**ბარკ** «კვალი»; **ბერკ/ბაკ/ბაკ** «ნაბიჯი»

გვხვდება ძველ ქართულში: უკუეთუ **ფერკი** შენი გაცთუნებდეს შენ, მოიკუეთე და განაგდე შენგან, მ. 18,8 (ხანმ.); დაამტკიცენ **ფეკნი** ჩემნი ალაგთა შენთა, ფსალმ. 16,5 B; რაჲთა სიტყჳთა **საფრკმ** უგონ მას, მ. 22,15; რაჲთა განერე, ვითარცა ქურციკი, **საბრკესა**, იგავნი 6,5 O; გამომიყვანე მე **საბრკისა** მისგან, რომელ დამირწყეს მე, ფსალმ. 30,5 და სხვ.

ფერკ-<ბერკ- ასიმილაციური დაყრუების შედეგად. ახალი ქართული **ფეხ-<ფერკ-** რ-ს დაკარგვისა და **კ>ხ** პროცესის შედეგად.

მეგრული **ბახ-**(<***ბარკ-**) კანონზომიერად შეესატყვისება ქართულ **ბერკ-** ძირს.

სვანური **ბჯრკ-** (ნა-**ბარკ-**<***ნა-ბჯრკ-**ა «კვალი») აგრეთვე კანონზომიერად შეესატყვისება ქართულ **ბერკ-**ს (იხ. ქალდანი 1969).

ქართველურ ენათა მასალა შეაპირისპირა ვ. თოფურიამ (თოფურია 1927, 308). ***ბერკ-** არქეტიპი საერთოქართველური ფუძე-ენის დონეზე აღადგინა გ. კლიმოვმა (ЭСКЯ, 50).

***გუგ-**

ქართ. **გუგ-** **გუგ-ა**

მეგრ. **გუგ-/გუნგ-** **გუგ-ა/გუნგ-ა** «გუგა»

სვან. **გუიგუ-** **გუიგუ** «გუგა»; **გუგ-ა̈რ** «გუგები»

გვხვდება ძველ ქართულში: დამიცევ მე, უფალო, ვითარცა **გუგაჲ** თუალისა, ფსალმ. 16,8; ყოველსა თუალსა ისარი უც ნაცვალად **გუგისა** და იხედავს საქმეთათჳს ბოროტთა, პარხლ. მრავალთ. 764, 13-15b და სხვ.

ქართულ **გუგ-ა** ფუძეს შეესატყვისება მეგრული **გუგ-ა/გუნგ-ა**. ფუძის ბოლოკიდურა პოზიციაში შესატყვისობა ქართული **ა** : მეგრული **ა** კანონზომიერია (იხ. **Климов, Мачавариани** 1966, 19-25). **გუნგ-ა** ფორმაში **ნ** განვითარებულია (**გ**-ს წინა პოზიციაში **ნ** მეგრულში ვითარდება ხოლმე; იხ. ჟღენტი 1953, 99).

სვანური **გუიგუ** (შდრ.: მრ. რ. **გუგ-ა̈რ**) ქართული **გუგ-** ძირის შესატყვისი უნდა იყოს.

ქართველურ ენათა მასალა შეაპირისპირა და საერთო-ქართველური ფუძე-ენის დონისათვის *გუგა- არქეტიპი აღადგინა გ. კლიმოვმა (Klimov 1998, 34).

*დუდ-

ქართ. დუდ- დუდ-ი «ქათმის ბიბილო»

მეგრ. დუდ- დუდ-ი «თავი»

ლაზ. დუდ- დუდ-ი «თავი; კეფა; სათავე»

სვან. დუდ- დუდ-ულ «ძუძუსთავი»

ქართული ენის ზოგ დიალექტში (ფერეიდნული, ზემო-აჭარული, გურული) დუდი ნიშნავს «ქათმის ბოლოს; თავის თხემს» (ღლონტი 1974, 213).

ქართულ დუდ- ძირს კანონზომიერად შეესატყვისება მეგრ. დუდ-, ლაზური დუდ- და სვანური დუდ- (სვანურში -ულ კნინობითის მაწარმოებელია).

მეგრული და ლაზური ენების მასალა შეაპირისპირა არნ. ჩიქობავამ (ჩიქობავა 1938, 44); ქართული და სვანური ეკვივალენტები გამოავლინა და საერთოქართველური ფუძე-ენის დონისათვის *დუდ- არქეტიპი აღადგინა გ. კლიმოვმა (ЭСКЯ, 75).

*თავ-

ქართ. თავ- თავ-ი; თავ-თავ-ი ...

მეგრ. თი- თი «თავი; სახლი; ოჯახი»;

ლაზ. თი- თი «თავი; თავთავი»; თი-მანდილონი «თავმანდილიანი»; თი-მჩხუ «თავმსხვილა»; თი-კუჩხეთე «თავიდან ფეხებამდე» ...

სვან. შდა/შდაუ შდა «თავთავი»; შდა-შუ «თვითონ»; ჩერ-შდა «თითისტარი»; შდაუ-შ «ცალკე» ...

დასტურდება ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში: მოხკუეთა თავი იოჰანეს, მ. 14,10 (ხანმ.); ხიცხე თავსა შენსა და

იბანე პირი შენი, მ. 6,17 (ხანმ.); **თავადი** დგა კიდესა თანა ტბისა მის გენესარეთისასა, ლ. 5,1 (ხანმ.); იგი არს **თავადი** ყოვლისა მთავრობისაჲ, კოლ. 2,10; ესე **მთავარი** ხიყო შესაკრებელისაჲ, ლ. 8,41 (ხანმ.); **თჳთ** იგი დავით ხიტყჳს წიგნსა ფსალმუნთასა, ლ. 20,42 (ხანმ.); მთოვარემან არა გამოხცეს ნათელი **თჳსი**, მ. 24,29 L და სხვ.

თავ- ძირისაგან ძველსა და ახალ ქართულში იწარმოება მრავალი ფუძე, **თავ-** შედის ბევრი კომპოზიტის შემადგენლობაში.

ქართულ **თავ-** ძირს კანონზომიერად შეესატყვისება მეგრული **თი/ თუ-** (შემონახულია ზმნურ ფორმებში; **რთუ<თუ რ-**ს განვითარების შედეგად), ლაზური **თი** (მეგრული **თი** და ლაზური **თი** <საერთოზანური ***თოუ̌** ტ. გუდავას წესის მიხედვით: **ოვი>ითი>ი**; შდრ.: ჩიქობავა 1938, 43-44; ЭСКЯ, 175; Klimov 1998, 66) და სვანური **შდაუ̌/შდა**.

ლაზურსა და სვანურ ძირებს აქვს «თავთავის» მნიშვნელობა; ამავე მნიშვნელობით იხმარება ეს ძირი ძველ ქართულშიც: ქუეყანაჲ ნაყოფსა გამოიღებნ: პირველად წუელი, მერმე **თავი** და ... იფქლი **თავსა** მას შინა, მრკ. 4,28 (ხანმ.); მოწაფეთა მისთა შეხემშია და იწყეს მუსრვად **თავისა**, მ. 12,1 (ხანმ.) და სხვ.

მეგრული **თუ-დო** («ქვემოთ») და ლაზური **თუ-დე** («ქვემოთ») ზმნიზედები კანონზომიერად უნდა შეესატყვისებოდნენ ქართულ **თავ-და** (**თავდალმა**) ზმნიზედას (იხ. Klimov 1998, 66).

სვანური **შდა-შუ̌** (მოქმედებითი ბრუნვის ფორმა) იხმარება განსაზღვრებითი ნაცვალსახელის (**თჳითონ**) მნიშვნელობით; ასევეა ძველ ქართულშიც: **თჳთ** იგი დავით ხიტყჳს წიგნსა ფსალმუნთასა, ლ. 20,42 (ხანმ.); **თჳთ** იგი დავით უფლით ხხადის, ლ. 20,44 (ხანმ.); **თჳთ** იესუ არა ხარწმუნებდა, ი. 2,24 (ხანმ.); მან **თჳთ** იცოდა, ი. 2,25 (ხანმ.) და სხვ.

სვანურში **შდა-** ძირს უკავშირდება «ცალკე» მნიშვნელობის გამოხატვა (**შდჳ-შ**); ძველ ქართულშიც **თავ-** ძირისაგან ნაწარმოები ფორმები გადმოსცემენ ამ მნიშვნელობას: ვარშამაგი იგი, რომელ იყო თავსა მისსა, არა სხუათა მათ მჩუართა თანა იდვა, არამედ **თჳსა** შეკეცილი ერთსა ადგილსა, ი. 20,7 C; წარვიდა **თჳსაგან** და დახუკრდა საქმჱ ესე, ლ. 24,12 L და სხვ.

ქართველურ ენათა მასალა შეაპირისპირა ვ. თოფურიამ (თოფურია 1926, 201). საერთოქართველური ფუძე-ენის დონისათვის აღდგება ***თაჳ-** არქეტიპი (ფენრიხი, სარჯველაძე 1990, 142; Klimov 1998, 66; შდრ.: ЭСКЯ, 175).

***თუალ-**

ქართ. **თუალ- თუალ-ი, თვალ-ი** (ახ. ქართ.); წყაროს-**თუალ-ი** «წყარო» ...

მეგრ. **თოლ- თოლ-ი** «თვალი»; **თოლ-ფირჩ-ა** «დიდთვალება»; **თო-ჭუ** «ბრმა (სიტყვა-სიტყვით: თვალდამწვარი)»; **ო-თოლ-ე** «ფანჯარა (სიტყვა-სიტყვით: სათვალე)» ...

ლაზ. **თოლ- თოლ-ი** «თვალი»; მჩხუ-**თოლ**-ონ-ი «მსხვილთვალა»; მჭიფე-**თოლ**-ონ-ი «წვრილთვალა»; **თოლ-ი-ღულ-ა** «ელამი»; წყარ-**თოლ-ი** «წყარო (სიტყვა-სიტყვით: წყაროსთვალი)» ...

სვან. **შდულ- შდულ/შდულ-უ-ა̈შ** «სათოფური; სათოფურისა» ...

გვხვდება უძველეს ქართულ წერილობით ძეგლებში, სადაც ამ ძირს უკავშირდება «თვალის, ძვირფასი ქვის, წყაროს სათავის, ბორბლის, ბუშტის» მნიშვნელობები: უკუეთუ **თუალი** შენი მარჯუენჱ გაცთუნებდეს შენ, მ. 5,29 (ხანმ.); ხუმჯობჱს არს შენდა ერთითა **თუალითა** შესლვად სასუფეველსა, მრკ. 9,47 (ხანმ.); არს **თუალი** იგი მბრწყინვალებისა გამომცემელ, შატბ. კრებ. 128,11; ვერშესაძლებელ არს ერთისა **თუალისა** წყაროჲსაგან გამოდინებად ტკბილი და მწარე, Ath.-11 223v; აჰა, ესერა,

გყავ შენ, ვითარცა **თუალი** ურმისაჲ მლეწველი, ესაია 41,15 J; დაჴსნაჲ მისი მსგავს არს **თუალსა** მას შებერულსა, რომელი ჟამსა წჳმისასა იხილვის წყალთა ზედა მყის და მუნთქუესვე დაშრტის, ვითარცა არაყოფილი, კაცისა აგებ. 187, 3-5 და სხვ.

ქართულ **თუალ-** ძირს კანონზომიერად შეესატყვისება მეგრული **თოლ-**, ლაზური **თოლ-** (მეგრულისა და ლაზურისათვის ამოსავალია საერთოზანური ***თუ̆ოლ-**, შდრ.: ჩიქობავა 1938, 45; Schmidt 1962, 113) და სვანური **შდულ-** (ქართ. **თ** : სვან. **შდ** შესატყვისობისათვის იხ. თოფურია 1926, 198-219; მელიქიშვილი 1981, 70-78; **შდულ-უ̆-ჯშ** ფუძეში **უ̆** ასიმილაციურად ჩანს განვითარებული (შდრ.: Schmidt 1962, 113).

ქართული, მეგრული და ლაზური ენების მასალა შეაპირისპირა გ. როზენმა (Rosen 1845, 30); ქართული და სვანური – გ. დეეტერსმა (ამის შესახებ იხ. Schmidt 1962, 113). ***თუ̆ალ-** არქეტიპი საერთოქართველური ფუძე-ენის დონეზე აღადგინა გ. კლიმოვმა (ЭСКЯ, 93; Klimov 1998, 70; შდრ.: Schmidt 1962, 113).

***თომ-**

ქართ. **თმ- თმ-ა-ჲ** «თმა; ბეწვი»; **თმ-ოსან-ი** ...

მეგრ. **თომ-/თუმ- თომ-ა/თუმ-ა** «თმა»: **თომ-ა-ლ-ეფ-ი** «თმები»

ლაზ. **თომ-/ნთომ- თომ-ა/ნთომ-ა** «თმა»; **თომ-ონ-ი** «თმიანი»

სვან. **შდომ-/შდო̆მ-/შდჯმ- შდომ/შდო̆მ/შდჯმ** «ალერგიული გამონაყარი»

დასტურდება ძველ ქართულში: **თმაჲ** თავისაგან თქუენისა არა წარწყმდეს, ლ. 21,18 (ხანმ.); ვერშემძლებელ ხარ ერთისა **თმისა** განთეთრებად, ანუ დაშავებად, მ. 5,36 (ხანმ.); ჰქმნე გარდასაბურველი **თმისაჲ** საბურველად კარვისა მის, ათერთმეტი საბურველი უქმნე მას, გამოსლვ. 24,7 O; ემოსა იოანეს სამოსლად **თმისაგან** აქლემისა, მრკ. 1,6 DE და სხვ.

ქართულ *თომ- ძირს კანონზომიერად შეესატყვისება მეგრული თომ-, ლაზური თომ- (ნთომ-<თომ- ნ-ს განვითარების შედეგად; წინაენისმიერ ხშულთა წინ ლაზურსა და მეგრულში ნ თანხმოვნის განვითარების შესახებ იხ. ჟღენტი 1953, 92-98) და სვანური შდომ. სვანურისა და სხვა ენათა ეკვივალენტებს შორის სემანტიკური სხვაობა აშკარაა, მაგრამ აუხსნელი – არა.

ქართული, მეგრული და ლაზური ენების მონაცემები შეაპირისპირა გ. როზენმა (Rosen 1845, 30); სვანური ეკვივალენტი გამოავლინა ჰ. ფენრიხმა (Fähnrich 1984, 42). გ. კლიმოვმა ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისათვის აღადგინა *თმა- არქეტიპი (ЭСКЯ, 95; Klimov 1998, 73).

*თხემ-

ქართ. თხემ- თხემ-ი «თხემი; თავი; ქალა; მწვერვალი»

სვან. თხუმ- თხუმ «თავი»; მა-თხუმ-ი «მეთაური»

გვხვდება ძველ ქართულ ძეგლებში: მოვიდეს ადგილსა, რომელსა ხრქჳან გოლგოთა, რომელ არს თხემისა ადგილი, მ. 27,33 (ხანმ.); მე ვდგე თხემსა ზედა მის ბორცჳსასა, გამოსლვ. 17,9 O; ჯდა თხემსა ზედა მთისასა, IV მეფ. 1,9 O; პეტრეს, თხემსა მას მოციქულთასა, საძირკუელსა მას შეურყეველსა, კლარჯ. მრავალთ. 367,36; თქუმული იოვანე ოქროპირისაჲ წმიდათა მათ თხემთა მოციქულთა პეტრეს და პავლჱსთჳს, პარხლ. მრავალთ. 77v,1-3a; მივიდეს დაფლვად მისა და არა პოვეს მისგანი, გარნა თხემი ხოლო და ფერჴნი და ნებნი ჴელთა მისთანი, IV მეფ. 9,35 O და სხვ.

ქართულ თხემ- ძირს სვანურში შეესატყვისება თხუმ (ქართული ე-ს შესატყვისად სვანურში უ-ს გამოვლენა მ-ს ზეგავლენით აიხსნება; ამ მოვლენის შესახებ იხ. მაჭავარიანი 1956, 367; შდრ.: ЭСКЯ,97; სვანურში არის ნაუმლაუტევი თხუმ ვარიანტიც, იხ. ЭСКЯ,97).

ქართული და სვანური ენების მასალა მ. ჯანაშვილმა შეაპირისპირა (იხ. Erckert 1895, 292). გ. კლიმოვმა საერთოქართველური ფუძე-ენის დონისათვის აღადგინა *თხამ- არქეტიპი (ЭСКЯ,97; Klimov 1998, 77).

*მკარ-

ქართ. მკარ- მკარ-ი; მხარ-ი (ახ. ქართ.); სა-მკარ-ი «სამხრე»

მეგრ. ხუჯ- ხუჯ-ი «მხარი»

ლაზ. მხუჯ-/ფხუჯ-/ხუჯ- მხუჯ-ი/ფხუჯ-ი/ხუჯ-ი «მხარი»

სვან. მჷკარ-/მჷკარ-/მჷკარ- მჷკარ /მჷკარ/მჷკარ «ხელი (იდაყვამდე)»

დასტურდება ძველ ქართულში: შეგემთხჳის თქუენ კაცი, რომელსა ლაგჳნითა წყალი ზეხედგას მკარსა, მრკ. 14,13 (ხანმ.); ქვაჲ სარდიონი და ანთრაკები გამოსაქანდაკებელად, სამკართათჳს და საწკვეთა, გამოსლვ. 25,7 O; დასდვა სამკართა მათ ზედა საკითხავი იგი, ლევ. 8,8 O და სხვ.

ქართულ მკარ- ძირს კანონზომიერად შეესატყვისება მეგრული ხუჯ-, ლაზური მხუჯ- (მეგრულისა და ლაზურისათვის ამოსავალია საერთოზანური *მკოჯ- არქეტიპი; ო>უ მ-ს ზეგავლენით; იხ. გუდავა 1960, 121-122; მეგრულის ანლაუტში მ თანხმოვნის წინ დაკარგულია; ამ მოვლენის შესახებ იხ. გუდავა 1979, 82-84; შდრ.: ჩიქობავა 1938, 57-58; შესატყვისობისათვის ქართ. რ : მეგრ. ჯ : ლაზ. ჯ იხ. Марр 1909, 3-4; ლაზური ფხუჯ- <მხუჯ- ასიმილაციით, შდრ.: ჩიქობავა 1938, 58) და სვანური მჷკარ.

ქართული და მეგრული ენების მონაცემები შეაპირისპირა მ. ბროსემ (Brosset 1849, 76). ლაზური და სვანური მასალა მოიხმო ნ. მარმა (Марр 1909, 3-4). საერთოქართველური ფუძე-ენის დონეზე *მკარ- არქეტიპი აღადგინა გ. კლიმოვმა (ЭСКЯ, 144; Klimov 1998, 134).

*ნენ-

ქართ. ენ- ენ-ა «ენა; სიტყვა»

მეგრ. ნინ- ნინ-ა «ენა; სიტყვა»

ლაზ. ნენ- ნინ-ა «ენა; სიტყვა»

სვან. ნინ-/ნჳნ- ნინ «ენა»; ნჳნ-ირ-ა̈ლ «ენები»

დასტურდება ძველ ქართულში: იხარებდენ გლახაკნი მშიერნი და ნაკლულევანნი, ეძიებდენ წყალსა და არა ჰპოებდენ და ენანი მათნი წყურილითა განჴმენ, ესაია 41,17; ენაჲ მცირჱ ასოჲ არს და დიდად მაღლოვის, იაკობ 3,5; ვხედავთ ყოველი, რომელი ილოცავს და იგლოვს, ითხოვს, რაჲთა დაიცვას იგი ენისაგან, აწ უკუე ვინაჲთგან სიკუდილი და ცხორებაჲ ენისაგან იქმნების, მამ. სწავლ. 9,9-11; ენათა ახალთა იტყოდიან, მრკ. 16,17; კაცსა ენოვანსა არა წარემართოს ქუეყანასა ზედა, კაცი ცრუჲ ძჳრმან მოინადიროს, ფსალმ. 139,2 და სხვ.

*ნენ- ძირს კანონზომიერად შეესატყვისება მეგრული ნინ-, ლაზური ნინ- და სვანური ნინ- (ხმოვანთშესატყვისობათა რეგულარულობის დარღვევა ნ-ს ზეგავლენითაა შეპირობებული, იხ. მელიქიშვილი 1975, 122-128).

ქართული და მეგრული ენების მასალა შეაპირისპირა გ. როზენმა (Rosen 1845, 30); სვანური და მეგრული – ა. გრენმა (Грен 1890, 140); სვანური და მეგრული – ო. უორდროპმა (Wardropp 1911, 630). გ. კლიმოვმა საერთოქართველური ფუძეენის დონისათვის აღადგინა *ნენა- არქეტიპი (ЭСКЯ,147; Klimov 1998, 141; შდრ.: ჩიქობავა 1938, 53). *ნენ- სიმბოლური ხასიათის ძირი უნდა იყოს.

*პირ-

ქართ. პირ- პირ-ი «პირი; სახე; ნაპირი ...»; მო-პირ-ვ-ა ...

მეგრ. პირ-/პიჯ- პიჯ-ი «პირი; სახე; ნაპირი ...»; პირ-უ-ა «მოპირვა»; პიჯ-ალ-ა «პირობა» ...

ლაზ. პიჯ- პიჯ-ი «პირი; სახე; ნაპირი ...»

სვან. **პილ-** **პილ** «ტუჩი; ნაპირი»

გვხვდება უძველეს ქართულ წერილობით ძეგლებში, სადაც **პირ-**ი იხმარება «პირის, ზედაპირის, სახის, თვისების, განზრახვის, წინამხარის, უკუქცევითი ნაცვალსახელის, საწინააღმდეგო მხარის, სიტყვის, საქმის» მნიშვნელობებით: ნამეტავისაგან გულისა **პირი** ხიტყჳს, მ. 12,34 (ხანმ.); არა თუ **პირად** შემავალი შეხაგინებს კაცსა, მ. 15,11 (ხანმ.); იქმნა ლოდი იგი, ვითარცა ფურცელი, **პირსა** ზედა წყლისასა აღებულ და მოცუმულ, ისტ. ქრესტ. II 60,14-15; დავაყენო მათგან ცუარი ცისაჲ და წჳმაჲ და განვაჴმო **პირი** ქუეყანისაჲ, კლარჯ. მრავალთ. 286,15-16; შენ რაჟამს ხიმარხვიდე, ხიცხე თავსა შენსა, და იბანე **პირი** შენი, მ. 6,17 (ხანმ.); ორგულნო, **პირი** ქუეყანისაჲ და ცისაჲ ხიცით გამოცდად, ხოლო ჟამი ესე ვითარ არა გამოხიცადით? ლ. 12,56 (ხანმ.); თავადმან დაამტკიცა **პირი** თჳსი აღსლვად იერუსალჵმდ, ლ. 9,51 (ხანმ.); **პირი** მისი ხიყო მისლვად იერუსალჵმდ, ლ. 9,53 (ხანმ.); რომელმან განხმზადნეს გზანი შენნი წინაშე **პირსა** შენსა, მ. 11,10 (ხანმ.); თავადი იყო **პირით** კერძო მის ნავისა, მრკ. 4,38 DE; ქვაჲ ედვა დიდი **პირსა** ზედა მის ჯურღმულისასა, და შეკრბის მუნ ყოველი სამწყსოჲ და მწყემსნი და გარდააგორვიან ლოდი იგი **პირისაგან** მის ჯურღმულისა და ასუან საცხოვართა და კუალად დასდვიან ლოდი იგი **პირსა** მის ჯურღმულისასა ადგილსავე თჳსსა, შესაქმ. 29,2-3 O; იყო ქარი იგი **პირით** მათსა, მრკ. 6,48; **პირითა** ყრმათა ჩჩჳლთა მწოვართაჲთა დახემტკიცოს ქებაჲ, ხანმ. მრავალთ. 2v,1-4b; შენ იყავ სახლსა ზედა ჩემსა და **პირსა** შენსა ერჩდეს ერი ჩემი, შესაქმ. 41,40 O; სხუაჲ იყო სასოებაჲ მისი ჩემდამო და სხუაჲ **პირი** გამოჩნდა ჩემგან, ბალავარ. 118, 7-9 და სხვ.

პირ- ძირისაგან იწარმოება მრავალი ფუძე, იგი შედის ბევრი კომპოზიტის შემადგენლობაში.

ქართულ **პირ-** ძირს კანონზომიერად შეესატყვისება მეგრული **პირ-/პიჯ-**, ლაზ. **პიჯ-** (შესატყვისობისათვის ქართ. **რ** : მეგრ. **ჯ** :

ლაზ. ჯ იხ. Марр 1909, 3-4) და სვანური ბილ (სვანურში ქართული რ-ს შესატყვისად ლ-ს გამოვლენა ბაგისმიერი ბ თანხმოვნით ჩანს შეპირობებული; შდრ.: ქართ. ბერ- : სვან. ბელ-; იხ. გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965, 14. ლაშხური ბილ<ბილ, იხ. ЭСКЯ,153).

ქართული, მეგრული და ლაზური ენების მასალა შეაპირისპირა გ. როზენმა (Rosen 1845, 30); სვანური და ქართული – მ. ჯანაშვილმა (იხ. Erckert 1895, 295). ქართული ბირ-ვ-ა და მეგრული ბირ-უ-ა ერთმანეთთან დააკავშირა გ. როგავამ (როგავა 1959, 279). მან *ბირ- სახელური ძირის არქეტიპი აღადგინა საერთოქართველური ფუძე-ენისათვის, ხოლო *ბირ- ზმნური ძირის არქეტიპი ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისათვის (ЭСКЯ,153-154; Klimov 1998, 150-151).

*რჯუ-

ქართ. რჯუ- მა-რჯუ-ე; გან-მა-რჯუ-ებ-ა; მა-რჯუ-ენ-ე ...

მეგრ. რძგუ-/რძგვ- მო-რძგვ-ი «მარჯვე»; გო-მო-რძგუ-ა «გამარჯვება»; გგ-მო-რძგვ-ილ-ი «გამარჯვებული»; მა-რძგვ-ან-ი «მარჯვენა» ...

ლაზ. რძგვ- მა-რძგვ-ან-ი «მარჯვენა»

სვან. რსგუ- ლა̈-რსგუ-ან/ლე-რსგუ-ენ «მარჯვენა»

დასტურდება უძველეს ქართულ წერილობით ძეგლებში: ხეძიებდა, ვითარმცა ჟამსა მარჯუესა მიხცა იგი მათ, მრკ. 14,11 (ხანმ.); მინდა მისლვაჲ მუნ და ვერ ვიმარჯუე, ისტ. ქრესტ. II 72,25-26; უკუეთუ თუალი შენი მარჯუენჱ გაცთუნებდეს შენ, აღმოიღე და განაგდე შენგან, მ. 5,29 (ხანმ.); გულისხმა-ყო დავით, რამეთუ განუმარჯუა და წარუმართა უფალმან მეფობაჲ ისრაჱლსა ზედა, II მეფ. 5,12 O და სხვ.

ქართულ რჯუ- ძირს კანონზომიერად შეესატყვისება მეგრული რძგუ-/რძგვ-, ლაზური რძგუ-/რძგვ- (მეგრულისა და ლაზურისათვის ამოსავალია საერთოზანური *რჯგუ-, რომ-

ლისგანაც თ. გამყრელიძის წესის თანახმად არის მიღებული მეგრული და ლაზური ძირები, იხ. გამყრელიძე 1959, 27) და სვანური **რსგუ** (<*რძგუ-<*რჯგუ-; იხ. გამყრელიძე 1959, 27).

ქართული და მეგრული ენების მასალა პ. ჭარაიამ შეაპირისპირა (ჭარაია 1895, XII; 112; იხ. აგრეთვე Марр 1911-1914 (1913, 9), 419); ლაზური ეკვივალენტი გამოავლინა ნ. მარმა (დასახ. ნაშრ. 419); ქართული და სვანური მასალა დააკავშირა მ. ჯანაშვილმა (იხ. Erckert 1895, 298). გ. კლიმოვმა საერთო-ქართველური ფუძე-ენისათვის აღადგინა ***მარჯუენ-**, ხოლო ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისათვის ***მარჯუ-** (ზმნა) და ***მარჯუ-** (მიმღეობა) არქეტიპები (ЭСКЯ,128; Klimov 1998, 115-116).

*ᲮᲢᲣ-

ქართ. **ხტუ-** ნე-**სტუ** «ძარღვი; ნესტო; საყვირი»; ნე-**სტუ-**ფერდ-ი «ფილტვი»

მეგრ. **შვიტ-** მი-**შვიტ-**ია «ცხვირი»

სვან. **შტ-** ნე-**შტ-**რ-ა̈ლ «ნესტოები»

გვხვდება ძველ ქართულში: რბიოდის გუნდი წმიდათა ანგელოზთაჲ და **მენესტუენი** სცემდენ **ნესტუსა**, მამ. სწავლ. 92,31; დამძიმდა ღუაწლი იგი საულის ზედა და პოეს მოისართა და წყლეს ძლიერად, რამეთუ ჰკრნეს გულისეზოსა და **ნესტუსა** მიუწიეს, I მეფ. 31,3 J; მო-ვინმე-ირთხა ერთმან მეისართაგანმან და ჰსცა აქაბს, მეფესა ისრაჱლისასა, შოვრის **ნესტუ-ფერდსა** და მკერდსა, III მეფ. 22,34 O და სხვ.

ქართულ **ხტუ-** (<*ხტუ-) ძირს კანონზომიერად შეესატყვისება სვანური **შტ-** (<*შტუ-) და, შესაძლოა, მეგრული **შვიტ-** (<*შუტ-<*შტუ- (?)).

ქართული და სვანური ენების მასალა გ. დეეტერსმა შეაპირისპირა (იხ. Schmidt 1962, 128); მეგრულ ფორმაზე

მიუთითა და ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისათვის *ʒტჳ-ინ- არქეტიპი აღადგინა გ. კლიმოვმა (ЭСКЯ,166).

*ღლია-

ქართ. ღლია- ღლია-ი; ი-ღლია (ახ. ქართ.)

მეგრ. რღია-/ღია- რღია/ღია «იღლია»

სვან. ღლია- ლა-ღლია-შ «იღლია»

დასტურდება ძველ ქართულში: ჰრქუა მას აბდიმელექ ეთიოპელმან: დაუპყარ ძუელი ესე ძონძი და ფარტენანი ესე მატყლისანი საბელთა მაგათ ღლიათა ქუეშე ჴელთა შენთასა, იერ. 38,12 OJ; ვითარცა მიიწიო სოფლად თჳსა, ყვენ ესენი ღლიასა შენსა ქუეშე და დასხენ მკერდსა ზედა მის ყრმისასა, Sin.-6 35v და სხვ.

ღლია შემონახულია ქართული ენის აჭარულ დიალექტში; ღლი-ავ-ი (<ღლია) – გურულში (იხ. ღლონტი 1975, 206). ახ. ქართულის ი-ღლია მეორეული ჩანს.

ქართულ ღლია- ფორმას კანონზომიერად შეესატყვისება მეგრული რღია (<*ღრია რ-ს მეტათეზისით; ღია<რღია<*ღრია რ-ს დაკარგვით) და სვანური ღლია.

ლაზური ღალ-ა-ჯიჯ-ი («იღლია») თითქოს ამავე ძირს შეიცავს (ЭСКЯ,204; შდრ.: ფენრიხი, სარჯველაძე 1990, 350; Klimov 1998, 231).

ქართული და მეგრული ენების მასალა შეაპირისპირა პ. ჭარაიამ (ჭარაია 1895, XII, 114); სვანური ეკვივალენტი მოიხმო და *ღლია- არქეტიპი საერთოქართველური ფუძე-ენისათვის აღადგინა გ. კლიმოვმა (ЭСКЯ, 204; Klimov 1998, 231).

*ყალ-

ქართ. ყლ- ყლ-ე

მეგრ. ცოლ- ცოლ-ე

ლაზ. ყოლ-/კოლ- ყოლ-ე/კოლ-ე

სვან. ყლ- ყლ-აჳ «ბიჭი»

დასტურდება სულხან-საბას ლექსიკონში: «მამაკაცის სარცხვინელი».

ქართულ ყლ-ე (<*ყალ-ე) ფუძეს კანონზომიერად შეესატყვისება მეგრული ღოლ-ე და ლაზური ყოლ-ე/კოლ-ე (მეგრულისა და ლაზურისათვის ამოსავალია საერთოზანური *ყოლ-ა, რომელმაც უმლაუტის შედეგად მოგვცა ე ფუძის აუსლაუტში. უმლაუტის შესახებ მეგრულსა და ლაზურში იხ. Schmidt 1962, 48; გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965, 160-169). შესაძლოა, სხვა ქართველურ მასალასთან დაკავშირდეს სვანური ყლ-აჳ («ბიჭი») ფუძე (შდრ.: გურ. კუტა «penis; ბიჭო»).

ქართული და მეგრული ენების მასალა კ. ჰ. შმიდტმა შეაპირისპირა (Schmidt 1962, 141); ლაზური და სვანური ეკვივალენტები გამოავლინა გ. კლიმოვმა (ЭСКЯ, 212). *ყალ- არქეტიპი აღადგინა კ. ჰ. შმიდტმა (Schmidt 1962, 141; შდრ.: ЭСКЯ,212).

*ყელ-

ქართ. ყელ- ყელ-ი; სა-ყელ-ე; სა-ყელ-ო (ახ. ქართ.)

მეგრ. ღალ- ღალ-ი «ყელი»; ო-ღალ-ე-შ-ი «საყელო»

ლაზ. ყალ-/ღალ-/ალ- ყალ-ი/ღალ-ი/ალ-ი «ყელი»; ყალ-ონ-ი «ყელიანი ფეხსაცმელი» ...

სვან. ყლ- მგ-ყლ-ა/მგ-ყლ-ი «ყელი»

დასტურდება ძველ ქართულ ენაში: გარდააცუეს მანიაკი ოქროჲ[საჲ] ყელსა მისსა, შესაქმ. 41,42 O; გუალმე ჩუენ ერთითა ყელისსაბმელითა მძივისა შენისაჲთა, ქებ. ქებ. 4,9 O; ვითარცა ესმა ესე დავითს, ჴელი მიყო საყელესა და მოიპო სამოსელი თჳსი, II მეფ. 1,11 O და სხვ.

ქართულ ყელ- ძირს კანონზომიერად შეესატყვისება მეგრული ცალ-, ლაზური ჟალ- (ლაზურის ცალ-/ალ- ვარიანტებისათვის ამოსავალია ჟალ-, იხ. ჩიქობავა 1938, 57).

ქართული და მეგრული ენების მასალა შეაპირისპირა მ. ბროსემ (Brosset 1849, 75); ლაზური ეკვივალენტი ნ. მარმა გამოავლინა (Mapp 1936, 308); სვანური – კ. ჰ. შმიდტმა (Schmidt 1962, 140). გ. კლიმოვმა *ყელ- არქეტიპი აღადგინა ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისათვის (ЭСКЯ, 209; შდრ.: ფენრიხი, სარჯველაძე 1990, 365; Klimov 1998, 238).

*ყუერ-

ქართ. ყუერ- ყუერ-ი; და-ყვერ-ვ-ა; ყვერ-ულ-ი ...

მეგრ. ცვაჯ- ცვაჯ-ი «ყვერი»; ცვარ-უ-ა «დაყვერვა»; დო-ცვარ-უნ-ს «დაყვერავს»; ცვარ-ილ-ი «დაყვერილი» ...

ლაზ. ჟვაჯ-/კვაჯ- ო-ჟვარ-უ «დაყვერვა»; ჟვარ-ელ-ი «დაყვერილი»;

უ-ჟვარ-უ «დაუკოდავი» ...

სვან. ყურ-/ყრ- ყურ-ნ-ა̈-ჲ «ყვერი»; ლი-ყრ-ოუ̯-ი «დაყვერვა»; ა-ყრ-ეუ̯-ი «ყვერავს»; ლგ-ყრ-ოუ̯-ე «დაყვერილი»; უ-ყრ-ოუ̯-ა «დაუყვერავი» ...

დასტურდება ძველ ქართულში: ბრძანა ჰერაკლე, რაჲთა პირველად ჴელნი და ფერჴნი მისნი მოჰკუეთნენ და მერმე მჴარნი და ყუერნი მისნი და ჰოროლსა აკიდებულად განაქიქნეს ყუერნი მისნი, A-500 314r,19-314v,4; და კაცისა ასოთაგან ბუშტი და ყუერი და გუამი მისი არს, ეტლ. 8,11; განკრძალვისათჳს საჭურისთაგან, რომელ არიან ყუერულნი, პეტრიწონ. 0, 23.

ქართულ ყუერ- ძირს კანონზომიერად შეესატყვისება მეგრული ცვაჯ-, ლაზური ჟვაჯ- (კვაჯ-<ჟვაჯ-. მეგრულისა და ლაზურისათვის ამოსავალია საერთოზანური *ყუარ-. შესატყვისობისათვის ქართ. რ : მეგრ. ჯ : ლაზ. ჯ იხ. Mapp 1909, 3-4) და

სვანური ყურ- (<*ყუერ-; -ნ-ჯ სვანურში სუფიქსური ელემენტები ჩანს; ყრ-<*ყუერ-).

ქართული და მეგრული ძირები შეაპირისპირა ნ. მარმა (Марр 1936, 275); ლაზური ეკვივალენტი გამოავლინა არნ. ჩიქობავამ (ჩიქობავა 1938, 358); სვანური – გ. კლიმოვმა (Климов 1960, 25; ЭСКЯ, 210). გ. კლიმოვმა საერთოქართველური ფუძე-ენისათვის აღადგინა *ყუერ- (სახელური) და *ყუერ- (ზმნური) არქეტიპები (ЭСКЯ,210; Klimov 1998, 240-241).

*ყუა-

ქართ. ყუა- ყუა

მეგრ. ცვა- ცვა «შუბლი»; ცვა-ი-ჭარ-ა «ბედი»; ცვა-რჩე «შუბლზე თეთრი ნიშნის მქონე (საქონელი)»

ლაზ. ყვა-/კვა- ყვა/კვა «შუბლი»

სვან. ყუა-/ყუვა- ყუა/ყუვა «ყუა»

სულხან-საბას ლექსიკონის მიხედვით: «ყუა პურის კიდური».

ქართულ ყუა-ს კანონზომიერად შეესატყვისება მეგრული ცვა (<*ყუა), ლაზური ყვა/კვა (<*ყუა, იხ. ჩიქობავა 1938, 49) და სვანური ყუა/ყუვა. არ არის გამორიცხული, ეს სიტყვა სვანურში ნასესხები იყოს.

შესადარებელ ფორმათა სემანტიკური განსხვავება მათი დაკავშირებისათვის დამაბრკოლებლად ვერ მიიჩნევა.

მეგრული და ლაზური ენების მასალა შეაპირისპირა გ. როზენმა (Rosen 1845, 30); ქართული ეკვივალენტი გამოავლინა არნ. ჩიქობავამ (ჩიქობავა 1938, 49); სვანური – გ. კლიმოვმა (ЭСКЯ,213). *ყუა არქეტიპი საერთოქართველური ფუძე-ენისათვის აღადგინა გ. კლიმოვმა (ЭСКЯ, 213; შდრ.: Klimov 1998, 245).

*ძარღუ-

ქართ. ძარღუ- ძარღუ-ი; ძარღვ-ი (ახ. ქართ.)

მეგრ. ჯერღვ- ჯერღვ-ი «ძარღვი»; მა-ჯერღვ-იე «მრავალძარღვა (მცენ.)»; ჯერღვ-ამ-ი «ძარღვიანი»

სვან. ჯარღუ- ჯარღუ «ძარღვი»; ლგ-ჯარღუ-ე «ძარღვებიანი»

დასტურდება ძველ ქართულში: ამისთჳს არა ჭამიან ძეთა ისრაჱლისათა ძარღჳ იგი, შესაქმ. 32,33 O; (არს) ჯუარი დაჴსნილთა ძარღუთმრთხმელობა, A-162 7r,7-8a; უყო მათ იისუმან, ვითარცა ამცნო მას უფალმან: ცხენნი მათნი აძარღუკუეთილნა და ეტლები მათნი დაწუა ცეცხლითა, ისო ნავე 11,9 (გელ.) და სხვ.

ქართულ ძარღუ- (<*ძარღუ-) ძირს კანონზომიერად შეესატყვისება მეგრული ჯერღვ- (<*ჯორღვ- უმლაუტის შედეგად; იხ. გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965, 167). ამ მასალის ეკვივალენტად შეიძლება მივიჩნიოთ სვანური ჯარღუ-, თუ იგი არ არის მეგრულიდან ნასესხები (იხ. ჟღენტი 1949, 130; თოფურია 1960, 157).

ქართული და მეგრული ენების მასალა ა. ცაგარელმა შეაპირისპირა (Цагарели 1880, 64); ქართული და სვანური – ა. გრენმა (Грен 1890, 131). *ძარღუ- არქეტიპი საერთოქართველური ფუძე-ენისათვის აღადგინა გ. კლიმოვმა (ЭСКЯ, 236; შდრ.: Klimov 1998, 282).

*წუერ-

ქართ. წუერ- წუერ-ი; წვერ-ი (ახ. ქართ.)

მეგრ. წვანჯ-/წვანდ- წვანჯ-ი/წვანდ-ი «წვერი; ბოლო»

დასტურდება ძველ ქართულში: ყოველნი თავნი ყოველთა ადგილთა დაიყჳნენ და ყოველნი წუერნი დაიყჳნენ, იერ. 48,37 OJ; ერთსა მას გამოსრულ იყო წუერი, Ath.-12 113v; თაყუანისსცა ისრაჱლ წუერსა ზედა კუერთხისა მისისასა, შესაქმ. 47,31

O; დააწოს წური თითისა მისისაჲ წყალსა, ლ. 16,24 C; მეორჱ იგი იყო წურგამოჲ ოდენ, A-1105 433r; კაცი იყოს ... წურგრძელი და მკერდბრტყელი, ეტლ. 9, 26; კაცი იყოს პირკეკლუცი და წურკეკლუცი, იქვე 11, 36 და სხვ.

ქართულ წურ- ძირს კანონზომიერად შეესატყვისება მეგრული წვანჯ- (შესატყვისობისათვის ქართ. რ : მეგრ. ჯ : ლაზ. ჯ იხ. Марр 1909, 3-4; წინაენისმიერთა წინ ნ-ს განვითარების შესახებ მეგრულსა და ლაზურში იხ. ჟღენტი 1953, 92-98; წვანდ- <წვანჯ- დისიმილაციური დეზაფრიკატიზაციის გზით; ამ მოვლენის შესახებ იხ. როგავა 1947, 353).

სვანური ჳერ/ჳარ («წვერი») ფორმის დაკავშირება ქართულ წურ- ძირთან საეჭვოდ მიიჩნია გ. მაჭავარიანმა (მაჭავარიანი 1965, 28).

ქართული და მეგრული ენების მასალა შეაპირისპირა მ. ჯანაშვილმა (იხ. Erckert 1895, 296). გ. კლიმოვმა საერთო-ქართველური ფუძე-ენისათვის აღადგინა *წუერ- (ЭСКЯ, 243) და *წუერ- (Klimov 1998, 311) არქეტიპები.

*ქელ-

ქართ. ქელ- ქელ-ი «ხელი; ხელობა; დოკუმენტი; ხელ-მოწერა; ნაწერი»; სა-ქელ-ი «სახელო»; ერთ-ქელ-ი; მე-ქელ-ე «ხელოსანი»; ქელ-ოსან-ი; ქელ-ოვან-ი ...

მეგრ. ხე-/ხუ- ხე «ხელი»; ხუ «მუჭი»

ლაზ. ხე- ხე «ხელი»

სვან. ჴალ- ჴალ «სიგრძის საზომი: ორი გაშლილი მკლავის სიგრძე»

დასტურდება ძველ ქართულში: უკუეთუ არა ვიხილო ქელთა მისთა სახჱ იგი სამჭუალთაჲ და დახუდვა ქელი ჩემი სახესა მას ფერჴთასა და დახუდვა ქელი ჩემი გუერდსა მისსა, არასადა

მრწმენეს, ი. 20,25 L; მას ყოველთა ჴელითა **ქელი** დაგუეწერა, სინ. მრავალთ. 41,17-18; **ქელი** ესე ახალი იყო, ლიმონ. 78,16; ხიყო იგი სწავლად მათდა **ქელმწიფე** და არა ვითარ მწიგნობარნი მათნი, მ. 7,29 (ხანმ.); ენაჲ ჩემი, ვითარცა საწერელი მწიგნობრისა **ქელოვნისაჲ**, ფსალმ. 44,2; მეტრაპეზე კულა და **ქელოსანნი**, უკუეთუ საჭიროჲ რაჲმე საქმე იყვის, იდუმალ დაჩურჩნიან, იოვ. და ეფთ. 71,4; უმჯობეს არს შენდა **ერთ ქელისა** ცხორებასა შესლვაჲ, მრკ. 9,43 C; ნაწილი ... მოვიღე და დავმალე **საქელსა** შინა ჩემსა, ლიმონ. 113,6-7 და სხვ.

ქართული **ქელ-** ძირს შეესატყვისება მეგრული **ხუ-** (შესატყვისობისათვის ქართ. **ელ** : მეგრ. **უ** : ლაზ. **უ** იხ. G. Schmidt 1950, 25-26; გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965, 89-94), მეგრული **ხე-** და ლაზური **ხე-** (ამ ფორმებისათვის ამოსავალია ***ხალ-** ლ-ს დაკარგვითა (იხ. გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965, 89-93) და უმლაუტით (იქვე, 160) და სვანური **ჯალ** (არაა ცხადი სვანური **ჯ**-ს წარმომავლობა; იხ. ЭСКЯ, 264).

ქართული, მეგრული და ლაზური ენების მასალა შეაპირისპირა გ. როზენმა (Rosen 1845, 30); თ. გამყრელიძემ და გ. მაჭავარიანმა ზემოთ განხილულ მასალასთან დააკავშირეს **ხუ-** ვარიანტი (გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965, 14; 89). გ. კლიმოვის აზრით, შესაძლოა, განსახილველ მასალას დაემატოს სვანური **ჯალ** (ЭСКЯ,264). მანვე ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისათვის აღადგინა ***ქე-** არქეტიპი (ЭСКЯ, 264; შდრ.: Klimov 1998, 334).

4.1.2 შინაგანი ორგანოები

შინაგან ორგანოთა ამსახველი საერთო-ქართველური ლექსიკა მწირია და მხოლოდ ძირითადი კონცეპტებითაა წარმოდგენილი, რაც გარკვეულ თანხმობაშია უნივერსალურ კანონზომიერებასთან – როგორც წესი, უძველეს ხალხთა

ძირითად ლექსიკურ ფონდში ეს კატეგორიები იშვიათად და მხოლოდ ფრაგმენტულად არიან მარკირებულნი.

***გულ-**

ქართ. **გულ-** გულ-ი

მეგრ. **გურ-** გურ-ი «გული»

ლაზ. **გურ-** გურ-ი «გული»; დო-ვ-ო-**გურ**-ამ «ვასწავლი»; ო-**გურ**-უ «სწავლება; სწავლა»; **გურ**-ონ-ი «გულიანი; მამაცი»; ვორსი-**გურ**-ონ-ი/კაი-**გურ**-ონ-ი «კეთილი»; მე-**გურ**-უ «ჩვენება»; **გურ**-პიჯ-ი «მკერდი; ძუძუები» ...

სვან. **გუ-** გუ-ი «გული»

ძველ ქართულში დასტურდება **გულ-** ძირი, აგრეთვე მისგან წარმოქმნილი მრავალი ფუძე: შეგიშალოს გონებაჲ **გულისა** შალვითა, მამ. სწავლ. 159,16; სიპოხესა მას ძალსა საზრდელისასა ღჳძლი განჰყოფს სიმჭურვალითა სისხლთაჲთა და მიუძღუანებს **გულად**, მეუფისა მის ასოთაჲსა, იქვე 176,27-28 და სხვ. იხ. აგრეთვე: **გულად-ღება; გულბრმობა-ჲ; გულგანრინებით; გულგანრინებულ-ი; გულგანურინე-ბელ-ი; გულგდება; გულგ-დებულ-ი; გულდებულ-ი; გულდებულ-ყოფა; გულდედალ-ი; გულთმეცნიერ-ი; გულისეზო-ჲ; გულისზრახვა-ჲ/ გულისძრახვა-ჲ; გულის-თქუმა-ჲ, გულის-კლება-ჲ; გულის-კუნესა-ჲ; გულისმთქუმელ-ი; გულისმთქუ-მელობა; გულისმსიტყუავ-ი; გულის-სათქუმელ-ი; გულისსათქუმე-ლობა-ჲ; გულისსაკლებელ-ი; გულის-სარეველ-ი; გულის-სიტყუაჲ; გულის-სიტყუა; გულის-წყება; გულის-წყება-ჲ; გულის-წყრომაჲ; გულისწყრომისამიერ-ი; გულის-ხმიერ-ყოფა; გულისხმისმყოფელ-ი/ გულისკმისმყოფელ-ი; გულის-ხმისსაყოფელ-ი/გულისკმისსაყოფელ-ი; გულისხმის-ყოფა/გულისკმის-ყოფა; გულისხმის-ყოფა-ჲ/გულის-კმისყოფა-ჲ; გულიწრება-ჲ; გულკეთილად; გულკლებულ-ი; გულ-ლმობიერ-ი; გულმანკიერ-ი; გულმარტიობა-ჲ; გულმაღალ-ი; გულ-მახჳლ-ი; გულმედგარ-ი; გულმოწყე-ჲ; გულმყარ-ი; გულმწყრალ-ი;**

გულმწყრალობა-ჲ; გულმწყრალქმნილ-ი; გულმხიარულ-ი; გულ-პებულ-ი; გულპყრობით; გულპყრობილ-ი; გულსავსე-ჲ; გულსავსება-ჲ; გულსავსემყოფელ-ი; გულსავსეობა-ჲ; გულსავსექმნილ-ი; გულ-სავსე-ყოფა; გულსავსე-ყოფა-ჲ; გულს-დგინება; გულს-დგმა; გულს-დება; გულსმოდგინე-ჲ; გულსმოდგინება-ჲ/გულმოდგინება-ჲ; გულს-მოდგინე-ყოფა; გულსნეულ-ი; გულტკივნეულ-ი; გულტკივნეულობა-ჲ; გულფიცხელ-ი; გულფიცხელობა-ჲ; გულქველება-ჲ; გულ-ყოვლობით; გულჩჩჯულ-ი; გულჩჯულობა-ჲ; გულძჯრ-ი; გულძჯრობა-ჲ; გულწრფელება-ჲ; გულ-წყებულ-ი; გულკსნილ-ი; გულკსნილობა-ჲ და სხვ.

ქართულ **გულ-** ძირს კანონზომიერად შეესატყვისება მეგრული **გურ-**. მეგრულშიც გვაქვს ამ ძირისაგან ნაწარმოები მრავალი ფუძე: ართ-ი-**გურ**-ი «ერთგული» (შდრ.: ქართ. ერთ-**გულ**-ი); **გურ**-ი-გედვალირ-ი «ბეჯითი»; **გურ**-ი-კოჩ-ი «გულიანი კაცი»; **გურ**-ი-მოჭვე «გულისდამწველი»; **გურ**-ი-ჭვილი «გულ-საწვავი»; **გურ**-მუულირი «გულმოსული» და სხვ.. (იხ. Кипшидзе 1914, 220).

გულ- ძირის კანონზომიერი ფონემური შესატყვისია ლაზური **გურ-**. ლაზურშიც ეს ძირი საფუძვლად ედება ფუძეთა მთელ ჯგუფს: **გურ**-ი-გედვალერ-ი «განზრახვა; სურვილი»; **გურ**-პიჯ-ი «მკერდი»; **გურ**-ით-ე «გულწრფელად»; ვორსი-**გურ**-ონ-ი «გულკეთილი»; არ-**გურ**-იშ-ი «ერთგული» და სხვ. (Марр 1910, 137).

სვანურში წარმოდგენილია **გუ̈**-ი. საერთოქართველური ***გულ-** ძირის შესატყვისად სვანურში უნდა გვქონოდა ***გულ-**. ბოლოკიდური **ლ** დაიკარგა (ЭСКЯ, 66). გ. კლიმოვის აზრით, **უ̈ი** კომპლექსი მიღებულია ***უ** ხმოვნისაგან **უ̈** საფეხურის გავლით (იქვე). თ. გამყრელიძისა და გ. მაჭავარიანის აზრით, სვანური **გუ**<***გუჰ**<***გუშ**<***გულ** (გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965, 82).

გულ-ვ-ებ-ა/გულ-ებ-ა ფუძის კანონზომიერი შესატყვისია მეგრული **გურ-აფ-ა** «სწავლა» (ი-ბ-**გურ**-უ-ან-ქ «ვსწავლობ»; მო-**გურ**-აფ-უ «მოსწავლე»; მა-**გურ**-აფ-ალ-ი «მასწავლებელი» და სხვ.) და ლაზური **გურ**-აფ-ა «სწავლა» (დო-ვ-ი-**გურ**-ამ «ვსწავლობ»; ვ-ი-**გურ**-აფ «id.» და მისთ. იხ. სარჯველაძე 1980, 119).

მეგრული **გურიჭითა** შესაძლებელია, იყოს ქართული **გულ-წითელა**-ს კალკი.

ქართული **გულ-** და ლაზური **გურ-** ერთმანეთს გ. როზენმა დაუკავშირა (Rosen 1845, 31); მანვე მოიხმო მეგრული და სვანური ეკვივალენტები (Rosen 1847, 408; იხ. აგრეთვე Bopp 1846, 327; Brosset 1849, 75). ***გულ-** არქეტიპი საერთო-ქართველური ფუძე-ენის დონეზე აღადგინა გ. კლიმოვმა (ЭСКЯ, 66; იხ. აგრეთვე Klimov 1998, 34).

***ყუიზ-**

ქართ. **ღუიძ-** **ღუიძ-ლ-ი**

სვან. **ყუიჟ-/ყუჟ-** **ყუიჟ-ე/ყუჟ-ე** «ღვიძლი»

დასტურდება ძველ ქართულში: **ღჳძლისყურნი** იგი **ღჳძლისაჲ** თირკუმელთა თანა მოჰკუეთოს, ლევ. 3,11 O; ნაწლევი და **გულ-ღჳძლი** განკრბა განსავალსა მისსა, შატბ. კრებ. 361, 26; პირი მათი **ღჳძლისფერ** არნ, H-2251 194r და სხვ.

ქართულ **ღუიძ-** (<***ყუიზ-** ასიმილაციით, იხ. მაჭავარიანი 1965, 71) ძირს შეესატყვისება სვანური **ყუიჟ-/ყუჟ-**.

მეგრული **ცვიჟ-ილ-** ფუძის ამ მასალასთან დაკავშირება (ЭСКЯ, 211) არ ჩანს გამართლებული, რადგანაც იგი ქართულიდან ნასესხები შეიძლება იყოს (სულხან-საბას ლექსიკონში დასტურდება: «**ყუჟილი** ლურჯ-იისფერ საშუალი»).

ქართული და სვანური ენების მასალა შეაპირისპირა მ. ჯანაშვილმა (იხ. Erckert 1895, 296). გ. კლიმოვმა საერთო-

ქართველური ფუძე-ენისათვის აღადგინა *ყუიძლ- არქეტიპი (ЭСКЯ, 211; შდრ.: Klimov 1998, 241). გ. მაჭავარიანი შესაძლებლად მიიჩნევდა ანლაუტში ფარინგალური მჟღერი ხშულის აღდგენას (მაჭავარიანი, 1965, 71; იხ. აგრეთვე Fähnrich 1998a, 18-19).

*წელ-

ქართ. წელ- წელ-ი «ნაწლავი»; ნა-წლ-ევ-ი «id.»
მეგრ. ჭი-/ჭჳ- ჭი/ჭჳ «ნაწლავი»; ო-ჭ-იშ-ი «წელი»
ლაზ. ჭუ-/მჭუ- ჭუ/მჭუ «ნაწლავი»
სვან. ჭილ- ჭინ-ჭილ «ნაწლავი»

დასტურდება ძველ ქართულში: ვითარ წელნი არა დაჰ-ჴსნდეს? კლარჯ. მრავალთ. 322; შეძრწუნდა იოსებ, რამეთუ შეიწუებოდეს ნაწლევნი მისნი ძმასა მისსა ზედა, შესაქმ. 43,30 O; შვილთა მოსრვისა უწყალოებისათჳს და ნაწლევთმჭამელთა კაცთათჳს, სიბრძნ. 12,5 O; ნუვინ მისანობს ნაწლევთ-მჭრელობითაო, დიდი სჯ. 172,38 და სხვ.

ქართულ წელ-(<*წელ-) ძირს შეესატყვისება მეგრული ჭი/ჭჳ (<*ჭუ), ლაზური ჭუ (შესატყვისობისათვის ქართ. ელ : მეგრ. უ : ლაზ. უ იხ. G. Schmidt 1950, 25-26; გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965, 89-90; მჭუ<ჭუ მ-ს განვითარების შედეგად) და სვანური ჭილ- (<*ჭელ-), რომლის რედუპლიკაციის შედეგად არის მიღებული ჭინჭილ- ფუძე.

ქართული, მეგრული და ლაზური ენების მასალა შეაპირისპირა არნ. ჩიქობავამ (ჩიქობავა 1938, 69-70); სვანური ეკვივალენტი გამოავლინა ჰ. ფენრიხმა (Fähnrich 1987). გ. კლიმოვმა *წელ- არქეტიპი აღადგინა ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისათვის (ЭСКЯ, 249; შდრ.: ფენრიხი, სარჯველაძე 1990, 460; Klimov 1998, 308).

4.2. საერთო-ქართულ-სვანური მასალა

შესატყვისობათა ნაწილი გამოვლენილია მხოლოდ ქართულ და სვანურ ენთა შორის და, მიუხედავად იმისა, რომ ზანურ დონეზე შესაბამისი ლექსიკური ერთეულები არ ჩანს, შეიძლება ისინიც საერთოქართველური დონის კუთვნილებად მივიჩნიოთ, რამდენადაც, დეეტერსის სქემის მიხედვით, სვანური ქართველურ ენათა უძველეს ვითარებას უნდა ასახავდეს.

***თერ-**

ქართ. **თერ- თე-თრ-ი**

სვან. **თერ- თე** «თვალი»; **თერ-ა̈ლ** «თვალები»; **თერ-ა** «ჩანს»; ლე-**თერ** «გამოსაცნობი» ...

გვხვდება ძველ ქართულ ენაში: გამოარჩიე მიერ ყოველი ცხოვარი **თეთრი** ტარიგთაგან, შესაქმ. 30,22 O; მოვაჴსენე ერთი ხატი ყოვლადწმიდისა, **თეთროანად** დახატული, Q-907 (ანდერძი); უკუეთუ ფესანგოვნად, შერეულ-ყავ **თეთრობითა**, A-684 126v,33-34; **განთეთრდა** ყანაჲ იგი და მოიწია მკაჲ, აპოკრ. მოციქ. 19,1; ვერშემძლებელ ხარ ერთისა თმისა **განთეთრებად**, ანუ დაშავებად, მ. 5,36 (ხანმ.); იხილეთ ყანობირი ეგე, რამეთუ **განთეთრებულ** არიან და ახან მკად, ი. 4,35 და სხვ.

თეთრ- თერ- ძირის რედუპლიკაციის გზით ჩანს მიღებული (სარჯველაძე 1961, 172; სარჯველაძე 1980, 120).

ქართული **თერ-** ძირის შესატყვისი უნდა იყოს სვანური **თერ-**.

მასალა ზ. სარჯველაძემ შეაპირისპირა (სარჯველაძე 1961, 172; სარჯველაძე 1980, 120). ისმის საკითხი ამ ძირის ლაზურ **თე** («სინათლე») ძირთან მიმართების შესახებ (იხ. ნადარეიშვილი 1981, 70-71).

*კაპ-

ქართ. კაპ- ნი-კაპ-ი; კაპ-უნ-ი

სვან. კაპ-/კპ- ნი-კპ-ა/ნი-პკ-ა «ნიკაპი»; კაპ-რ̈-ი «ყბა»

ძველ ქართულში დასტურდება **ნიკაფსა** (მიცემითი ბრუნვის ფორმა, მიღებული ასიმილაციით: **ნიკაპსა>ნიკაფსა**; შდრ.: **კაპ-უნ-ი**, Klimov 1998, 85): არა ცრემლნი იგი ქურივისანი დამოსდიედ **ნიკაფსა** მისსა, ისუ ზირ. 32,18 O; ხოლო ნეტარი იგი ანატოლე ავჟანდა ექმნა წმიდასა ანდრიანეს, აღუდგა ჴელი **ნიკაფსა** მისსა და ეგრე მიჰყვანდა, ანდრიანეს და ანატოლეს წამ. 219,27-30.

ქართულ **კაპ-** ძირს კანონზომიერად შეესატყვისება სვანური **კაპ-/კპ-**.

ამ ძირის მეგრული და ლაზური ეკვივალენტები გამოვლენილი არ არის.

ქართული და სვანური ენების მასალა შეაპირისპირა მ. ჯანაშვილმა (იხ. Erckert 1895, 294; იხ. აგრეთვე Mapp 1912, 16). გ. კლიმოვმა საერთოქართველური ფუძე-ენის დონისათვის აღადგინა ***კაპ-/კპ-** (Klimov 1998, 85) და ***ნი-კაპ-** (ЭСКЯ,148; Klimov 1998, 142) არქეტიპები.

*კირ-

ქართ. კირ- კირ-ი «წვივი»; კირ-დრეკილ-ი «წვივმოქცეული»

სვან. კჳრ- კჳრ «წვივი»

დასტურდება ძველ ქართულში: ამას იტყჳს უფალი: ვითარცასახედ გამოსტაცნის მწყემსმან პირისაგან ლომისა ორნი **კირნი**, ანუ ყურისა ძირნი, ეგრეთ გამოიტაცნენ ძენი ისრაჱლისანი, ამოსია 3,12 J; ჰუნებსა მათსა დაჰკუეთნეთ **კირნი** და ეტლები მათი დასწუათ ცეცხლითა, ისო ნავე 11,6 (მცხეთ.) იყო იგი ასოჲთა მდაბალ, თმითა ღულარჭნილ, ყურითა განქცეულ, **კირდრეკილ**, თეკლას წამ. 92,14-16 და სხვ.

შესაძლოა, ქართული **კირ-** ძირის შესატყვისი იყოს სვანური **კირ-**.

მასალა შეაპირისპირა ზ. სარჯველაძემ (სარჯველაძე 1999, 127).

*კურცხ-

ქართ. **კუირცხ-** მ-**კურცხ**-ლ-ი/მ-**კურცხ**-ი «ქვეითი»; მო-**კურცხ**-ლ-ა ...

სვან. **ჰიშხ-/ჰჷშხ- ჰიშხ/ჰჷშხ** «ფეხი»; **ჰჷშხ**-ა̈შ «ფერხული»; ლა-**ჰჷშხ**-არ-ა̈შ «საფერხე»; ლი-**ჰჷშხ**-ი «მეკვლეობა»; მჷ-**ჰშხ**-ი «მეკვლე» ...

დასტურდება ძველ ქართულში: მისდევდეს მას **მკურცხლ** ქალაქებისაგან, მ. 14,13 DE; **მკურცხილ** C; ჰუნეთა ზედა ჯდომისა წილ უჭამურნი **მკურცხლ** წარვიდეთ წარმტყუენველთა ჩუენთა თანა, მამ. სწავლ. 147,5-6; **მკურცხ** მავლინებდეს, Sin.-62 5v,19-20b; წარმოვიდეს ძენი ისრაჱლისანი რამჱსით სოქოთად ექუსას ათასი მამაკაცი **მკურცხლი** გარეშე ჭურჭლისა მათისა, გამოსლვ. 12,37 O; წარვიდეს შენგან **მკურცხლნი**, წარქცეულნი მტერთაგან, ბარუქ 5,6 O; **მკურცხილნი** J; **მკურცხილნი** ყოველთაგან ქალაქთა მირბიოდეს მუნ, მრკ. 6,33 C; ოდესმე მოგზაურობნ და **მკურცხლმავალობნ**, A-689 166v,13-15a და სხვ.

მ-კურცხ-ლ- ფუძისათვის ამოსავალია **კურცხ-** (შდრ.: მო-**კურცხ**-ლ-ა, აგრეთვე ძველ ქართულში ზოგჯერ გამოვლენილი **მ-კურცხ-ილ-**). **კურცხ->კუირცხ-** უმლაუტის შედეგად (უმლაუტის შესახებ ქართულში იხ. სარჯველაძე 1985, 197-199).

ძველ ქართულში **მკურცხლ-**, **მკურცხ-** გარეგნულად ომონიმური ფორმაა, რაც კარგად ჰქონდა შენიშნული სულხან-საბას. იგი აღნიშნავდა: «**მკურცხესა** და **მკურცხლსა** განკრძალვით გარჩევა უნდა, ვიეთნი მწერალნი არ(ა) დაჰკვირებიან; **მკვირცხე** არს, რომლისათვის სტეფანე იტყვის (გამოსლვათას

2,2): «მოსე მკვირცხე წინაშე უფლისა», რომელსა ლათინურად ეწოდების გროტო, ამას თარგმანი იტყვის: **მკვირცხ** სახარულევანსა, გინა სათნოსა, გინა სასურველსა, გინა შვენიერსა ეწოდებისო; **მკურცხლ**, რომელსა ლათინურად ეწოდების პიდესტრას, ესე არს ქვეითი, ფრჴივ მავალი. სადაცა რომელი სიტყვამან აძლიოს, წერილში გარჩევა ჴამს».

ქართული **კურცხ-** (<*კურცხ-) ძირის შესატყვისი უნდა იყოს სვანური **ჭიშხ-**. სვანურში უნდა გვქონოდა *კურჩხ-, რ-ს დაკარგვისა და ჩ-ს დეზაფრიკატიზაციის შედეგად – **ჭიშხ**. რა თქმა უნდა, ისმის საკითხი *კურცხ- ძირის *კუარცხ- ძირთან მიმართების შესახებ. არაა გამორიცხული, *კურცხ- წარმოადგენდეს *კუარცხ- ძირის რედუცირებულ ვარიანტს.

მასალა შეაპირისპირა და საერთოქართველური ფუძეენისათვის *კურცხ- არქეტიპი აღადგინა ზ. სარჯველაძემ (Sardschweladse 1985, 23).

***ჩ თუმ-**

ქართ. **სთუმ-** სა-**სთუმ**-ალ-ი

სვან. **შდიმ-** **შდიმ** «ყური»

სულხან-საბას ლექსიკონში გვაქვს: «**სასთუმალი** თავსადები ფიცარი».

ქართული **სთუმ-** (<*სტუმ-) ძირის შესატყვისი უნდა იყოს სვანური **შდიმ-** (<*შდუმ<*შდუმ). თუ ეს დაკავშირება სწორია, მაშინ ქართუ-ლი **სა-სთუმ-ალ-ი** ეტიმოლოგიურად ნიშნავს «საყურეს» (შდრ.: რუს. подушка : ухо).

ქართული და სვანური ენების მასალა შეაპირისპირა ე. ოსიძემ (ოსიძე 1987, 34-38).

*ჭურ-

ქართ. ჭურ- ჭურ-ი «ლოყა»

სვან. ჭურ- ჭურ-იჩ «ჩასუქებული»

ქართული ენის ხევსურულსა და ფშაურ დიალექტებში ჭურ-ი «ლოყას, ან ბავშვის მსუქან, გამობერილ ლოყას» აღნიშნავს (ღლონტი 1975, 193).

შესაძლოა, ქართულ ჭურ- ძირს შეესატყვისებოდეს სვანური ჭურ-(<*ჭურ-).

მასალა შეაპირისპირა ჰ. ფენრიხმა (Fähnrich 1981, 79).

*ღაწუ-

ქართ. ღაწუ- ღაწუ-ი «ყვრიმალი»; ღაწვ-ი (ახ. ქართ.)

სვან. ღჳჭ- ღჳჭ-ა (ლშხ.) «ღაწვი»; ღჳჭ-ოლ «id.»

დასტურდება ძველ ქართულში: გცეს თუ ვინმე შენ მარჯუენესა ღაწუსა შენსა, მ. 5,39 (ხანმ.); ნუ იყოფვით, ვითარცა ცხენი და ჯორი, რომელთა თანა არა არს გულისხმისყოფაჲ; ჭიმითა და აღკრითა ქცევად ღაწუნი მათნი, რომელნი შენ არა მოგეახლნენ, ფსალმ. 31,9 და სხვ.

ქართულ ღაწუ- (*ღაწუ-) ძირს კანონზომიერად შეესატყვისება სვანური ღჳჭ- (<*ღაჭუ-).

ქართული და სვანური ენების მასალა შეაპირისპირა ს. ჟღენტმა (ჟღენტი 1949, 130)

*ღაჭ-

ქართ. ღანჭ- ღანჭ-ი «ყბა»; ღანჭ-მოქცეული

სვან. ღჭკ- ლი-ღჭკ-ე «ყბედობა»; მგ-ღჭკ-ე «ყბედი»

ქართულ ღანჭ- (<*ღაჭ-) ძირის შესატყვისია სვანური ღჭკ-.

სვანური ფუძის სემანტიკა ამ დაკავშირებისათვის დამაბრკოლებელი არ არის (შდრ.: ქართ. ყბ-ედ-ი; ყბ-ედ-ობ-ს და მისთ. ფორმები, რომლებიც აშკარად ყბ-ა ფუძეს უკავშირდებიან).

მასალა ზ. სარჯველაძემ შეაპირისპირა (Сарджвеладзе 1991, 143).

*ყაბ-

ქართ. ყბ- ყბ-ა; ნი-ყბ-ერ-ი «ყბა»

სვან. ყაბ-/ყბ- ჰა-ყბ-ა «ყბა»; ყაბ «წვერი»

დასტურდება ძველ ქართულში: განვაცუა ხრატუკი ცხჳრთა შენთა და დანდალი – ყბათა შენთა, IV მეფ. 19, 28 O; ვევედრები წინამძღუართა და დეკანოზთა, რაჲთა არცა ტანსა ზედა, არცა წუერთა ზედა და არცა ყბათა ზედა განჰყოფდენ საეკლესიოდ კითხვასა, თეოფ. 369,21-22; მსგავს არს ჴელმწიფებაჲ ესე ცოდვათაჲ ცხენსა ყბედსა, რომელი უკუმართ ზიდავნ, Ath.-11 274r; ხოლო ღაწუნი და ენაჲ და ქმნულებაჲ იგი, რომლითა იძრვის ნიყბერი მოფოლხუებითა და მოჭირებითა, განმარტებითა და შემოკრებითა, ესე ყოველი მსგავს არს ძრვასა მას ძალთა ებნისათა ჴმასა შინა, კაცისა აგებ. 159,7-11 და სხვ.

ქართულ ყბ- (<*ყაბ-) ძირს კანონზომიერად შეესატყვისება სვანური ყაბ/ყბ-(ყაბ «წვერს» აღნიშნავს. ხევსურულ დიალექტში ყბა «წვერის» აღმნიშვნელადაც იხმარება – ა. შანიძე).

ქართული და სვანური ენების მასალა შეაპირისპირა კ. ჰ. შმიდტმა (Schmidt 1961, 140). გ. კლიმოვმა საერთოქართველური ფუძე-ენის დონისათვის აღადგინა *ყბა- არქეტიპი (ЭСКЯ, 209; Klimov 1998, 238).

*შუბ-

ქართ. შუბ- შუბ-ლ-ი

სვან. სგობ-/სგუბ-/სგებ- სგობ-ინ/სგუბ-ინ/სგებ-ინ «წინ»

დასტურდება ძველ ქართულში: ძარღუ რკინისაჲ არს ქედი შენი, შუბლი შენი – რვალისაჲ, ესაია 48,4 J; ჰბერის შუბლსა და აღადგინნის ლეკუნი იგი, შატბ. კრებ. 176, 19.

ქართული **შუბ-** ძირის შესატყვისი ჩანს სვანური **სგობ-** (სხვა ვარიანტებისათვის **სგობ-** არის ამოსავალი). ქართ. **შუ** : სვან. **სგო** კანონზომიერია (იხ. გამყრელიძე 1959, 30-31). წინა მხარეს აღნიშნავს **შუბლი** საშუალ ქართულში: სახლი იყო დიდი და **შუბლსა** სახლისასა ამირან დარეჯანის ძე ეწერა (ამირანდ. 9).

ქართული და სვანური ენების მასალა ნ. მარმა შეაპირისპირა (Марр 1911, 1203). გ. კლიმოვმა საერთოქართველური ფუძე-ენისათვის აღადგინა ***შუბლ-** არქეტიპი (ЭСКЯ, 218).

***კარკ-**

ქართ. **კაკ- კაკ-ა; ხახ-ა** (ახ. ქართ.); **ხარხ-ა** (გურ.)

სვან. **კარკ-/კერკ- კარკ/კერკ** «ხახა»

სულხან-საბას განმარტებით: «**კაკა** საყლაპავი». გურულ დიალექტში დასტურდება **ხარხა-**(<***კარკა-**).

ქართულ **კაკ-**(<***კარკ-**) ძირს შეესატყვისება სვანური **კარკ-** (**კერკ-**<**კარკ-**).

ქართული და სვანური ენების მასალა შეაპირისპირა და საერთოქართველური ფუძე-ენისათვის ***კარკა-** არქეტიპი აღადგინა გ. კლიმოვმა (ЭСКЯ, 264; Klimov 1998, 334).

***კომ-**

ქართ. **კომ- კომ-ი** «გამონაზარდი; მაჯის, კოჭის ამობურცული ძვალი»

სვან. **კუმ- კუმ** «penis»; **კემ/კომ** «ბოლო ნაწილი»

კომი დასტურდება ქართული ენის თუშურ დიალექტში.

ქართულ **კომ-** ძირს შეესატყვისება სვანური **კომ-** (**კუმ, კემ<კომ** უმლაუტის შედეგად).

მასალა შეაპირისპირა ჰ. ფენრიხმა (Fähnrich 1987).

4.3. საერთო ქართულ-ზანური მასალა

4.3.1 სხეულის ნაწილები

საერთო-ქართულ-ზანურ დონეზე ადამიანის ანატომიური სხეული კიდევ უფრო ნაწევრდება და ფორმირდება ახალი ლექსიკური ერთეულები. წარმოდგენილ მასალაში ხშირად მხოლოდ მეგრული ფიქსირდება, ლაზური შესატყვისები კი არ ჩანს. ეს გასაგებია: ლაზური რამდენიმე საუკუნის განმავლობაში მოსწყდა ქართველურ სივრცეს და თურქულ გარემოცვაში ვითარდება, ამიტომ თურქულიდან ნასესხობებმა, სავარაუდოდ, ქართველური ლექსიკა განდევნეს.

***ბანჯუ-**

ქართ. **ბანჯვ-** **ბანჯვ**-ლ-ი «ხშირი თმა»

მეგრ. **ბონჯგ-** **ბონჯგ**-ორ-ი «ბანჯგვლიანი»

ქართული **ბანჯვ-** და მეგრული **ბონჯგ-** კანონზომიერად შეესატყვისებიან ერთმანეთს.

მასალა შეაპირისპირა რ. აბაშიამ (აბაშია 1998c, 16).

***ბაყუ-**

ქართ. **ბაყვ-** **ბაყვ**-ი «ბარძაყის შიგნითა ნაწილი; თეძოს ძვალი»

მეგრ. **ბოყვ-** **ბოყვ**-ი «ბარძაყის შიგნითა ნაწილი; თეძოს ძვალი»

არ დასტურდება ძველ ქართულ ენაში. გვხვდება სულხან-საბას ლექსიკონში: «**ბაყვი** მუჯლისზეითი».

ქართულ **ბაყვ-** ძირს კანონზომიერად შეესატყვისება მეგრული **ბოყვ-**.

მასალა შეაპირისპირა და ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისათვის ***ბაყუ-** არქეტიპი აღადგინა გ. კლიმოვმა (Klimov 1998, 9).

*დაყუ-

ქართ. დაყუ- ი-დაყუ

მეგრ. დუც- დუც-ი «იდაყვი»

ლაზ. დუყუ- დუყუ «იდაყვი»

გვხვდება ძველ ქართულში: იდაყუნი უქმნა ვეცხლისანი სუეტთა მათ, გამოსლვ. 38,20 O; ამას იტყჳს უფალი: ვაი, რომელნი შეაკერვენ სასთაულსა ყოველსა ქუეშე იდაყუსა ჴელისასა, ეზეკ. 13,18 OJ და სხვ.

თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში (ნ)იდაყვ-ი გვაქვს.

ი-დაყუ- ფუძის ი პრეფიქსი ჩანს (თოფურია 1947, 456).

მეგრული დუც- (<*დუყუ-<*დოყუ-) კანონზომიერად შეესატყვისება ქართულ დაყუ- ძირს. ო>უ აიხსნება ბოლოკიდური უ-ს ზეგავლენით. იგი შემდგომ დაიკარგა (გუდავა 1960, 120).

ლაზური დუყუ- (<*დოყუ-) ზუსტად შეესატყვისება ქართულ დაყუ- ძირს (ო>უ ბოლოკიდურა უ-ს ზეგავლენით). ართაშნულ დიალექტში დადასტურებული დუღ- (ხე-დუღ-ი «იდაყვი») მიღებულია ყ>ღ მონაცვლეობის შედეგად (ჩიქობავა 1938, 12).

ქართული და მეგრული ენების მასალა შეაპირისპირა გ. დეეტერსმა (Deeters 1927, 12); ლაზური მასალა არნ. ჩიქობავამ მოიხმო (ჩიქობავა 1938, 59).

*კბ-

ქართ. კბ- კბ-ენ-ა; კბ-ეჩ-ა; კბ-ილ-ი ...

მეგრ. კიბ-/კჳბ- კიბ-ირ-ან-ს «ჰკბენს»; დო-კიბ-ირ-უ «უკბინა»; კიბ-ირ-ი/კჳბ-ირ-ი «კბილი»; კიბ-ირ-მოჭკადილი «თაგვი (სიტყვასიტყვით: კბილმოჭედილი)» ...

ლაზ. კიბ- ო-კიბ-ინ-უ «კბენა»; გდა-კიბ-ინ-ს «ჰკბენს»; კიბ-ირ-ი «კბილი» ...

გვხვდება ძველ ქართულში: და იყოს დან გუელ გზასა ზედა, მზირად მჯდომარჱ ალაგთა, და **უკბენდეს** ტერფთა ცხენთასა, შესაქმ. 49,17 O; მათ მკალთაჲ და მწერთაჲ მოჰსრვიდა **კბენაჲ**, სიბრძნ. 16,9 O; ყოველმან **კბენილმან**, რომელმან იხილოს იგი, ცხონდეს, რიცხუთა 21, 8 (მცხეთ.); მუნ ხიყოს ტირილი თუალთაჲ და ღრჭენაჲ **კბილთაჲ**, მ. 13,50 (ხანმ.) და სხვ.

ქართულ **კბ-** ძირს შეესატყვისება მეგრული **კიბ-** და ლაზური **კიბ-** (ძნელი სათქმელია, **ი** თავდაპირველია, თუ **კბ** აქცესიური კომპლექსის გასათიშავად განვითარებული). ქართული **კბ-ენ-/კბ-ინ-** ფუძის კანონზომიერი შესატყვისია ლაზური **კბ-ინ-**, ხოლო ქართული **კბ-ილ-** ფუძისა (ვნებითი გვარის მიმღეობა) – მეგრული **კიბ-ირ-** და ლაზური **კიბ-ირ-** (ლაზურის სხვა ვარიანტები: **კიბრ-**, **კირბ-**, **ჭიბრ-** **კიბირ**-ისაგან გამოიყვანებიან, ჩიქობავა 1938, 54; ЭСКЯ, 107).

ქართული, მეგრული და ლაზური ენების მონაცემები შეაპირისპირეს მ. ბროსემ (Brosset 1849, 74), მ. ჯანაშვილმა (იხ. Erckert 1895, 294), გ. დეეტერსმა (Deeters 1926, 52), არნ. ჩიქობავამ (ჩიქობავა 1938, 54; 291). გ. კლიმოვმა ქართულ-ზანური ერთიანობის დონისათვის აღადგინა ***კბ-** (Klimov 1998, 87), ***კბ-ენ-/კბ-ინ-** (Klimov 1998, 87; შდრ.: ЭСКЯ, 106-107) და ***კბ-ილ-** (ЭСКЯ, 107; Klimov 1998, 87) არქეტიპები. ი. მელიქიშვილის ვარაუდით, უმჯობესია ***კიბ-** არქეტიპის აღდგენა (Melikischwili 1999).

***კით-**

ქართ. **თით-/კით- თით-ი; კით-ი** «ყურძნის ჯიში (თითა)»

მეგრ. **კით- კით-ი** «თითი»

ლაზ. **კით- კით-ი** «თითი»

გვხვდება ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში: დახუდვა **თითი** ჩემი სახესა მას ფერჴთასა, ი. 20,25 L; **თითისსაჩუენებელ**

ვიქმნენით სოფლისა, ანგელოზთა და კაცთა, I კორ. 4, 9 AB; კაცი იყოს ... ბაგესქელი და თითმოკლე, ეტლ. 11, 21 და სხვ.

ქართულ თით- (<*კით-) ძირს შესაძლოა შეესატყვისებოდეს მეგრული კით- და ლაზური კით-.

მასალა შეაპირისპირა გ. როზენმა (Rosen 1845, 30).

*კუტ-

ქართ. კუტ- კუტ-უ «penis»; კუტ-ა «ბიჭო»

მეგრ. კუტ- კუტ-უ «penis»

ლაზ. კუტ- კუტ-უ «penis»

ქართულ კუტ- ძირს კანონზომიერად შეესატყვისება მეგრული კუტ- და ლაზური კუტ-.

ქართული, მეგრული და ლაზური ენების მასალა ივ. ჯავახიშვილმა შეაპირისპირა (ჯავახიშვილი 1950, 205-206). გ. კლიმოვი საერთოქართველური ფუძე-ენისათვის აღადგენს *კუტუ- არქეტიპს (ЭСКЯ, 118; Klimov 1998, 105).

*ლაშ-

ქართ. ლაშ- ლაშ-ი «ბაგე; ტუჩი»

მეგრ. ლეჩქ- ლეჩქ-ი «ბაგე; ტუჩი»

ლაზ. ლეშქ- ლეშქ-ი «ბაგე; ტუჩი»

გვხვდება ძველ ქართულში: კაცი იყოს ... თუალცოტაჲ და ლაშფართოჲ, ეტლ. 11,21; იყოს ... ზოგი მჭლე და ზოგი – ლაშფართოჲ, იქვე 12,26.

ქართულ ლაშ- ძირს შეესატყვისება მეგრული ლეჩქ- და ლაზური ლეშქ-. მეგრული და ლაზური ფორმებისათვის ამოსავალია საერთოზანური *ლოშქ-, რომელმაც უმლაუტის გზით მოგვცა ლაზური ლეშქ- და მეგრული *ლეშქ->ლეჩქ- (იხ.

გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965, 167). მეგრულში ჳ განვითარებულია (შდრ.: ჩიქობავა 1938, 52; Schmidt 1962, 120).

სვანური ეკვივალენტი ჯერჯერობით არ არის გამოვლენილი.

ქართველურ ენათა მასალა შეაპირისპირა გ. როზენმა (Rosen 1845, 30). ქართულ-ზანური ერთიანობის ეპოქისათვის *ლაშ- არქეტიპი აღადგინეს გ. კლიმოვმა (ЭСКЯ,120; Klimov 1998, 107), თ. გამყრელიძემ და გ. მაჭავარიანმა (გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965, 167; შდრ.: Schmidt 1962, 120).

***მკერდ-**

ქართ. **მკერდ-/მკრდ- მკერდ-ი; მკრდ-ის-ა; მკრდ-ით-ა** ...

მეგრ. **კიდირ-/კჲდჳრ- კიდირ-ი/კჲდჳრ-ი «მკერდი»**

გვხვდება ძველ ქართულში: ესე არს ცმელი **მკრდისაჲ** და ღჳძლისყური, ლევ. 7,30 O; **მკერდი** იგი წინადაგებისაჲ და მწარი იგი შესაწირავისაჲ მოვიღე ძეთაგან ისრაელისათა, იქვე 7,34 O; რომელიცა-იგი მიეყრდნა სერობასა მას **მკერდსა** მისსა, ი. 21,20; **მკრდითა** და მუცლითა შენითა ხჳდოდი შენ, კლარჯ. მრავალთ. 433,7-8; მოთხარა ყურესა ერთსა მტილისასა ჯურღმული ვიდრე **მკრდამდე** მისსა, Sin.-6 18r; და-თუ-ივიწყოსა სძალმან სამკაული თჳსი და ქალწულმან – **მკერდისა** სამკაული, ზოსტერი თჳსი, იერ. 2,31 J; იყოს ტანგრძელი და **მკერდბრტყელი**, ეტლ. 5,24 და სხვ.

ქართულ **მკერდ-** ძირს შეესატყვისება მეგრული **კიდირ-/კჲდჳრ-** (მ მეგრულის ანლაუტში დაკარგულია ტ. გუდავას მიერ დადგენილი წესის მიხედვით, იხ. გუდავა 1979, 80-84; ქართ. ე : მეგრ. ი : ლაზ. ი პოზიციური შესატყვისობისათვის იხ. მელიქიშვილი 1975, 122-128; მეგრულში მომხდარია მეტათეზისი და განვითარებულია ი).

ქართულ **მკერდ-** ძირს უკავშირებენ სვანურ **მუჭუედ/მუჭოდ** ფორმებს (იხ. Deeters 1930, 44; ЭСКЯ,135).

ქართული და მეგრული ენების მასალა შეაპირისპირა არნ. ჩიქობავამ (ჩიქობავა 1942, 99). ***მკერდ-** (ЭСКЯ,135) და ***მკერდ-/მკრდ-** (Klimov 1998, 123) არქეტიპები ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისათვის აღადგინა გ. კლიმოვმა.

***მუკლ-**

ქართ. **მუკლ-** **მუკლ-ი; მუხლ-ი** (ახ. ქართ.)

მეგრ. **მუხურ-** **მუხურ-ი** «კუთხე; მხარე»

დასტურდება ძველ ქართულში: **მუკლნი** დაიდგნა მის წინაშე, მრკ. 10, 17 (ხანმ.); ვითარცა აღასრულა სოლომონ უფლისა მიმართ ყოველი იგი ლოცვაჲ, აღდგა წინაშე საკურთხეველსა მას უფლისასა, სადა-იგი **მუკლდადგმით** დგა ზედა **მუკლთა** თჳსთა, III მეფ. 8,54 O და სხვ.

ქართულ **მუკლ-** (<***მუკლ-**) ძირს კანონზომიერად შეესატყვისება მეგრული **მუხურ-** (შესატყვისობისათვის საერთოქართველური ***რ** : ქართ. **რ** : მეგრ. **ურ** : ლაზ. **ურ** იხ. გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965, 79-80). გურული **მუხურ-ი/მუხურ-ო** («კუთხე; მხარე») ზანიზმია.

ქართული და მეგრული ენების მასალა შეაპირისპირა და ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისათვის ***მუკლ-** არქეტიპი აღადგინა გ. კლიმოვმა (ЭСКЯ,138; შდრ.: ფენრიხი, სარჯველაძე 1990, 224; Klimov 1998, 127).

***ნეკ-**

ქართ. **ნეკ-** **ნეკ-ი**

მეგრ. **ნაკ-** **ნაკ-უ**

დასტურდება ძველ ქართულში: **ნეკი** ჩემი უმსხო არს წელთა მამისა ჩემისათა, III მეფ. 12,10 O; დამოკიდა ყოველი სკიტჱ მცირესა მას **ნეკსა**, A-1105 344v.

ქართული **ნეკ-** ძირის კანონზომიერი შესატყვისია მეგრული **ნაკ-** (**ნაკ-უ** ფუძეში **-უ** სუფიქსის ფუნქცია ნათელი არაა (**Климов** 1985, 172).

მასალა შეაპირისპირა და ქართულ-ზანური ერთიანობის დონისათვის ***ნეკ(უ)** - არქეტიპი აღადგინა გ. კლიმოვმა (**Климов** 1985, 172).

***ნიკ-**

ქართ. **ნიკ-** **ნიკ-ელ-ი** «ცხვირი; დრუნჩი»

მეგრ. **ნიკ-** **ნიკ-უ** «ნიკაპი»

ლაზ. **ნუკ-/ნუნკ-** **ნუკ-უ/ნუნკ-უ** «ნიკაპი»

გვხვდება ძველ ქართულში: ვითარცა საყური **ნიკელსა** ღორისასა, ეგრეცა დედაკაცსა სახებოროტსა სიკეთჱ, იგავნი 11,12 O.

ქართული **ნიკ-ელ-** ფუძის კანონზომიერი შესატყვისია მეგრული **ნიკ-უ** და ლაზური **ნუკ-უ** (<**ნიკ-უ** ასიმილაციით. შესატყვისობა ქართ. **-ელ** : მეგრ. **-უ** : ლაზ. **-უ** კანონზომიერია; იხ. G. Schmidt 1950, 25-26; გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965, 88-89; **ნუნკუ** ფორმაში **ნ** განვითარებულია).

ქართული და მეგრული ენების მასალა შეაპირისპირა პ. ჭარაიამ (ჭარაია 1918, 279; იხ. აგრეთვე გიგინეიშვილი 1967, 9-10; გიგინეიშვილი 1973, 59); მეგრული და ლაზური – არნ. ჩიქობავამ (ჩიქობავა 1938, 49-50).

***პაღუ-**

ქართ. **პაღუ-** **პაღუ-ი**

მეგრ. **პუღუ-/პუხუ-** **პუღუ/პუხუ** «კუზი»

სულხან-საბას განმარტებით, «**პაღუ**, დიდი მუცელი».

ქართული **პაღუ-** ფორმის შესატყვისი ჩანს მეგრული **პუღუ** (<***პოღუ**; **ო>უ** აიხსნება **უ**-ს ზეგავლენით, იხ. გუდავა 1960, 119-120; **პუხუ<პუღუ**).

მასალა შეაპირისპირა და *ბარჯ- არქეტიპი ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისათვის აღადგინა გ. კლიმოვმა (Климов 1985, 172; Klimov 1998, 148).

*უბე

ქართ. უბე- უბე-ჲ

მეგრ. უბა-/ლუბა-/ლჳბა- უბა/ლუბა/ლჳბა «უბე»

ლაზ. უბა-/ობა- უბა/ობა «უბე; ქალის ძუძუები»

დასტურდება ძველ ქართულში: დააძინა უბეთა თჳსთა და ყრმაჲ იგი თჳსი მომკუდარი შემოაწვინა უბეთა ჩემთა, III მეფ. 3,20 O; ქვითა სცემდეს და დახეთქეს უბე მისი, რიფსიმეს წამ. 175,19 და სხვ.

ქართულ უბე- ძირს კანონზომიერად შეესატყვისება მეგრული უბა (ლუბა/ლჳბა<უბა ლ-ს განვითარების შედეგად, შდრ.: ლეკალ-ი, (ქართულიდან ნასესხები), ლაკაცია (ქართულიდან ნასესხები) და სხვ.; ლ-ს განვითარების შესახებ ანლაუტში იხ. Кипшидзе 1914, 07) და უბა (ობა მეორეული ფორმაა, იხ. ЭСКЯ, 185).

ქართული და მეგრული ენების მასალა შეაპირისპირა მ. ბროსემ (Brosset 1849, 75); ლაზურის მასალა მოიხმო გ. კლიმოვმა (ЭСКЯ, 185; იხ. აგრეთვე მაჭავარიანი 1965, 15). გ. კლიმოვმა ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისთვის აღადგინა *უბე-/ა- არქეტიპი (ЭСКЯ, 185).

*უპე

ქართ. უპე- უპე-ჲ «ჭიპი; წიალი»

ლაზ. უმპა-/ომპა- უმპა/ომპა «ჭიპი»

დასტურდება ძველ ქართულში: შობასა მას, ოდეს იშევ, არა შეგიხჳეს უპჱ შენი და წყლითა არა განიბანე, ეზეკ. 16,4 O; უპე J; რომელთა უყოფიეს მონაგები და დამკჳდრებულ არიან უპესა

ქუეყანისასა, ეზეკ. 38,12 OJ; აღმოავსებედ **უპესა** და მუცელსა თჳსსა, სინ. მრავალთ. 110,18 და სხვ.

ქართულ **უპე-** ძირს კანონზომიერად შეესატყვისება ლაზური **უმპა** (<*უპა მ-ს განვითარების შედეგად, იხ. ЭСКЯ, 186; **ომპა<უმპა<*უპა**).

მეგრულ **ომპა** სიტყვას, რომელსაც გ. კლიმოვი ქართული და ლაზური ენების მასალასთან აკავშირებს (იხ. ЭСКЯ, 186), საკმაოდ განსხვავებული მნიშვნელობა აქვს.

ქართული და ლაზური ენების მასალა არნ. ჩიქობავამ შეაპირისპირა (ჩიქობავა 1938, 69); ნ. მარს მიაჩნდა, რომ ლაზურში ძირი ბერძნულიდან არის ნასესხები. გ. კლიმოვმა ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისათვის აღადგინა ***უპე-/ა-** არქეტიპი (ЭСКЯ, 186).

***ფარცხ-**

ქართ. **ფარცხ-/-ფრცხ-/ფრჩხ- ფარცხ-ი; ფრცხ-ილ-ი/ფრჩხ-ილ-ი; ფრცხ-ენ-ა/ფრჩხ-ენ-ა; ფრცხ-ენ-ს/ფრჩხ-ენ-ს...**

მეგრ. **ბუცხ-/ბირცხ- ფოცხ-ი** «ფოცხი»; **ბუცხ-ა/ბირცხ-ა** «ფრჩხილი»; **აკა-ბუცხ-ა** «ძალიან მცირე»...

ლაზ. **ბუცხ- ბუცხ-ა** «ფრჩხილი; ფოცხი»; **ბუცხ-უფ-ს** «ფოცხავს»; **დო-ბუცხ-უფ-ს** «დაფოცხავს»...

გვხვდება ძველ ქართულში: ყოველსა საცხოვარსა, რომელსა განყოფილ იყოს ჭლაკი და **ფრცხილითა ფრცხენდეს** და აღმოიცოხნიდეს საცოხნელსა, საცხოვართა შორის ესე ჭამეთ, ლევ. 11,3 O; შეუპყრის წუერი **ფრჩხილისაჲ** მახითა მით მცირითა, Sin.-97 46r და სხვ.

ძველ ქართულში **ფრჩხილ-** «სატანჯველ იარაღსაც» აღნიშნავს: **ფრჩხილებითა** რკინისაჲთა ხუეტნეს გუერდნი მისნი, დიდი სჳნაქს. 17,31-33; რომელმან უბრძანა ძელსა დამოკიდებაჲ და **ფრჩხილებითა** რკინისაჲთა ხუეტაჲ გუერდთა მისთაჲ, იქვე 26,3-

5; დამოკიდებული რკინისა **ფრჩხილებითა** ძლიერად იხუეტა, იქვე 240,20-21 და სხვ.

ქართ. **ფარცხ-** (<*ფარცხ-) ძირის კანონზომიერი შესატყვისია მეგრული **ფოცხ-**, რომელიც ნასესხებია ქართულშიც. **ფარცხ-** ძირის კავშირი **ფრცხ-/ფრჩხ-** ზმნურ ძირთან ეჭვს არ უნდა იწვევდეს (ძირის შეკუმშვას იწვევს ზმნური **-ენ** და სახელური **-ილ** სუფიქსები).

ქართული **ფრცხ-** ძირეულ ალომორფს კანონზომიერად შეესატყვისება მეგრული **ბირცხ-** (<*ბრცხ-. ***რ**-ს ვოკალიზაციის შედეგად ჩამოყალიბდა **ურ** მიმდევრობა, რომელიც შემდგომ **უ>ი** პროცესის შედეგად **ირ** კომპლექსად გარდაიქმნა) და ლაზ. **ბუცხ-** (<*ბურცხ-<*ბრცხ-. საერთოქართველური მარცვლოვანი ***რ** სონანტის რეფლექსების შესახებ მეგრულსა და სვანურში იხ. გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965, 96). აღსანიშნავია, რომ მეგრულში წარმოდგენილია **ბუცხ-** ვარიანტიც: აკა-**ბუცხ-**ა «ძალიან მცირე» (ეტიმოლოგიურად: «ფრჩხილისოდენა», იხ. ჩიქობავა 1938, 62); შდრ.: ძველი ქართული **ფრჩხილისოდნობა** «სიმცირე; მცირეწლოვანება»: სიჩჩოჲთგან და **ფრჩხილისოდნობითგან** მართლმადიდებელნი ვართ, Jer.-151 161r,1-2.

მეგრ. **ბუცხ-<ბურცხ** - **რ**-ს დაკარგვით, ისე როგორც ლაზ. **ბუცხ-**.

ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში დასტურდება **ფუცხუ** «ჩანგალი». როგორც სულხან-საბა მიუთითებს: «ესე არს კავოედი რკინა, ქვაბით ჴორცთა ამოსაღებელი»: ამან ქმნა ყოველივე იგი სასანოვაგე ჭურჭერი საკურთხეველისაჲ, ხარისხი მისი, და საცეცხური მისი და ფიალები მისი, და **ფუცხუები** მისი რვალისაჲ, გამოსლვ. 38,23 O; მაშინ მოვიდა ყრმაჲ ერთი მღდელისაჲ აღმოღებად ჴორცისა მის და ჴელთა აჭუნდა **ფუცხუ** სამპირი, და შთაყვის იგი სიავსა, გინა ქოთანსა,

გინა ქუაბსა და პირველად რაიცა მოემთხჳის **ფუცხუსი** *მის*, იგიცა წარიღის მღდელისა მის, I მეფ. 2,13-14 O და სხვ.

ეს სიტყვა «სატანჯველ იარაღსაც» აღნიშნავს: **ფუცხჳთა** ხუეტილთა მოკუდავებისა სიზრქე განაგდეთ, პარაკლიტ. 52r,19-20; იხილა ნეტარმან ამან, რამეთუ სამპირითა **ფუცხჳთა** წარჰჴადა ანგელოზმან სული მისი, დიდი სჯნაქს. 239,10-12; გამოვიძიოთ **ფუცხუთათჳს** რკინისათა, იოანე ოქროპ. ასკეტ. 104,12-13 და სხვ.

ფუცხუ წარმოადგენს ქართული ფრცხ-ილ- ან *ფრცხ-ელ- მიმღეობის კანონზომიერ ზანურ შესატყვისს, ნასესხებს ძველ ქართულში (სარჯველაძე 1968, 505-507).

ქართულ ფრცხ- ძირთან სვანური **ცხა/ცხჯ-ი** («ფრჩხილი») ძირის დაკავშირება სათუოა (შდრ.: ЭСКЯ,191). სვანურში დასტურდება მგ-ფცხ-ი/მგ-ფჯცხ-ი («მფარცხავი»); ნა-ფჯცხ (ბზ.) «მონაფოცხი». ძნელი სათქმელია, ძირი ქართულიდანაა ნასესხები, თუ ქართული და მეგრული ძირების კანონზომიერ შესატყვისს წარმოადგენს.

ქართული, მეგრული და ლაზური ენების მასალა არნ. ჩიქობავამ შეაპირისპირა (ჩიქობავა 1938, 61-62). გ. კლიმოვმა საერთოქართველური ფუძე-ენის დონისათვის აღადგინა *ფრცხა- და *ფრცხ-ენ- არქეტიპები (ЭСКЯ, 191; შდრ.: ფენრიხი, სარჯველაძე 1990, 62).

*ქურს-

ქართ. **ქუს-** ქუს-ლ-ი

მეგრ. **ქურს-/ქურც-/ქურ-** ქურს-ი/ქურც-ი/ქურ-ი «ქუსლი»; ნა-ქურ-ი «id.»

ლაზ. **ქურ-/ქუს-** ქურ-ი/ქუს-ი «ქუსლი»

გვხვდება ძველ ქართულში: ორნივე იგი ბჭენი ძელთაგან ნაძუთაჲსა ორკერძო განღებით და **ქუსლნი** მათნი იმიერ და

ამიერ, III მეფ. 6,32 J; პოოს გუელმან შიშუელი ქუსლი მისი, კლარჯ. მრავალთ. 67.

ქართულ ქუხ-ლ- (<*ქურს-ლ-) ფუძეს შეესატყვისება მეგრული ქურს- (ქურც-<ქურს-; სონორ თანხმოვანთა მომდევნო პოზიციაში ხ>ც პროცესისათვის იხ. ჟღენტი 1953, 155-156; ქურ-<ქურხ- ხ თანხმოვნის დაკარგვით) და ლაზური ქუს- (<*ქურხ- რ-ს დაკარგვით. ქრუს-ი («წიხლი»; ცხენიქ ქრუსი (//ქუსი) გეჩუ «ცხენმა წიხლი მოიქნია») მიღებულია მეტათეზისის შედეგად).

ქართული და მეგრული ფორმები პ. ჭარაიამ შეაპირისპირა (ჭარაია 1895, XII; 115); ლაზური ეკვივალენტი გამოავლინა არნ. ჩიქობავამ (ჩიქობავა 1938, 65). გ. კლიმოვმა ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისათვის აღადგინა *ქურსლ- არქეტიპი (ЭСКЯ, 200; შდრ.: Klimov 1998, 219).

*ყარყანტ-

ქართ. ყარყანტ- ყარყანტ-ო

მეგრ. ცორცონტ- ცორცონტ-ი «ყარყანტო»

ლაზ. ყირყინტ- ყირყინტ-ონ-ი «ყარყანტო»

დასტურდება სულხან-საბას ლექსიკონში: «ყარყანტო ხორხი პირუტყუთა».

ქართულ ყარყანტ-ს შეესატყვისება მეგრული ცორცონტ- (<*ყორყონტ-) და ლაზური ყირყინტ- (<*ყურყუნტ-<*ყორყონტ-).

*ყარყანტ- რედუპლიკაციის შედეგად მიღებული ხმაბაძვითი ფუძე ჩანს (*ყარტ-ყარტ->ყარ-ყანტ-).

ქართული და ლაზური ენების მასალა შეაპირისპირა ნ. მარმა (Марр 1909a, 0155-0156); მეგრული ეკვივალენტი გამოავლინა გ. კლიმოვმა (Климов 1973, 364; Klimov 1998, 238).

*ყ̇ვ̇ილ-

ქართ. ყულ- ყულ-ივ-ი

მეგრ. ცვილ- ცვილ-ი «ძვალი; მკლავი»

ლაზ. ყვილ-/ცილ-/ილ- ყვილ-ი/ცილ-ი/ილ-ი «ძვალი»; ყვილ-ონ-ი «ძვლიანი»

გვხვდება სულხან-საბას ლექსიკონში: «ყულივი მჴრის ძვალი». საფიქრებელია, რომ ყულ- გვაქვს ყურიმალ- (<*ყული-მალ-) ფუძეში: გცეს თუ ვინმე მარჯუენესა ყურიმალსა, მ. 5,39; რომელმანცა შენ ყურიმალსა შენსა, ლ. 6,29; მონაჲ ყურიმლავს მეუფესა, A-52 133v,13; ზურგი ჩემი მისცე გუემად და ღაწუნი ჩემნი ყურიმლის-ცემად, ესაია 50,6 J და სხვ.

ქართულ ყულ- ძირს თითქოს შეესატყვისება მეგრული ცვილ- და ლაზური ყვილ- (ცილ-/ილ-<ყვილ-). დაკავშირება პრობლემატურია. არაა ნათელი, რატომ გვაქვს შეფარდება ქართ. ლ : მეგრ. ლ : ლაზ. ლ. ქართული უ-ს შესატყვისად მეგრულსა და ლაზურში უნდა იყოს უ და არა ვი.

ქართული და მეგრული ენების მასალის შესატყვისობის შესახებ ვარაუდი ა. ცაგარელმა გამოთქვა (Цагарели 1880, 27); ლაზურის მასალა მოიხმო არნ. ჩიქობავამ (ჩიქობავა 1938, 71). გ. კლიმოვმა ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისათვის აღადგინა *ყულიუ- არქეტიპი (ЭСКЯ,211; შდრ.: Klimov 1998, 242).

*ყორყ- .

ქართ. ყორყ- ყორყ-ი

მეგრ. ცორყ- ცორყ-ელ-ი/ცურყ-ელ-ი «ყორყი»

ქართულ ყორყ- ძირს კანონზომიერად შეესატყვისება მეგრული ცორყ- (ცურყ-<ცორყ-).

ქართული და მეგრული ძირები შეაპირისპირა ნ. მარმა (Марр 1909b, 0155-0156). *ყორყ- არქეტიპი ქართულ-ზანური

ერთიანობის ხანისათვის აღადგინა გ. კლიმოვმა (ЭСКЯ, 213; Klimov 1998).

*ყურ-

ქართ. ყურ- ყურ-ი; ყრ-უ

მეგრ. ჳუჯ- ჳუჯ-ი «ყური»; ჳურ-უ «სულელი»; ო-ჳუჯ-ე «საყურე»; თო-ჳუჯ-ი «ყურადღება»; ჳუჯ-ა «სულელი» ...

ლაზ. ჟუჯ-/ჳუჯ-/ჲუჯ-/უჯ- ჟუჯ-ი/ჳუჯ-ი/ჲუჯ-ი/უჯ-ი «ყური»; ჟუჯ-ონ-ი «გრძელყურება»; მე-ბ-უ-უჯ-ამ «ვისმენ (მისას)»; უ-ჳუჯ-ამ-ს «უსმენს»; ქო-ნ-ი-ჟუჯ-უ «ისმინა; გაიგონა»; უჯ-ელ-ი «ქოთანი»; ჟუჯ-ა «ყრუ» ...

დასტურდება ძველ ქართულში: რომელსა ჟურსა ხეტყოდით საუნჯეთა შინა, ხიქადაგოს ერდოთა ზედა, ლ. 12,3 (ხანმ.); ... ხასხენ ჟურნი სმენად, მ. 13,9 (ხანმ.); რომელ ჟურთა გესმეს, ქადაგებდით ერდოებსა ზედა, მ. 10,27 (ხანმ.); დღეს აღესრულა წერილი ესე ჟურთა მიმართ თქუენთა, ლ. 4,21 V და სხვ.

ქართულ ჟურ- ძირს კანონზომიერად შეესატყვისება მეგრული ჳურ-/ჳუჯ- და ლაზური ჟუჯ- (მეგრულისა და ლაზურისათვის ამოსავალია საერთოზანური *ყურ-<*ჟურ-. შესატყვისობისათვის ქართ. რ : მეგრ. ჯ : ლაზ. ჯ იხ. Марр 1909, 3-4).

სარწმუნო სვანური ეკვივალენტი გამოვლენილი არ არის (შდრ.: ЭСКЯ,213).

ქართველურ ენათა მასალა შეაპირისპირა გ. როზენმა (Rosen 1845, 30). გ. კლიმოვმა ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისათვის აღადგინა *ყურ- და *ყურ-უ- არქეტიპები (ЭСКЯ, 213-214; Klimov 1998, 246-247).

*ცხვირ-

ქართ. ცხუირ- ცხუირ-ი; ცხვირ-ი (ახ. ქართ.)

მეგრ. ჩხვინდ-/ჩხინდ- ჩხვინდ-ი/ჩხინდ-ი «ცხვირი»

ლაზ. ჩხვინდ-/ჩხინდ- ჩხვინდ-ი/ჩხინდ-ი «ცხვირი»; კეინჩიშ ჩხვინდ-ი «ნისკარტი»; უ-ჩხინდ-ე «უცხვირო» ...

გვხვდება ძველ ქართულში: ცხჯრნი შენნი და ყურნი შენნი მოგკუეთნენ, ეზეკ. 23,25 O; ცხჯრ-დაცემანი მისნი – ელვარებს ნათელი, იობ. 41,9 (მცხეთ.); ნუ მოვალნ: კაცი ბრმაი და მკელობელი, გინა ცხჯრმოკლე, გინა ყურკუეთილი, ლევ. 21,18 (მცხეთ.); ცხჯრმრუდი და კბილმრუდი, და თმაწურილი და წკვგრძელი, ეტლ. 4,24-25 და სხვ.

ქართულ ცხუირ- (<*ცხუირ-) ძირს კანონზომიერად შეესატყვისება მეგრული ჩხვინდ- და ლაზური ჩხვინდ- (მეგრულისა და ლაზურისათვის ამოსავალია საერთოზანური *ჩხუინჯ-. შესატყვისობისათვის ქართ. რ : მეგრ. ჯ : ლაზ. ჯ იხ. Марр 1909a, 3-4; წინაენისმიერთა წინ ნ-ს განვითარების შესახებ მეგრულსა და ლაზურში იხ. ჟღენტი 1953, 92-98; ჩხვინჯ->ჩხვინდ- დისიმილაციური დეზაფრიკატიზაციის შედეგად; ამ მოვლენის შესახებ იხ. როგავა 1947, 353). მეგრული ჩხინდ- და ლაზური ჩხინდ- მიღებულია ვ-ს დაკარგვის გზით.

იმერული ცხვინჯ-ა (<ჩხვინჯ-ა) მეგრულიდან არის ნასესხები.

ქართველურ ენათა მასალა შეაპირისპირა გ. როზენმა (Rosen 1845, 30). *ცხუირ- არქეტიპი ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისათვის აღადგინა გ. კლიმოვმა (ЭСКЯ, 232).

*ძუ-

ქართ. ძუ- ძუ-ძუ-ი

მეგრ. ძუ- ძუ-ძუ- «ძუძუ»

დასტურდება ძველ ქართულში: რომელნი-იგი დღითი დღედ ხწოვედ ძუძუთა დედისათა, ხანმ. მრავალთ. 8bv,7-10a; მანაინ,

რომელი-იგი იყო **ბუბუჲსმტე** ჰეროდე მეფისაჲ, საქმ. მოციქ. 13,1; ხემსგავსნეს შვილნი ეკლესიისანი ყრმათა **ბუბუჲსმწოვართა**, ხანმ. მრავალთ. 8bv,4-7a; მოსარ ამალეკი და ყოველი, რაჲცა იყოს მათი: კაცი და დედაკაცი, ყრმაჲ და **ბუბუჲსმწოვარი**, I მეფ. 15,3 O; დამალა იგი და **დედამბუძმ** თჳსი სენაკსა სასუენებელისასა პირისაგან გოთოლიაჲსისა, IV მეფ. 11,2 O; მიწერა იუ სამარიად მთავართა მათ სამარიაჲსათა და მოხუცებულთა მათ და **მამამბუძეთა** მათ აქაბისთა, IV მეფ. 10,1 O და სხვ.

ბუბუ რედუპლიკაციის შედეგად ჩანს მიღებული (**ბუ-ბუ**).

ქართულ **ბუ-ბუ-** ფუძეს შეესატყვისება მეგრული **ბუ-ბუ-**. ლაზური **ბუბ-**ი ბერძნულიდან არის ნასესხები (შდრ.: ЭСКЯ,235; Klimov 1998, 281-282).

ქართული და მეგრული ენების მასალა შეაპირისპირა და ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისათვის ***ბუბუ-** არქეტიპი აღადგინა გ. კლიმოვმა (ЭСКЯ, 235; Klimov 1998, 281).

***წმართ-**

ქართ. **წმართ-** სა-**წმართ**-ულ-ი «წვივსაკრავი»

მეგრ. **წიმორთ-/წჷმორთ-** **წიმორთ**-ი/**წჷმორთ**-ი «ფეხი მუხლამდე»

დასტურდება ძველ ქართულში: **საწმართულნი** ფერჴთა მისთა და ფარი სპილენძისაჲ ჴელთა მისთა, I მეფ. 17,6 J; მაშინ კაცნი ესე შეიკრნეს ნიფხავ-კუართითურთ მათით და ვარშემანგით და **საწმართულით** და ყოვლითურთ სამოსლით მათით, დანიელ 3,21 J.

ქართულ **წმართ-** ძირს კანონზომიერად შეესატყვისება მეგრული **წიმორთ-/წჷმორთ-** (<***წმორთ-**).

ქართული და მეგრული ენების მასალა ტ. გუდავამ შეაპირისპირა (იხ. ЭСКЯ, 245). ***წმართ-** არქეტიპი ქართულ-ზანური

ერთიანობის ხანისათვის აღადგინა გ. კლიმოვმა (ЭСКЯ, 245; Klimov 1998, 300).

*წარბ-

ქართ. წარბ- წარბ-ი

მეგრ. [ჭობ- ჭობ-ი «წარბი»]

დასტურდება ძველ ქართულში: წარბითა თჳსითა ამაღლდებინ, იგავნი 30,13 O; წარბმაღლობაჲ იგი და მდიდრად მეტყუელებაჲ გლოვად და გოდებად მოაქცია, A-129 256v,29-32a; წარბმაღლობით და სილაღით მეტყუჱლმან, A-689 220r,37a-38b; იყო ... თუალოან და წარბოან, A-1103 227r,12a და სხვ.

მეგრული ჭობ-(<*ჭორბ-), რომელიც ქართული წარბ-(<*წარბ-) ძირის კანონზომიერ ფონემურ შესატყვისს წარმოადგენს, ამჟამად აღარ იხმარება, მაგრამ იგი დადასტურებული აქვს მ. ბროსეს (Brosset 1849, 74).

ქართული და მეგრული ფორმები შეაპირისპირა მ. ბროსემ (Brosset 1849, 74). *წარბ- არქეტიპი ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისათვის აღადგინა გ. კლიმოვმა (ЭСКЯ, 248; Klimov 1998, 307).

*კახ-/კხ-

ქართ. კს- სა-კს-არ-ი; და-ვ-კახ; კს-ავ-ს; კს-ვ-ა «კეტვა»; გან-კს-ნ-ა; და-კს-ნ-ა; კს-ნ-ილ-ი ...

მეგრ. რსხ-/რცხ- ქი-მი-ო-რსხ-უ-უ «შეაერთა»; ქო-რსხ-უ-დ-ა-ს «მოგემატოს»; მუნო-რსხ-ილ-ი «მობმული»; მე-რსხ-ელ-ი/ო-რცხ-უ-ა «სახსარი» ...

ლაზ. მცხ-/ცხ- ო-მცხ-უ «შეერთება»; ნ-ა-მცხ-ვ-ე-ნ «უერთდება»; მე-მცხ-ვ-ერ-ი/მე-ცხ-ულ-ი «სახსარი» ...

გვხვდება ძველ ქართულში: **შეჰკშა** კარი იგი გარეშჱ, ივდით 13,1 O; შევიდა იესუ კართა **კსულთა**, ი. 20,26 L; **კშულთა** C; ღალად-ყო და თქუა: უფალო, **მიკსენ** მე, მ. 14,30 (ხანმ.); ზედამდგომელ ვიქმნე ქალაქსა მაგას **კსნად** მაგისა ჩემთჳს, IV მეფ. 19,34 O; უკუეთუ **საკსარი** დასდვას, მისცეს მას **საკსარი**, რაჲცა-იგი დასდვან მას სულისა მისისა წილ, რომელცა-იგი მოკლა მან, გამოსლვ. 21,30 O; გარდასტეხენით ჴელნი მისნი და დამოჰყარენით მას **გარდასაკსნელით**, Sin.-11 246v; ზარი დაეცის ყოველთა იოგთა და **დახაკსნელთა** გუამისა მათისათა, რამეთუ მიჰზიდვედ მათ ბოროტნი იგი მუშაკნი, მამ. სწავლ. 139,18-20 და სხვ.

ქართულ **კს-** ძირს შეესატყვისება მეგრული **რსხ-** (<***ხს-** მეტათეზისისა და **რ-**ს განვითარების შედეგად) და ლაზური **ცხ-** (<***ხს-** მეტათეზისისა და **სხ>ცხ** პროცესის გზით. **მცხ-<ცხ-** ან-ლაუტში **მ-**ს განვითარების შედეგად).

ქართველურ ენათა მასალა შეაპირისპირეს არნ. ჩიქობავამ (ჩიქობავა 1938, 59), გ. კარტოზიამ (კარტოზია 1979, 71-73) და ჰ. ფენრიხმა (Fähnrich 1998c). ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისათვის გ. კლიმოვმა აღადგინა ***კს-** არქეტიპი (ЭСКЯ, 267; შდრ.: ფენრიხი, სარჯველაძე 1990, 494; Klimov 1998, 334).

***კორკ-**

ქართ. **კორკ- კორკ-**ი; **კორკ-**იან-ობ-ა «ყვირილი»; **ხორხ-**ი (ახ. ქართ.)

მეგრ. **ხორხ-/ხურხ- ხორხ-**ოტ-ა «ხახა; ყელი»; **ხურხ-**ი «ხორხი»

ლაზ. **ხორხ-/ხურხ-/ხუხ- ხორხ-**ონჯ-ა «ხორხი»; **ხურხ-**ი/**ხუხ-**ი «ხორხი»

დასტურდება ძველ ქართულში: **კორკი** მისი – სავსჱ სიტკბოებითა და ყოვლად საწადელ, ქებ. ქებ. 5,16 O; სასაჲ გემოსა

იხილავს და **კორკი** შთააბნევს სტომაქად, მამ. სწავლ. 176,12-13; არა ჰხედვენ, არცა ესმის, არცა ჴმობენ **კორკითა** მათითა, ბალავარ. 144, 37-38; მაშინ აგრგუნდის ძრვითა მით შინაგანითა, ნესტკუთა მით, რომელ არს **კორკი**, მიმსგავსებული ნასხევთა მათ სტკრისათა, კაცისა აგებ. 159,1-2; აღუჩნდებოდა უკუეთუ წინამიმღებელთა ტრივონებისათა და წინამწურთელთა **კორკიანობისათა**, A-109 25v, 21-26b და სხვ.

ქართულ **კორკ-** ძირს შეესატყვისება მეგრული **ხურხ-** და ლაზური **ხორხ-/ხურხ-** (მეგრულისა და ლაზურისათვის ამოსავალია საერთოზანური ***ხორხ-<*კორკ-**. ლაზ. **ხუხ-<ხურხ-** რ-ს დაკარგვის შედეგად).

ქართველურ ენათა მასალა შეაპირისპირა და ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისათვის ***ხორხ-** არქეტიპი აღადგინა გ. კლიმოვმა (ЭСКЯ, 261; შდრ.: ფენრიხი, სარჯველაძე 1990, 499; Klimov 1998, 340).

4.3.2 შინაგანი ორგანოები

ქართულ-ზანური შესატყვისობები სულ რამდენიმე ერთეულით ამდიდრებენ ადამიანის შინაგანი ორგანოების გამომხატველ ლექსიკურ ერთეულებს.

***ტჳინ-**

ქართ. **ტუინ-** **ტუინ-ი** «ტვინი; ცხიმი» გან-**ტუინ-ვ-ა** «ჩაქოლვა» ...

მეგრ. **ტვინ-/ტვენ-** **ტვინ-ი/ტვენ-ი** «ტვინი»

გვხვდება ძველ ქართულში: მისწუთების იგი ვიდრე განსაყოფელადმდე საშუმინველისა და სულისა, ნაწევართა და **ტჳნთა**, და განმკითხველ ზრახვათა დაფარულთა და გონებათა გულისათა, ებრ. 4,12; საკუერთხი **ტჳნოვანი** შევწირო შენდა ვერძებითურთ და საკუმეველით, ფსალმ. 65,15 CD; **ტჳნოანი** C;

ტუინოანი A; უკუეთუ შევწიროთ უფლისა ღმრთისა ჩუენისა საძაგელი ეგჳპტისაჲ წინაშე მისსა, ქვითა **განვიტჯნეთ**, გამოსლვ. 8,26 O; სადა შეკრბეს ფარისეველნი სადუკეველითურთ და საჯეს მისი ქვითა **განტჯნვაჲ**, სინ. მრავალთ. 240,12-13 და სხვ.

ქართულ **ტუინ-** ძირს შეესატყვისება მეგრული **ტვინ-/ტვენ-**.

ქართული და მეგრული ენების მასალა შეაპირისპირა და ***ტუინ-** არქეტიპი ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისათვის აღადგინა გ. კლიმოვმა (ЭСКЯ, 181).

***ურჩხ-**

ქართ. **ურჩხ- ურჩხ-ი** «ნაწლავი»

ლაზ. **ინჩხ- ინჩხ-ი-მენჩხ-ი** «ნაწლავი»

დასტურდება ძველ ქართულში: ხოლო უკუეთუ მკურნალობისა რაჲმე მოლუაწებაჲ იქმნას მათთჳს და თელგმისმჭამელი რაჲმე წამალი მიეცემის და შეკრებული იგი **ურჩხთა** შინა სტომაქისათა განითხიოს და წარირღუნას, Ost.-3 88r,1-10b; არა უქმად მდებარე არიან ცხოველთა შორის ... **მრავალურჩხნი** და წელსხჳლნი, ექუს. დღეთ. (აბ.) 110,8.

სულხან-საბას ლექსიკონში გვაქვს: «**ურჩხი** უკანა ნაწლევი»; «**მრავალურჩხი** მრავალნაწლევი».

ქართული **ურჩხ-** ძირის შესატყვისი უნდა იყოს ლაზური **ინჩხ-** (<***უნჩხ-**<***ურჩხ-**. ***რჩ>ნჩ** ასიმილაციით. ამ ტიპის ასიმილაციის შესახებ იხ. ჟღენტი 1953, 122-128). ლაზური **ინჩხი-მენჩხ-ი** რედუპლიცირებული ფუძე ჩანს.

მასალა შეაპირისპირა ზ. სარჯველაძემ (Sardschweladse 1985, 25).

***ფირტუ-**

ქართ. **ფირტუ- ფირტუ-ი; ფილტვ-ი** (ახ. ქართ.)

მეგრ. **ფირტვ- ფირტვ-ი** «ფილტვი»

დასტურდება ძველ ქართულში: მჯურვალებამან ერთმან, გინა გუერდისა ტკივილმან, ანუ თუ **ფირტჯ**სამან, ექუს. დღეთ. (აბ.) 66,1; ცხად არს, რამეთუ **ფირტჯ** ჩუენი ასოჲ არს თხელი, და ყნოსითა ყიისაჲთა მიიღებს ჰაერსა და აგრილობს მჯურვალებასა, რომელ არს ჩუენ შორის, ექუს. დღეთ. (აბ.) 97,6-8 და სხვ.

ქართულ **ფირტუ**- ძირს შეესატყვისება მეგრული **ფირტვ**-. ამ ძირის დაკავშირება მეგრ. **ფიჟვ**-, ლაზ. **ფურფ**- და სვან. **პერშუდა/პერეშტუა** ფორმებთან პრობლემატურია (შდრ.: ჩიქობავა 1938, 67; Wardrop 1911, 613).

ქართული და მეგრული ენების მასალა პ. ჭარაიამ შეაპირისპირა (ჭარაია 1895 XII, 110). გ. კლიმოვმა საერთოქართველური ფუძე-ენისათვის აღადგინა ***ფირ(ს)ტუ**- (ЭСКЯ,189) და ***ფირტუ**- (Klimov 1998, 201) არქეტიპები.

**ცოცხ*-

ქართ. **ცოცხ**- **ცოცხ**-ალ-ი «ჯანმრთელი; ცოცხალი»; გან-**ცოცხ**-ლ-დ-ა ...

მეგრ. **ჩხონჩხ**- **ჩხონჩხ**-ი «ღვიძლი»

დასტურდება ძველ ქართულში: არა პოვეს გუამი იგი მისი, მოვიდეს და თქუეს, ვითარმედ ხილვაჲცა ანგელოზთაჲ იხილეს, რომელთა ხრქუეს მათ, ვითარმედ **ცოცხალ** არს იგი, ლ. 24,3 L; ყოლადვე **განვაცოცხლე** კაცი შაბათსა, ი. 7,23 (ხანმ.); **განცოცხლდა** ჴელი იგი მისი, მრკ. 3,5 C; აღდგა ქალი იგი **განცოცხლებული**, რამეთუ განვიდა მისგან არაწმიდაჲ იგი სული, უდაბნ. მრავალთ. 29r და სხვ.

ქართულ **ცოცხ**- (<***ცოცხ**-) ძირს კანონზომიერად შეესატყვისება მეგრული **ჩხონჩხ**- (<***ჩოჩხ**-. თავკიდურა კომპლექსი ასიმილაციურად არის ჩამოყალიბებული. ამ მოვლენის შესახებ იხ. **Кипшидзе** 1914, 07; **ნ** განვითარებულია **ჩ**-ს წინ. წინა-

ენისმიერთა წინ **ნ**-ს განვითარების შესახებ მეგრულსა და ლაზურში იხ. ჟღენტი 1953, 92-98).

ქართული და მეგრული ენების მასალა შეაპირისპირა ი. კორტავამ.

V. მასალის ანალიზი და დასკვნები

წარმოდგენილი მასალის ანალიზის საფუძველზე, საერთო-ქართველურ დონეზე დიფერენცირებული და ენობრივად სომატური ლექსიკის სახით სტრუქტურირებულია ადამიანის ანატომიური სხეულის შესაბამისი 17 კონცეპტუალური კატეგორია:

გუგა, ენა, თავი, თვალი, თმა, იღლია, კუტ(უ)/მამაკაცის სარცხვინელი, მარჯვენა ხელი, მხარი, პირისახე, ნესტო//ცხვირი, ფეხი/ბარკალი/ფეხი მუხლამდე, ყელი, ყვერი, შუგლი, ძარღვი, ხელი.

ამათ ემატებათ შინაგანი ორგანოების შესაბამისი სამი კატეგორია:

გული, ნაწლავი, ღვიძლი.

თუ ქართულ-სვანურ შესატყვისობებზე დაყრდნობით გამოყოფილ ლექსიკასაც გავითვალისწინებთ და ამ ოდენობებს საერთო-ქართველური დონისათვის აღვადგენთ, ენობრივად მარკირებული ერთეულები ჩნდება შემდეგი კატეგორიებისათვის:

*თვალი/(ჩანს), თხემი, ლოყა, მამაკაცის სარცხვინელი, ნიკაპი, ფეხი/წვივი, ღაწვი, ყბა(*ყაბ-)/(*კაპ-), ყური, ყვერი, შუგლი, ხახა;*

ხოლო შინაგანი ორგანოს ამსახველი ლექსიკა – კატეგორიით: *ჩირქი/ნაღველი.*

ამდენად, მთლიანობაში, საერთო-ქართველურ დონეზე სინამდვილიდან გამოცალკევებული და მარკირებულია 25 სომატური კატეგორია, რომლებიც რეალიზებულია 29 ლექსიკური ერთეულით, რომელთაგან ოთხი კატეგორია: *თვალი, მამაკაცის სარცხვინელი, ფეხი, შუგლი* – წარმოდგენილია დუბლეტური ლექსიკური ფორმებით.

საერთო-ქართულ-ზანურ დონეზე საკვლევად შერჩეუ-

ლი სემანტიკური ველი შემდგომ დანაწევრებას განიცდის და მნიშვნელოვნად მდიდრება ახალი ლექსიკით, რომელიც გაანალიზებული მასალის საფუძველზე შემდეგ „ახალ“ კატეგორიებს მოიცავს:

ბაგე/ტუჩი, ბაყვი, თითი, იდაყვი, კბილი, კუზი/დიდი მუცელი, მკერდი, მუხლი, ნეკი, ნიკაპი, სახსარი, უბე, ფრჩხილი/ფოცხი, ძუსლი, ღრძილი, ყანყრატო, ყური, ყურის ბიბილო (მხოლოდ ქართულში განვითარებული შინაარსით), *ცხვირი/ნისკარტი, ძვალი/მკლავი, ძუძუ, წარბი, წვერი/ბოლო, ჭიპი, ხორხი, ხშირი თმა.*

ამათ ემატებათ შინაგანი ორგანოების აღმნიშვნელი ლექსიკა:

ნაწლავი, ტვინი, ფილტვი, ცოცხალი/ღვიძლი.

ბუნებრივია, იზრდება ერთი და იმავე კატეგორიის შესაბამისი ლექსიკისათვის დადასტურებული დუბლეტური ფორმების რაოდენობაც.

საერთო-ქართველური და საერთო-ქართულ-ზანური შესატყვისობების შედარების საფუძველზე იკვეთება რამდენიმე მნიშვნელოვანი ინფორმაცია:

- ქალისა და კაცის განმასხვავებელი სხეულის ნაწილების დიფერენციაცია დასტურდება მხოლოდ საერთო-ქართულ-ზანურ დონეზე, სადაც ჩნდება *მკერდი : ძალის მკერდი* კატეგორიების განმასხვავებელი ლექსიკური ერთეულები;
- განსაკუთრებით ნაწევრდება და კონკრეტდება ლარინგსის ზონა;
- დუბლეტური ფორმები ავლენენ ერთი და იმავე კატეგორიის შესაბამისი განსხვავებული ლექსემებისთვის ამოსავალ სხვადასხვაგვარ წყაროებს: *ცხვირი←ნესტო// ცხვირი←ნისკარტი, თვალი//თვალი←ჩანს, ყურის ბიბილო//←ქათმის ბიბილო* და სხვა.

VI. დიალექტთა მონაცემები

6.1. ზოგადი ინფორმაცია

ენობრივი სისტემის ჩამოყალიბებაში, კერძოდ, სინამდვილის შემდგომი სტრუქტურირებისა და დანაწევრება-დაკონკრეტების თვალსაზრისით ახალი ლექსიკური ერთეულების ფორმირებისა და ლექსიკური ფონდის ჩამოყალიბება-გამდიდრების პროცესში, განსაკუთრებული როლი ენიჭება დიალექტებს, რამდენადაც ცოცხალი მეტყველების პროცესი, ასახავს რა კონკრეტულ გეოგრაფიულ თუ კულტურულ (ფართო გაგებით – ეთნიკურ, ტრადიციულ, რელიგიურ თუ ყოფით) თავისებურებებს, სინამდვილის შემდგომი სპეციფიკური დანაწევრების მოტივაციას იწვევს და შედეგად ახალი, ენობრივად აქტუალიზებული მარკირებული კატეგორიები გარკვეულწილად ამდიდრებენ ლექსიკურ ფონდს.

დიალექტთა როლის კვლევის საწყისი ეტაპისათვის შეირჩა სოციოლინგვისტური და გეოგრაფიული ორი ძირითადი პარამეტრის მიხედვით დიფერენცირებული ქართული ენის ოთხი ტიპური დიალექტი: როგორც ცნობილია, ქართულ ლინგვისტურ სივრცეში გარკვეულ სოციოლინგვისტურ ერთობას ქმნიან, ერთი მხრივ, მთისა და ბარის, მეორე მხრივ კი აღმოსავლეთისა და დასავლეთის მიხედვით განსხვავებული დიალექტები; ამ ორი ნიშნის კვეთაზე არსებული დიალექტებიდან კი კვლევისათვის, ნიმუშის სახით, შეირჩა **გურული, რაჭული, ხევსურული** და **ქიზიყური** დიალექტები:

	აღმოსავლეთი	დასავლეთი
მთა	ხევსურული	რაჭული
ბარი	ქიზიყური	გურული

მასალა მოპოვებულ იქნა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის (No 216682) ფარგლებში ჩატარებული საველე სესიების მსვლელობის დროს ინფორმანტებთან მუშაობისას. პროექტის ფარგლებში შემუშავებული საექსპერიმენტო ლინგვისტური ამოცანები, ძირითადად, დაეფუძნა ბერლინ-პოტსდამის ტიპოლოგიური ხასიათის პროექტის აპრობირებულ სატესტო ამოცანებს, რომლებიც გადამუშავდა დიალექტთა თავისებურებების გათვალისწინებით. სატესტო ამოცანების მრავალფეროვნება – ფოტოებითა და კომპიუტერული გრაფიკით შედგენილი „ისტორიები", ნახატები, კითხვა-პასუხთა სატესტო ნიმუშები, აუდიო-ვიდეო DVD-ფილმები და სხვ. – საშუალებას იძლეოდა მასალა მოგვეპოვებინა ბუნებრივ პირობებში: სამეტყველო სპეციფიკაციების დასაფიქსირებლად განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ტესტები იყოს სპონტანური მეტყველების მასტიმულირებელი. მასალა, ჩაწერილი PRAAT-ში და ორგანიზებული მარტივი ბაზის სახით, ანოტირებულია საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით ELAN პროგრამაში.

დასახელებული დიალექტები ყურადსაღებ მასალას იძლევა სომატური ლექსიკის შესაბამისი სემანტიკური ველის გაფართოება-დაკონკრეტების თაობაზე.

6.2. მასალის კლასიფიკაცია

დიალექტურ მასალაზე დაკვირვებამ გამოავლინა ტიპობრივი შემთხვევები, რომელთა კლასიფიკაცია შესაძლებელია სტანდარტულ, სალიტერატურო ქართულსა და დიალექტებში დადასტურებული სომატური სემანტიკური ველის შემადგენელ ლექსემათა შინაარსებისა და გამოხატულებების პლანებს შორის ჰორიზონტალური მიმართებების შედარების საფუძველზე. ფაქტობრივად რეალიზებულია ლოგიკურად შესაძლებელი ყველა ვარიანტი და დასტურდება შემდეგი ვითარებები:

(1). ერთი მხრივ, სალიტერატურო ქართულისა და, მეორე მხრივ, დიალექტის ლექსემებს შორის სრული დამთხვევაა

როგორც შინაარსის, ისე გამოხატულების პლანების თვალსაზრისით; ანუ, სალიტერატურო ენისა და დიალექტის ლექსიკური ერთეულები სრულად იდენტურია;

(2). შინაარსის პლანი შენარჩუნებულია, მაგრამ შეცვლილა გამოხატულების პლანი. აქ ორი განსხვავებული ქვეტიპი გამოიყოფა:

(2-ა). გამოხატულების პლანი სახეცვლილია (კონკრეტულ დიალექტში მოქმედი) ფონეტიკური პროცესების შესაბამისად;

(2-ბ). გამოხატულების პლანი სრულიად სახეცვლილია; ანუ, ფაქტობრივად, დიალექტში დასტურდება სტანდარტული, სალიტერატურო ენის ლექსემის დიალექტური დუბლეტური ფორმა;

(3). გამოხატულების პლანი მეტ-ნაკლებად შენარჩუნებულია, თუმცა შეცვლილია შინაარსის პლანი;

(4). სომატური კატეგორიის სპეციფიკური შინაარსი გადმოცემულია სპეციფიკური ფორმით; ანუ გვაქვს სრულიად ახალი კონცეპტუალური კატეგორიის ენობრივი რეალიზაცია, ე.ი. ახალი კატეგორიის (შესაბამისად, ახალი ნიშნის) ჩამოყალიბება და, შესაბამისად, ახალი ლექსიკური ერთეულის (resp. სომატური ლექსემის) ფორმირება.

ყოველი შემთხვევა გასათვალისწინებელია ინფორმაციის სტრუქტურირებისა და ენობრივი წარმოდგენების დინამიკური პროცესის გასაანალიზებლად; განსაკუთრებით ღირებულია მე-(4) შემთხვევა, როდესაც ხდება ახალი კატეგორიების ენობრივი აქტუალიზება, რაც ლექსიკური ფონდის გამდიდრებას იწვევს და არამარკირებული კატეგორიის არტიკულირების, მარკირების საშუალებით სამყაროს ენობრივი ხედვის გაფართოება-დაკონკრეტების პროცესს ასახავს.

ქვემოთ წარმოდგენილია ამ ტიპობრივი შემთხვევების დამადასტურებელი ენობრივი მასალა საკვლევად შერჩეულ დიალექტებში.

6.3. გურული მასალა[2]

6.3.1. სტანდარტული ენისა და დიალექტის ლექსემები სრულად იდენტურია.

დღეისათვის თითქმის ყველა ლექსემა, რომელიც კი გვაქვს თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში, მეტ-ნაკლებად დასტურდება გურულ მეტყველებაში. აღსანიშნავია, რომ გურული დიალექტი განსაკუთრებით მდიდარია სომატური ტერმინების შემცველი ორიგინალური ფრაზეოლოგიზმებითა თუ სომატური ლექსემის ძირიდან ნაწარმოები დერივატებით:

> ***გულმა** მრენჩხა* 'გულმა ცუდი რამე მიგრძნო', *და-**ყურება*** 'სმენის გამახვილება გაგონების მიზნით', ***ენა**გაშაშხანებული* 'შრავლად და უსიამოვნოდ, მწარედ მოლაპარაკე', ***თავის** ძაგუნი* 'თავის ქნევა თანხმობის ნიშნად', ***თვალების** გადამტკაცება* 'თვალების ზევით აპყრობა გულის წასვლის დროს', *გა**კუჭება*** 'გაბრაზება', ***ულვაშაკი*** 'ულვაშის ასაკრავი', ***ფეხის** მოსობა* 'დაჟინებით თხოვნა', ***ყურების** დალურსვა* 'უსიამოვნო საუბრის დროს გაჯავრებით გაჩუმება', *ჩა**ჭიპული*** 'ერთ ადგილას ჩაზნექილი', ***ხელმეცეცაი*** 'ხელს რომ გამუდმებით ახლებს რამეს', და სხვ.

6.3.2-ა. ლექსემის გამოხატულების პლანი სახეცვლილია (ამ კონკრეტულ დიალექტში მოქმედი) ფონეტიკური პროცესების შესაბამისად:

> ***დუნჩი (← დრუნჩი), ზრუგი/ძრუგი (← ზურგი), თხამლი (← თხრამლი), კპილი (← კბილი), ყდომი (← სა-ჯდომ-ი), ტელფი (← ტერფი), ფხარი (← მხარი), ღლიავი (← იღლია), ყპაი (← ყბა), ხინტრი (← ხრტილი).***

6.3.2-ბ. გამოხატულების პლანი სრულიად სახეცვლილია – დიალექტში დასტურდება სტანდარტული, სალიტერატურო ენის ლექსემის შესაბამისი დიალექტური დუბლეტური ფორმა:

2 მოპოვებული მასალა შევსებულია ძირითადად გ. შარაშიძის ნაშრომში (შარაშიძე 2014) წარმოდგენილი ლექსემებით.

კინკიბაი/-ე (=ლავიწი), ლაკაპურჭი (=ლოყა), პოპორი *(=ბაგე,* უმეტესად ბავშვის ბაგე, სატირლად დაშვებული*), **ფირფიჟაი (=ფილტვი), ღრანჯი (=ყბა), ყია (=კისერი), ჩიმჩიმი (=თვალის უპე), ჩომპო/ჩუმპუ (=ღიპი), ჯორჯალი*** *(=ნაწლავები,* უფრო ხშირად იხმარება: ***ღორის ჯორჯალი).***

6.3.3. დიალექტური ლექსემის გამოხატულების პლანი ემთხვევა სტანდარტული ენის სომატური ან სხვა რაიმე ლექსემის გამოხატულების პლანს, თუმცა შეცვლილია შინაარსის პლანი და კონკრეტული ფორმა გამოყენებულია სხეულის განსხვავებული ორგანოს ან სრულიად განსხვავებული შინაარსის პლანის მქონე ლექსიკური ერთეულის აღმნიშვნელად:

კვერცხებაი (საალერსო სიტყვა, რომლითაც პატარა ბიჭს მიმართავენ), ***თვალი*** (ოთახი, მაგ., ოთხთვალა ოდა 'ოთხოთახიანი სახლი'), ***კუჭიანი*** (ბრაზიანი), ***პოჭოკი*** (ჩვეულებრივ ცხოველის ან ფრინველის ფეხს აღნიშნავს, მაგ., ***ღორის/ფრინველის პოჭოკი,*** თუმცა გამოიყენება ადამიანის ფეხის აღსანიშნავადაც),

გვხდება ორიოდე სინტაგმა სომატური ლექსემის მნიშვნელობით: ***თვალის ფიჭვები (=წამწამები), ხელის სავარცხალი (=ხელის მტევანი).***

6.4.4. სომატური კატეგორიის სპეციფიკური შინაარსი გადმოცემულია სპეციფიკური (ზოგჯერ დერივაციით მიღებული) ფორმით და ფორმირებულია ახალი ლექსიკური ერთეული (resp. სომატური ლექსემა).

გურულში ახალი სომატური კატეგორიის აღმნიშვნელი ტერმინი არ დასტურდება, თუმცა გვაქვს რამდენიმე ლექსიკური ერთეული, რომლებიც ზოგად, ქართულისათვის ჩვეულ სომატურ კატეგორიას გარკვეულ სპეციფიკურ ელფერს სძენენ და, შეიძლება ითქვას, გარკვეულწილად უარყოფითი კონოტაციის მატარებელნი არიან. ასეთებია:

როჩო (უემტესად მრავლობითში: ***როჩოები;*** დიდი, უშნო კბილები), ***ფოლო*** (დიდი, უშნო ფეხი), ***ფოლონცხო*** (სხულის უკანა ნაწილი, უშნოდ მოყვანილი), ***ჩიჩვირი*** (დიდი ბაგე-კბილი).

6.4. რაჭული მასალა[3]

6.4.1. სტანდარტული ენისა და დიალექტის ლექსემები სრულად იდენტურია.

თითქმის ყველა ლექსემა, რომელიც დადასტურებულია სტანდარტულ, სალიტერატურო ქართულში, იხმარება რაჭველთა მეტყველებაშიც, მაგრამ გვაქვს სპეციფიკური, ამ დიალექტისთვის დამახასიათებელი დერივატები:

ა-***კანჭ***-ურ-ებ-ა (მტკივნეული ფეხის აწევა), ***პირაოში*** (რაიმეს პირდაპირ, პირში თქმა), *სა-სისხ-არ-ი ალაგი* (ადამიანის ორგანიზმის ის ნაწილი, რომლის მცირე ზიანის მიყენებაც სიკვდილს იწვევს, მაგ., საფეთქელი, გული, საზარდული და მისთ.) და სხვ.

6.4.2-ა. ლექსემის გამოხატულების პლანი სახეცვლილია (ამ კონკრეტულ დიალექტში მოქმედი) ფონეტიკური პროცესების შესაბამისად:

ბანალი (←ბალანი), თაუკა (←თავუკა, თავი, კნინ.), კლავი (←მკლავი), ლაფში (←ლაში), ნამღელა (←ნაღველა), სარცხვინალი (სარცხვინელი), ტევანი (←მტევანი), ულაში, ულმაში (←ულვაში), ფაში (←ფაშვი), ფიჟვი (←ფილტვი), ფუში (←ფაშვი), ფხარი (←მხარი), ღჯოლი (←ღრჯოლი), ყიყვი/ჩლიყვი (←ჩიყვი), ცხვიმპირი (←ცხვირ-პირი), ხირხიმალი (←ხერხემალი), ხტილი (←ხრტილი).

3 საველე პირობებში მოპოვებული მასალა შევსებულია და, ძირითადად, ეყრდნობა ა. კობახიძის რაჭული დიალექტის ლექსიკონში (1987) წარმოდგენილ ლექსემებს.

6.4.2-ბ. გამოხატულების პლანი სრულიად სახეცვლილია – დიალექტში დასტურდება სტანდარტული, სალიტერატურო ენის ლექსემის შესაბამისი დიალექტური დუბლეტური ფორმა:

ბრმა წელი (=ბრმა ნაწლავი), კანჩხალა (=კანჭი, ბარკალი** (ძირითადად ცხოველისა)**), კვანჩხი (=მუჭა// პეშვი), კონკორახი (=თავის უკანა ნაწილი), კუნსუბო (=კუდუსუნი), ნაწყლი (=cunnus), ქილი (=ეშვი), ყიყაპო (=ღაბაბი), ჭაჭა (=თირკმელი),

6.4.3. დიალექტური ლექსემის გამოხატულების პლანი ემთხვევა სტანდარტული ენის სომატური ან სხვა რაიმე ლექსემის გამოხატულების პლანს, თუმცა შეცვლილია შინაარსის პლანი და კონკრეტული ფორმა გამოყენებულია სხეულის განსხვავებული ორგანოს ან სრულიად განსხვავებული შინაარსის პლანის მქონე ლექსიკური ერთეულის აღმნიშვნელად:

დუმა (თოფის კონდახის ბოლო ნაწილი), ***კანჭი*** (ღვინის მოძმარება), ***ფიცარი*** (ქუსლი).

6.4.4. სომატური კატეგორიის სპეციფიკური შინაარსი გადმოცემულია სპეციფიკური (ზოგჯერ დერივაციით მიღებული) ფორმით, ანუ გამოიკვეთება ახალი კატეგორია და, შესაბამისად, ფორმირებულია ახალი ლექსიკური ერთეული (resp. სომატური ლექსემა):

მკვლივი (წვივის ძვალი), ***ფოლონცხო*** (სხეულის უკანა ნაწილი), ***ქეშელი*** (დიდი მუცელი), ***ღვირკი*** (მუხლის უკანა მხარე), ***ჭილვი*** (ფეხის უკანა, ძარღვიანი ნაწილი).

6.5. ხევსურული მასალა[4]

6.5.1. სტანდარტული ენისა და დიალექტის ლექსემები სრულად იდენტურია.

თანამედროვე პირობებში (იგულისხმება მედიის, პრესა-ტელევიზიის, გავრცელება და მაღალმთიანი სოფლების მუდმივმოსახლეთაგან დაცლა) თითქმის ყველა ლექსემა, რომელიც კი გვაქვს სტანდარტულ სალიტერატურო ენაში, მეტ-ნაკლებად დასტურდება ხევსურთა ყოველდღიურ მეტყველებაშიც.

სტანდარტული ენის ლექსემა ხევსურულში ზოგჯერ დამატებით განვითარებულ, განსხვავებულ შინაარსსაც გამოხატავს:

კოჭ-ი(//ქუსლი), მაჯა(//სამაჯური), პირ-ი(//პირისახე = პირისერ-ი), უბე(//ქალის მკერდი), ტან-ი(//ტანტომაგ-ი←ტან-ი+სტომაქ-ი), ყურ-ი(//ყრუ), წელ-ი(//ნაწლევი), წვერ-ი, წვივ-ი.

6.5.2-ა. ლექსემის გამოხატულების პლანი სახეცვლილია (ამ კონკრეტულ დიალექტში მოქმედი) ფონეტიკური პროცესების შესაბამისად:

ბირწკილ-ი (←ბრჭყალ-ი, ფრჩხილ-ი), დაყვ-ი (←იდაყვ-ი), თხემლ-ი (←თხემ-ი), კვიშტავ-ი (←კვირისტავი), მუწლ-ი (←მუხლი), მწარ-ი (→მხარ-ი), ნაწლევ-ი (←ნაწლავ-ი), საწსარ-ი (→სახსარ-ი), ულაშ-ი (←ულვაშ-ი), ფაშ-ი (←ფაშვ-ი), ფეწ-ი (→ფეხ-ი), ფირტვ-ი (←ფილტვ-ი), ფირჩხილ-ი (←ფრჩხილ-ი), ქუ[რ]სლ-ი (←ქუსლ-ი), ლირძილ-ი (←ლრძილ-ი), ყარყანტა (←ყანყრატო), ძუძუა//ძიძია (←ძუძუ,** ბავშვის მეტყველება), ***ჴელ-ი (→ხელი), ჴორჭ-ი (→ხორხ-ი).

6.5.2-ბ. გამოხატულების პლანი სრულიად სახეცვლილია – დიალექტში დასტურდება სტანდარტული, სალიტერატურო ენის ლექსემის შესაბამისი დიალექტური დუბლეტური ფორმა:

4 საველე პირობებში მოპოვებული მასალა, ძირითადად, ეყრდნობა ალ. ჭინჭარაულის (1960, 2005) და ა. შანიძის (1931) ნაშრომებში წარმოდგენილ ლექსემებს.

ანე-განე (=ტანი, ორგანიზმ-ი), არჭინა (=ელენთა), აღე (=სახე), ბერა-თით-ი (=ცერა//ცერი), კაწარ-ი (=ფრჩხილ-ი, ბრჭყალი), კისა//კისა-ნ-ი//კისურა (კნინ.) (=მამაკაცის სასქესო ორგანო – Penis pueri), კობოხინ-ი//კოპოხინ-ი (=კოჭი), კოსრო/კოსროლია//კოთხრო/კოთხრო-ლია// კოხრო/კოხროლია (=თავის ქალა, თავი), კუჭულა (=თავის ზედა ნაწილი, კინკრიხო), მანა (=ნუნა), მწყვილ-ი (=ბაყვი, ლაჯი), პირისერ-ი (=პირისახე), სანაყრე (=უკანალი), ქინტო (=ნესტო), ქურ-ი (=ლოყა), შუშუტ-ი (=ნესტო), ნუტ-ი (=ქალის სასქესო ორგანო), ჭაჭ-ი (=ნიკაპი), ჭიპჭორა (ჭიპი), ჴარჴასა (=ხორხი), ჯუჯა(=ბიბილო).

6.5.3. დიალექტური ლექსემის გამოხატულების პლანი ემთხვევა სტანდარტული ენის სომატური ან სხვა რაიმე ლექსემის გამოხატულების პლანს, თუმცა შეცვლილია შინაარსის პლანი და კონკრეტული ფორმა გამოყენებულია სხეულის განსხვავებული ორგანოს ან სრულიად განსხვავებული შინაარსის პლანის მქონე ლექსიკური ერთეულის აღმნიშვნელად:

გვამ-ი (მუცელი, სხეული), ბარკალ-ი (ძირითადად, ცხოველის), ***იღლია*** (თივის, ბალახის საზომი), ***კანჭ-ი (ბრჭყალი,*** კიდე, ნაპირი), ***ყბა (წვერი), მალა*** (წყვილი ჯოხი, რომელთაც თაფლის გამოწურვისას იყენებენ), ***მარცვალ-ნ-ი*** (მამაკაცის სათესლე ჯირყვლები), ***მძივ-ი*** (ხერხემლის მალა), ***სახე*** (სურათი, პორტრეტი), სკა (ძალიან თხელი კანი, რომელიც აკრავს სხვადასხვა შინაგან ორგანოს, ***აპკი***), ***ყბა (წვერი), ყვერ-ი*** (მამლაყვერა – დევის საკუთარი სახელი).

6.5.4. სომატური კატეგორიის სპეციფიკური შინაარსი გადმოცემულია სპეციფიკური (ზოგჯერ დერივაციით მიღებული) ფორმით და ფორმირებულია ახალი კატეგორია გამოხატული ახალი ლექსიკური ერთეულით (resp. სომატური ლექსემა):

ბარწიახ-ი (წვრილი წვივ-ფეხი), ***ბოწონ-ი*** (თხელი, მეჩხერი თმა), ***კანტალკაცა*** (წვივსა და ფეხის ტერფს შორის, კოჭის წვრილი ძვლები), ***კართ-ი*** (მუხლის სადრეკი, უკანა მხრი-

დან), ***კიკიმო//წიწიმო*** (საფეთქელზე ამოსული თმა), ***კუტ-ი/ კუტ-(ნ)-ი*** (ორივე ბაგე – vaginal, cunnus pudenda mulieris), ***ნაწყლ-ი*** (cunnus), ***საალაჯე*** (ფეხის გული), ***სამკიბალ-ი*** (სამფესვიანი კბილი), ***სასაწვი(ვ)ეე*** (წვივის ნაწილი მუხლს ქვემოთ, სადაც საწვივეებს იხვევენ), ***საწყობ-ნ-ი*** (თავის ქალას შესაყარნი), ***სტარ-ი*** (სისხლის საქცევი ძარღვი – არტერია, ვენა), ***ფახოხ-ნ-ი*** (ადამიანის მკერდის ძვლები), ***ღვინჭ-ი*** (ხელის თითის სახსარი), ***შარ-ი*** (ტვინისა და თავის ქალის შუა ნაწილი; ***შარის ბოძი*** – ტვინის მაგარი გარსის შეზრდილი ნაწილი საგიტალურ ნაკერთან), ***ჩხიმ-ი*** (თავის ქალის ზედა და ქვედა ძვალს შუა მდებარე ნივთიერება – ***Diploe***), ***ჩერან-ი*** (მუხლის უკანა მხარე), ***წიპ-ი/წიპან-ი*** (კნინ. ცერისა და საჩვენებელი თითის შეერთება), ფეხი წვივს ქვევით, გადატანით ადამიანზეც ამბობენ).

6.6. ქიზიყური მასალა[5]

6.6.1. სტანდარტული ენისა და დიალექტის ლექსემები სრულად იდენტურია.

სალიტერატურო ენის თითქმის ყველა ლექსემა იხმარება ქიზიყურშიც; ამასთანავე, გვხვდება თავისებური დერივატებიც, მაგ., ***ყბაცა / ყბაჩუა / ყბაუჩა*** (ყბამოქცეული ადამიანი) და სხვ.

6.6.2-ა. ლექსემის გამოხატულების პლანი სახეცვლილია (ამ კონკრეტულ დიალექტში მოქმედი) ფონეტიკური პროცესების შესაბამისად:

ბარძახი (←ბარძაყი), კუდუსუნე/ი (ცხვრისა, თხისა და ადამიანის ხერხემლის ძვალი, სადაც მალები თავდება), ***მეჯი (←მენჯი), მჯარი, პილი (←პირი), პნკილი (←ფრჩხილი), დლაყვი / ნიდაყვი (←იდაყვი), ფეჯი, ფჩხილი (←ფრჩხილი), ყიყვი (←ჩიყვი), ყიჭაჭვი***

5 ექსპედიციებისას მოპოვებული მასალა შევსებულია ს. მენთეშაშვილის ქიზიყურ ლექსიკონში (1943) წარმოდგენილ ლექსემებით.

/ ჯიჩაჩვი (←ჩიჩაყვი, ჩიჩახვი ადამიანისა), ჯანჯრატო (←ყანყრატო//ყელი), ჯელი(←ხელი).

6.6.2-ბ. გამოხატულების პლანი სრულიად სახეცვლილია – დიალექტში დასტურდება სტანდარტული, სალიტერატურო ენის ლექსემის შესაბამისი დიალექტური დუბლეტური ფორმა:

ბათქი *(=ქალის სასქესო ორგანოს სახელი),* ***იოგიო*** (=მამაკაცის სარცხვინელი), ***კუბაჩა/კუკუზნაკი*** *(=კუდუსუნი),* ***სასალაკი*** *(=ნაქი),* ***ტუტუა*** *(=კანაწი,* თმა, თმის ნაწნავი*),* ***ტყირპა*** *(=ტყირპი, ელენთა),* ***ფინილი*** *(=ტყირპი, ელენთა),* ***ღინცი*** *(=კისერი),* ***ჩინჩხვარი*** *(*მრ. ***ჩინჩხვრები;*** *=კუნთი),* ***ცუცურა*** (გოგოს სასქესო ორგანო), ***ჭლინკი*** *(=ჩლიქი;* გადატ. ფეხის წინა ნაწილი*),*

6.6.3. დიალექტური ლექსემის გამოხატულების პლანი ემთხვევა სტანდარტული ენის სომატური ან სხვა რაიმე ლექსემის გამოხატულების პლანს, თუმცა შეცვლილია შინაარსის პლანი და კონკრეტული ფორმა გამოყენებულია განსხვავებული სხეულის ორგანოს ან სრულიად განსხვავებული შინაარსის პლანის მქონე ლექსიკური ერთეულის აღმნიშვნელად:

ასო-ტანი *(=სხეული).*

6.6.4. სომატური კატეგორიის სპეციფიკური შინაარსი გადმოცემულია სპეციფიკური (ზოგჯერ – დერივაციით მიღებული) ფორმით და გამოიყოფა ახალი კატეგორია; შესაბამისად, ფორმირებულია ახალი ლექსიკური ერთეული (resp. სომატური ლექსემა):

ახმი (ზურგი ფეხისა), ***კენჩხა*** (თავის ქალა, თმით დაფარული ნაწილი თავისა), ***კოლინჯი*** (მსხვილი ნაწლავის ნაწილი; სამედიცინო ტერმინი ← ბერძნ. colon), ***მკრიკიწი*** (მხრის კიწი; მხრისა და მკლავის საყარი ადგილი), ***ტლაყვი*** (ტიტველი ბარკალი გავიანად, ბარკლის რბილი ნაწილი), ***ტურულა*** (კანჭის ძვალი; საერთოდ ხელ-ფეხის ყველა გრძელი გულ-ღრუ (ტვინიანი) ძვალი), ***ჭილვი*** (მხარ-ბეჭის სახსარი).

VII. დასკვნები

სომატური ლექსიკის გამდიდრების როგორც დიაქრონიული (საერთო ქართველური → თანამედროვე ქართველური ენები), ისე სინქრონიულ-დინამიკური (სტანდარტული სალიტერატურო ენა → დიალექტები) პროცესი ნათლად გვიჩვენებს, რომ თანდათანობით, ადამიანის ცოდნის გაფართოებასა და ცნობიერების გაზრდასთან ერთად, კონკრეტული გეოგრაფიული თუ, ფართო გაგებით, კულტურული გარემოს შესაბამისად, ხდება ადამიანის ანატომიური სხეულის კიდევ უფრო მეტად დანაწევრება-აქტუალიზება და სტრუქტურირება კონცეპტუალური კატეგორიების სახით, რის საფუძველზეც მნიშვნელოვნად მდიდრდება შესაბამისი სემანტიკური ველის ლექსიკური ფონდი.

ამ ვითარების ახსნა შესაძლებელია ერთი ზოგადი, უნივერსალურ კანონზომიერებით:

> *ენის ცვლილება-განვითარება, ახალი კატეგორიებისა და კონცეპტების ცნობიერებაში ფორმირება და, შესაბამისად, ახალი ენობრივი ერთეულების წარმოქმნა, ძირითადად, არამარკირებული კატეგორიების მარკირება-დეტალიზების მიმართულებით მიმდინარეობს და არამარკირებული კატეგორიის შემდგომი სპეციფიკაციისა და ენობრივი მარკირების საშუალებით ახალი ენობრივი ერთეულების ფორმირებას განაპირობებს.*

ეს ტენდენცია უნივერსალურია და, საზოგადოდ, მართავს რა ენათა ცვალებადობა-განვითარების დინამიკურ პროცესს, თავის ასახვას პოვებს დიაქრონიულსა თუ სინქრონიულ ენობრივ ინოვაციებში, რასაც ქართველურ ენათა და დიალექტთა მონაცემებიც ადასტურებენ.

Rusudan Asatiani, Natia Dundua, Marine Ivanishvili,
Ivane Lejava, Ether Soselia, Marika Jikia

STRUCTURING OF INFORMATION AND LINGUISTIC "WORLD VIEW": SOMATIC LEXEMES IN THE KARTVELIAN LINGUISTIC SPACE

Summary

Ihre Verschiedenheit ist nicht eine von Schällen und Zeichen, sondern eine Verschiedenheit der Weltansichten selbst.

Wilhelm von Humboldt

I. Introduction

Language is one of the means of reflecting 'reality'. Reality is a whole that is structuralized according to specific linguistic structures. During the process of conceptualization various linguistic entities are defined as linguistic categories. This is a way of creating a specific linguistic picture of the 'world view'. The main goal of linguistic studies is to 'discover' universal and specific features defining such processes. The goal can be achieved by the typological, cross-linguistic investigations based on the method of comparative linguistics. Comparison of languages traditionally gained ground along two directions: Diachronic (Comparative-historical linguistics) and Synchronic (Typological linguistics). Comparative-historical linguistics makes it possible to represent diachronic changes of conceptualization and linguistic structuring of reality. Changes of a language system mirror changes within various social-cultural spheres of human being such as art, religion, ethnic traditions, economy, civilization, culture, and so on. Reconstructed proto-language and its diachronic development

help us to get some information about the historical existence of the speakers, which includes the ecological environment (fauna, flora, geographic surrounding, climate) and human habitation, and migration in the environment as well as culture in the broadest sense (including both, material and spiritual culture).

II. Defining objectives

This time we are aimed at studying the semantic field of the lexemes denoting the human body parts reconstructed at the Kartvelian linguistic space. Vocabulary denoting a human body, its parts and inner organs is a constituent part of the basic vocabulary of a language and presumably ought to be embedded in the ancient state reflecting data. Our goal is to reveal the semantic structure of the mentioned field (resp. Somatic vocabulary) and to analyze the respective organizing concepts. The research is based on the data presented in the *Etymological Dictionary of the Kartvelian languages* (Heinz Fähnrich, Zurab Satjveladze. Tbilisi: TSSOS Un. press. 2000).

III. Main tasks

Our main tasks are: building the Corpus of target data; systematization and grouping the data according to the Gerhard Deeters's scheme on the diachronic development of the Kartvelian languages:

- Comparing the Common-Kartvelian and Common Georgian-Zan reconstructed lexical entities in order to reveal the mainstream of diachronic processes reflecting the human body parts conceptual articulation and new terms formation;
- Generalizing observations and offering some possible theoretical interpretation of linguistic tendencies and regularities; and
- answering the question: **What does a human being "look like" in the Kartvelian linguistic space?**

IVa. The data: Common-Kartvelian linguistic level

On the basis of sound correspondences existing between the all Kartvelian languages 17 lexemes are reconstructed at the Common-Kartvelian stage which represent the following concepts for the human body parts:

ARMPIT, EYE, FACE/MOUTH, FOREHEAD, GENITALIS (MAN), HAIR, HAND, HEAD, LEG, NECK, NOSE/NOSTRIL, PENIS, (EYE) PUPIL, RIGHT-HAND, SHOULDER, TONGUE, VEIN.

If some sound correspondences between Georgian and Svan are taken into account and, respectively, are reconstructed for the Common-Kartvelian stage the following concepts can be added to the above given list as well:

EYE (VISIBLE), CROWN (OF HEAD), CHEEK, CHEEK (ROCKY), CHIN, PENIS, LARYNX, LEG, JAW, EAR, FOREHEAD, CALF.

Thus, totally, there are 25 concepts that are realized by 29 lexemes, among which 4 entities are presented by doublet forms.

IVb. The data: Common-Georgian-Zan linguistic union

Sound correspondences existing between the Georgian and Zan languages make possible to reconstruct 28 additional concepts reflecting the human body parts terms:

ARM/BONE, BEARD/POINT, BOSOM, BREAST (OF WOMAN), CALF, CHIN, EAR, ELBOW, EYEBROW, FINGER, FINGERNAIL/ TOENAIL, GUM, (THICK) HAIR, HEAD, HEEL, HUMP/ BIG STOMACH, (ANAT.) JOINT, KNEE, LARINX, LIP, LITTLE FINGER/TOE, NAVEL, NOSE/BILL, PENIS, THIGH (INNER SIDE), THROAT, TOOTH, WINDPIPE.

Some observations:

- The data analysis shows more (compared to the Common-Kartvelian data) detailed description of human body; especially, the further articulation of the area of ***LARYNX: WINDPIPE, THROAT, LARYNX***;
- Differentiation of ***MAN*** and ***WOMAN*** categories: ***BOSOM/ CHEST/BREAST~ WOMAN BREAST***;
- The doublet lexemes reveal different origins of body part terms formation; e.g.: ***NOSE←NOSTRIL//NOSE←BILL, BEARD←BEARD POINT.***

V. Conclusions: generalization and theoretical interpretation

Analysis of the lexical units, which have been reconstructed either at the Common-Kartvelian or Georgian-Zan union on the basis of regular sound correspondences between the Kartvelian languages, allows us to highlight the main course of forming and developing the linguistic units we are concerned with; Namely, the accumulation of "knowledge" had been carried out due to the process of differentiation and detailed elaboration of the human body anatomy and, respectively, the corresponding semantic field (resp. somatic vocabulary) had been underway to be enriched based on the relation of cognitively interpreted markedness.

Language changes and development, formation of new categories and concepts, and consequently, creation of new linguistic units is mainly carried out as the result of detailed elaboration, further specification and partition of unmarked categories; An unmarked category undergoes further division-differentiation by distinguishing cognitively marked categories and establishing formally marked oppositions. The process leads to the formation of new linguistic units and structures and reflects the dynamic picture of enhancement of linguistic cognition of the universe.

Somatic Lexemes in the Georgian Dialects[6]

In the formation of linguistic systems, in particular, in the formation and enrichment of the vocabulary of natural languages, dialects play an important role, since various speech features, reflecting geographical and/or cultural (in the broad sense – religious, tradition, ethnic peculiarities or everyday conditions) specifities, motivate further structuring and articulation of reality, and, as a result, new conceptual categories realized in natural langiages as specific lexemes enrich their vocabulary.

The Georgian linguistic space is divided into four geographic areas defined by sociolinguistic parameters reflecting the main similarities and/or differences of dialectal peculiarities: 1. differences and similarities between Mountain and Valley linguistic areas; and 2. differences and similarities between the Eastern and Western Georgian linguistic areas. That is why for out study we choose four typical dialects representing these areas:

	East	West
Mountain	*Xevsurian (X)*	*Rachian (R)*
Valley	*Gurian (G)*	*Kiziqian (K)*

Eight field sessions were organized in regions of Racha and Guria (summer, 2017) and Kiziqi and Xevsureti (summer, 2018). The spoken texts corpora were created on the basis of experimental tasks; stimulus-tasks are different: pictures, photos, DVD movies, toy plays, etc. Data were recorded in Praat program and annotated in ELAN according to the current international annotation standards.

6 Project funded by RF (GNSF): "Main models of information structures in the Georgian dialects: Gurian, Rachian, Xevsurian, Kiziqian" (No 216682, 2016-2019).

The dialects data

Examining the data, the following typical cases were observed in each dialect under consideration.

1. Gurian

- Parallel lexical forms (resp. doublets) for standard language categories: *k'ink'ibai/-e~lavic'-i* – "collar-bone; *lak'ap'urč'i~loq'a* – "cheek"; *p'op'ori~t'uči* – "lip"; *pirpižai~pilt'vi* – "lung"; *čimčimi~tvalis up'e* – "eye socket"; *čomp'o/čump'u~ɣip'i* – "(pot) belly"; *q'ia~k'iseri* – "neck";; *ɣranǯi~q'ba* – "jaw"; *ǯorǯali~nac'lavebi* – "guts".

- Specific forms of lexemes (arisen as a result of phonetic processes characteristic for the dialects): *dunči←drunči* – "snout, muzzle"; *zrugi/ʒrugi←zurgi* – "back"; *k'p'ili←k'bili* – "tooth"; *t'elpi←t'erpi* – "sole (*of foot*); *pxari←mxari* – "shoulder"; *ɣliavi←iɣlia* – "armpit"; *xint'ri←xrt'ili*–"gristle", *ždomi←saǯdomi* – "backside".

- Lexical forms with some specific semantic nuances (mainly having negative connotation):
polo (=big ugly feet); *poloncxo* (=ugly formed backside); *ročo,* mainly in pluaral *ročoebi* (=big ugly teeth); *čičviri* (=big teeth and lips).

2. Rachian

- Parallel lexical doublets for standard language categories: *q'iq'ap'o ~ ɣayabi* – "dewlap"; *nac'q'li* – "cunnus"; *brma c'eli~brma nac'lavi* – "caecum"; *k'ančxala~k'anč'i* – "lower leg, shin"; *k'vančxi* – "fist"; *k'onk'oraxi~k'epa* – "back of (human) head"; *k'unsubo~k'udusuni* – "back of (human) head"; *kili~ešvi* – "canine"; *č'ač'a~tirk'meli* – "kidney".

- Specific forms of lexemes (arisen as a result of phonetic processes characteristic for the dialects): *banali←balani* "hair"; *tauk'a←tavuka, tavi* "head"; *k'lavi←mk'lavi*

"arm"; *lapši←laši* "lip"; *namγela←naγvela* "gentian"; *sarcxvinali←sarcxvineli* "sex organ"; *t'evani←mt'evani* "hand"; *ulaši, ulmaši←ulvaši* "moustache"; *paši←pašvi* "paunch"; *pižvi←pilt'vi* "lung"; *puši←pašvi* "guts"; *pxari←mxari* "shoulder"; *γžoli←γržoli* "bucktooth"; *q'iqivi / čliq'vi←čiq'vi* "craw"; *cxvimp'iri←cxvirpiri* "face"; *xirximali←xerxemali* "spinal column"; *xt'ili←xrt'ili* "cartilage", etc.

- Derivatives: *a-k'anč-ur-eb-a* – "lifting of painful leg"; *a-čliav-eb-a* – "carries smth. under one's arm; *mo-byuŋ-ul-i* – "bent"; *p'iraoši* – "saying (*sth*) to sb's face"; etc.

3. Xevsurian

- Parallel lexical forms (resp. lexical doublets) for standard language categories: *kuri~loq'a* – "cheek"; *kint'o~nest'o* – "nostril"; *č'ip'č'ora~č'ip'i* – "navel"; *q'inč'ara // q'iranč'a~q'anq'rat'o* – "windpipe".

- Specific forms of lexemes (arisen as a result of certain phonetic processes characteristic for the dialects): *daq'vi←idaq'vi* – "elbow"; *pirčxili←prčxili* – "fingernail".

- Derivatives: *sa-lak'-e* – "sole (of foot)"; *sa-varcx-al-i* – "back part of foot/hand"; *sazalt'e~maža* – "wrist"; *sa-lik'-a* – "index finger".

4. Kiziqian

- Parallel forms for standard language lexemes: *batki~t'erpi* – "sole (of foot); *iogio~k'ut'(u)* – "penis"; *γinci~k'iseri* – "neck"; *cucura~č'uč'ua* – "penis"; *t'q'irp'a~elenta* – "spleen"; *č'link'i~čliki* – "hoof"; *k'ac'ic'i~tma* – "hair"; *k'ubača / k'uk'uznak'i~k'udusuni* – "pelvis"; *sasalak'i~naki* – "uvula"; *t'ut'ua* – "girls' sexual organ"; *pic'ili~elenta* – "spleen"; *činčxvari~k'unti* – "muscle".

- Specific forms of lexemes (arisen as a result of certain phonetic processes characteristic for the dialects):

barʒaxi←barʒaq'i "upper leg"; *dlaq'vi//nidaq'vi←idaq'vi* "elbrow"; *k'udusune/i* "pelvis"; *meʒi←menʒi* "pelvis"; *mqari←mxari* "shoulder", *p'ili←p'iri* "mouth"; *p'c'k'ili←prčxili* "fingernail"; *peqi←pexi* "hand"; *q'iq'vi←čiq'vi* "craw"; *q'ič'ač'vi/qičačvi←čičaq'vi* "crop"; *qanqrat'o←q'anq'rat'o* "throat"; *qeli←xeli* "hand".

5. Conclusions

Only some really new categories (resp. Somatic Terms), reflecting further articulation and more concrete specification of human body parts, were documented in the dialects.

- **Rachian**

k'ančaɣa~k'anč'i – "lower leg, shin"; ***k'vančxi*** – "fist"; ***mk'vlivi*** – "shinbone"; ***poloncxo*** – "back part of body"; ***kešeli*** – "big stomach"; ***kili*** – "fang"; ***ɣvirk'i*** – "back part of knee"; ***č'iɣvi*** – "back part of foot".

- **Xevsurian**

barc'iax – "slender lower leg and foot", ***boc'oc'*** – "thinning (*hair*)", ***k'ant'alk'aca*** – "vertebra at ankle", ***k'art*** – "joint of knee, from back side", ***k'višt'av*** – "uper part of the knee that rotates", ***k'ik'imo//c'ic'imo*** – "hair on temple", ***k'ut'/ kut-(n)-i*** – "vaginal, cunnus pudenda mulieris", ***k'uč'ula*** – "hair on crown", ***nac'q'l*** – "cunnus", ***saalaq'e*** – "foot's arch", ***samk'ibal*** – "threerooted tooth", ***sasac'vi[v]ee*** – "down part of knee", ***sac'q'ob-n-i*** – "crown's joint point", ***st'ar*** – "artery, vein", ***paxox-n-i*** – "bone's chest", ***ɣvinč'*** – "joint of hand's fingers", ***štar*** – "middle part of brain and crown", ***čxim*** – "diploe", ***čeran*** – "back part of shin", ***c'ip'//c'ip'an(dim.)*** – "joint part of thumb and index finger".

- **Kiziqian**

axmi – "back of foot"; ***k'enčxa*** – "crown (part of skull covered with hear); ***mqrik'ic'i*** – "part of body where shoulder meets

arm"; ***t'laq'vi*** – "naked leg with rump (in poetry)"; ***t'urula*** –"bone of calf"; ***č'iɣvi*** – "shoulder's joint".

All other specific lexemes have arisen either as a result of certain phonetic processes characteristic for these dialects or, representing an absolutely new forms, have given dialectic doublet lexemes for the Standard Georgian terms.

Sometimes the semantics of a somatic term varies slightly; e.g., in Xevsurian: *gvam* "body=corpse(SG)"; *ku(r)sli* "sole=heel(SG)"; *č'ip'i* "paunch=navel(SG)"; *q'ba* "beard=jaw(SG)".

Derivatives are a productive devices for generating new lexical, especially emotionally "colored" units.

ბიბლიოგრაფია
BIBLIOGRAPHY

აბაშია რ. 1998. საერთო-ქართველური ლექსიკიდან, VIII: ქუთაისური საუბრები, IV. ქუთაისი.

არისტოტელე 1981. რიტორიკა. თბილისი: „თსუ გამომცემლობა".

ასათიანი რ. 2007. ინფორმაციის სტრუქტურირების სინტაქსური მოდელები ქართულში. „სემიოტიკა-II", ჭავჭავაძის სახ. უნივერსიტეტი. თბილისი: „უნივერსალი".

ასათიანი რ. 2006. ინტონაციის როლი წინადადების საინფორმაციო სტრუქტურის ფორმირებაში, ენათმეცნიერების საკითხები. თბილისი: „თსუ გამომცემლობა".

ასათიანი რ. 1982. მარტივი წინადადების ტიპოლოგიური ანალიზი. თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის მასალაზე. თბილისი: „მეცნიერება".

აფრიდონიძე შ. 1986. სიტყვათგანლაგება ახალ ქართულში. თბილისი: „მეცნიერება".

გამყრელიძე თ. 2005. ფუძე-ენის რეკონსტრუქცია და მისი ქრონოლოგიური დონეები. პერსპექტივა-XXI, VI, თბილისი: „ენა და კულტურა".

გამყრელიძე თ. 1959. სიბილანტთა შესატყვისობანი და ქართველურ ენათა უძველესი სტრუქტურის ზოგი საკითხი. თბილისი: „საქ. მეცნ. აკად. გამომცემლობა".

გამყრელიძე თ., მაჭავარიანი გ. 1965. სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში. საერთო-ქართველური სტრუქტურის ტიპოლოგია, თბილისი: „მეცნიერება".

გელენიძე ლ. 1974. ადამიანის ანატომია-ფიზიოლოგიასთან დაკავშირებული ლექსიკა ძველ ქართულში (სხვა ქართველური ენების მონაცემებთან შედარებით). თბილისი.

გონიაშვილი თ. 1940. ლექსიკური შეხვედრები ჩაჩნურისა ქართველურ ენებთან: ენიმკის მოამბე, V-VI. თბილისი.

გუდავა ტ. 1979. ბაგისმიერი თანხმოვნები ჩქამიერთა წინ მეგრულში: საენათმეცნიერო კრებული. თბილისი.

გუდავა ტ. 1960. ო-ს უ-ში გადასვლის ზოგიერთი შემთხვევა ზანურ (მეგრულ-ჭანურ) ენაში. საქ. მეცნ. აკად. მოამბე, XXV, 1. თბილისი.

გურული დიალექტის ლექსიკონი: https://www.ice.ge/liv/liv/guru.php

გურული ლექსიკონი: http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=list&d=50&p=2&w1_

